ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, უცხოური თუ ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკის მიხედ-ვით, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხილვისას, ნათელი ხდება, რომ განსახილველი უფლების ერთ-ერთ ყვე-ლაზე პრობლემატურ და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ აქციის დაშლის კანონიერება და მასთან დაკავშირებული თანმდევი შედეგები, კერძოდ, აქციის დაშ-ლისას სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ გადამატებული ძალის გამოყენება.

ამიტომ, საკითხის კომპლექსურობიდან და აქტუალუ-რობიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში, დახასიათე-ბული იქნება შეკრების უფლების შინაარსი. აღნიშნულის შემდეგ განხილული იქნება შეკრებისა უფლებაში ჩარევის

ბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, თბილისი, 2014, 119.

² მაინა კაია, მშვიდობინი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომსესხნებლის 8 ივნისის ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრუ-ლების მდგომარეობა, 17, ხელმისაწვდომია:

<<https://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3571.pdf>>, [12.03.2017].

³ დონა გომეინი, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის კომენტარები, თბილისი, 2009, 92.

**თეო კვირიკაშვილი – შეკრულის უფლებაში ჩარჩვა: შეკრულის დაშლის
კანონიერების შეფასება და სამრთალდამცავი ორგანოების მიერ
უფლებამოსილების გადამტეტება**

შემთხვევები სახელმწიფოს მხრიდან. სახელდობრ, აქციის დაშლასთან და პოლიციის მიერ გადამატებული უფლებამოსილების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები საქართველოს, ადამიანის უფლებათა ევროპული უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკისა და სხვადასხვა შემთხვევის ანალიზის საფუძლზე.

1. შეკრებისა უფლების შინაარსი

ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათაგან ერთ-ერთი უმთავრესია შეკრების თავისუფლება. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ აღიარა შეკრების თავისუფლების მნიშვნელობა 1937 წლის საქმეში *De Jonge v. State of Oregon*, სადაც აღნიშნავდა, რომ „მშვიდობიანი შეკრების უფლება არის ფუნდამენტური პრინციპი, რაზეც დაფუძნებულია ყველა სამოქალაქო და პოლიტიკური ინსტიტუტი“.⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი უზრუნველყოფს ისეთ ღირებულებას, როგორიცაა ადამიანთა შეკრებისა და გაერთიანების უფლება. როგორც მუხლის შინაარსიდან ნათლად ჩანს, იგი მოიცავს და აერთიანებს ორ, ერთი შეხედვით, მარტივ და ერთგვაროვან, უფლებას შეკრებასა და გაერთიანებაზე. მაგრამ მე-11 მუხლი არ უზრუნველყოფს შეკრების თავისუფლებას *per se*, იგი მხოლოდ მშვიდობიანი შეკრების უფლებას გულისხმობს. მე-11 მუხლით უზრუნველყოფილი უფლება მშვიდობიან შეკრებასა და გაერთიანებაზე მჭიდროდაა დაკავშირებული გამოხატვის თავისუფლებასთან, რომელიც დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით, და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებასთან, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილია კონვენციი-

⁴ Freedom of Assembly, ხელმისაწვდომია: <<http://www.lincoln.edu/criminaljustice/hr/Assembly.htm>>, [07.03.2017].

ის მე-9 მუხლთან.⁵ ტერმინი „შეკრება“ აღნიშნავს არაფორმა-ლურ დაჯგუფებაში შეხვედრას მოსაზრებების გაცვლის მიზ-ნით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყუ-რადღება გაამახვილა მშვიდობიანი შეკრების მნიშვნელობაზე დემოკრატიულ საზოგადოებაში. „მშვიდობიანი შეკრების უფ-ლება არის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი სა-ფუძველი. იგი მოიცავს როგორც კერძო შეხვედრებს, ასევე შეხვედრებს საზოგადოებრივ ადგილებში“. სახელმწიფოს შე-უძლია, დროებით აკრძალოს საზოგადოებრვი დემონსტრაცი-ები, თუ არსებობს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წეს-რიგის დარღვევის სერიოზული საფრთხე. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში. როგორც წესა, ასეთ აკრძალვას დროებითი ხასიათი აქვს და მოქმედებს შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში.⁶

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამარ-თლოს აქვს კარგად ჩამოყალიბებული პრაქტიკა აქციის დაშ-ლის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილე-ბის მართლზომიერებისა და პროპორციულობის შესახებ. სა-ხელმწიფოებმა არამხოლოდ უნდა დაიცვან მშვიდობიანი შეკ-რების უფლება, არამედ თავი უნდა შეიკავონ არაგონივრული და არაპირდაპირი შეზღუდვების დაწესებისგან აქციის მონა-ნილების მიმართ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენ-ციის მე-11 მუხლი აქციის მონაწილეებს იცავს ხელისუფლე-ბის თვითნებობისგან და, ამასთან, სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, ეფექტურად უზრუნველყოს მე-11 მუხლით დაცული უფლებით სარგებლობა.⁷

⁵ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თარგმანი: რუსუდან ტუშერი, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, 2004, 7.

⁶ კონსტანტინე კორკელაძე, ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთა-შორისო სამართლი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედ-ვით, 2004 წელი, თემერვალი, 212.

⁷ ავტორთა კრებული, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ანგარიში 26 მაისი, აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების ანალიზი, 2011, 32.

საქართველოში შეკრების თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. აღნიშნული უფლებით სარგებლობის წესი კი რეგლამენტირებულია საქართველოს კანონით „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. გარკვეული ნორმები ასევე ასახულია „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა“ და „პოლიციის შესახებ“ კანონში.⁸ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (სზაკ) მე-5 მუხლი აყალიბებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კანონიერების პრინციპს, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების კანონმდებლობის საფუძველზე შებოჭვას. პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, ამ ზოგადი პრინციპის საფუძველზე, ადგენს პოლიციური ღონისძიებების კანონიერების პრინციპთან შესაბამისობის ვალდებულებას. პოლიციის შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც გამომდინარეობს სზაკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილიდან, პოლიციის საქმიანობაში კანონის უზენაესობის პრინციპს ამკვიდრებს, რომლის თანახმადაც, პოლიციის პრევენციული და რეპრესიული ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. პოლიციის შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი, ეფუძნება რა სზაკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ კანონისმიერი დათქმის პრინციპს, ადგენს, რომ საპოლიციო ღონისძიების განხორციელება, რომელიც იწვევს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას, დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე. პოლიციის შესახებ ახალი კანონის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან სწორედ იმით ვლინდება, რომ ის ქმნის პოლიციური ღონისძიების განხორციელების ლეგიტი-

⁸ მაინა კაია, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის 8 ივნისის ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, 17, ხელმისაწვდომია:

<<https://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3571.pdf>>, [12.03.2017].

მურ საფუძვლებს. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს პოლიციურ ღონისძიებებს, მისი განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და ფორმებს და, ამდენად, სრულად შეესაბამება კანონისმიერი დათქმის კონსტიტუციურსამართლებრივი პრინციპის მოთხოვნებს.⁹

სახელმწიფოს მხრიდან განსახილველ უფლებაში ჩარევის უკიდურესი ფორმაა შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტა. შეწყვეტა მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეკრების შეწყვეტასთან დაკავშირებით საკმაოდ მკვეთრი და გასაგები სტანდარტი ჩამოაყალიბა. მან შეკრების დაშლა განიხილა, როგორც ჩარევის უკიდურესი საშუალება. ამით მან მკაცრი ფარგლები დაუწესა დაშლის მსურველ სახელმწიფო ორგანოებს თუ თანამდებობის პირებს.¹⁰ აღსალნიშნავია, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის დაუყონებლივ შეწყვეტის აუცილებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზე, თუ შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სხვაგვარად შეუძლებელია.¹¹ ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლება გარანტირებულია ყველასთვის, ვისაც განზრაცული აქვს მშვიდობიანი დემონსტრაციის ორგანიზება... მაშინაც კი, თუ არსებობს რეალური საფრთხე, რომ სა-

⁹ პაატა ტურავა, რედ. კონსტანტინე კორკელია, სტატიათა კრებული – ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, საქართველოს პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, თბილისი, 2014, 121-122.

¹⁰ ანა ფირცხალაშვილი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, 292.

¹¹ იქვე, 288.

ჯარო მსვლელობა გამოიწვევს უნესრიგობას იმ მოვლენების გამო, რომლებსაც ვერ აკონტროლებენ მსვლელობის ორგანიზატორები, მაინც არ შეიძლება მხოლოდ ამ საფუძველზე ასეთი მსვლელობა გამოირიცხოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედებიდან და ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც ამგვარ შეკრებას ეხება უნდა შეესაბამებოდეს მე-2 პუნქტის დებულებებს.¹²

2. სახელმწიფოს მხრიდან შეკრების დაშლის კანონიერება-უკანონობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ უარყოფს, რომ შეკრებასთან დაკავშირებით არსებობს პრაქტიკული სიძნელეები, რომელთა მოგვარების შესაძლებლობას სახელმწიფოს უტოვებს – ნებართვის გაცემა, პოლიციის მიერ დაცვის უზრუნველყოფა და სხვა. საქმეზე – ეზელინი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Ezelin v. France*) სასამართლომ მე-11 მუხლთან მიმართებით აღნიშნა, რომ შეკრების (დემონსტრაციის) შემდეგ მიღებული ზომები არ ხვდება მე-11 მე-2 პუნქტის მოქმედების ქვეშ... შესაბამისად, სახეზე იყო მე-11 მუხლის დარღვევა: სახელმწიფოს არ უნდა გამოეყენებინა დისციპლინური ზომები განმცხადებლის მიმართ, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ არ იყო ამის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“.¹³

მიმდინარე უკანონო აქციების (მაგალითად, აქციის გასამართად გაფრთხილების არარსებობა) სახელმწიფოს თმენის

¹² დონა გომეინი, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის კომიტეტის, თბილისი, 2009, 93.

¹³ კონსტანტინე კორქელია, ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროული კონვენციის მიხედვით, 2004 წელი, თებერვალი, 213.

ვალდებულება ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ აქციის მონაწილეები არ მონაწილეობენ ძალადობრივ მოქმედებებში, ინარჩუნებენ მშვიდობიან ქცევასა და განზრახვას. როდესაც აქციის მონაწილეები უკანონო და უწესრიგო ქმედებებს ახორციელებენ, ან ასეთი ქმედებები შეიძლება განახორციელონ, სახელმწოფოს აქვს შეკრების თავისუფლებაში ჩარევის, მათ შორის, აქციის შეწყვეტის უფლებამოსილება (მშვიდობიანი შეკრების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების 72-ე მუხლი). ცხადია, უფლებაში ჩარევის საშუალებების პროპორციულობის საკითხი, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით განისაზღვრება. თუმცა, დადგენილი საერთაშორისო სტანდარტები ითხოვს, რომ ძალადობრივი ქცევის რისკები იყოს რეალური და არა ჰიპოთეტური. კერძოდ, საქმეზე „მახმუდოვი რუსეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „არც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ჰიპოთეტური რისკი, არც მტრულად განწყობილი ჯგუფის არსებობა, თავისთავად არ ამართლებს შეკრების დაშლას“. საქმეში *Christian Democratic People's Party v. Moldova* ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება მაშინ ხდება შეკრების უფლებაში ჩარევის საფუძველი, როდესაც არსებობს ფიზიკური შეხლა-შემოხლის საფრთხე. იმავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა წარმოადგენს შეკრებაზე შეზღუდვის დაწესების საფუძველს, რაც ავტომატურად არ გულისხმობს ასეთი შეკრების დაშლას. ასევე, შეკრების თავისუფლების შესახებ ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, შეკრების თავისუფლებაში ჩარევის დროს პოლიციამ ერთმანეთისგან უნდა გამიჯნოს აქციის მშვიდობიანი მონაწილეები. ძალადობის იზოლირებული ფაქტები, ისევე როგორც აქციის მონაწილეების ძალადობრივი ქმედებები, არ უნდა გახდეს მთელი აქციის შეწყვეტის საფუძველი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში საქმეზე „მოქალაქეთა

**თეო კვირიკაშვილი – შეკრების უფლებაში ჩარჩვა: შეკრების დაშლის
კანონიერების შეფასება და სამრთალდამცავი ორგანოების მიერ
უფლებამოსილების გადამუტება**

პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ [...]საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ “მიუთითა, რომ სახელმწიფოს მხრიდან შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც არსებობს ძალადობის განხორციელების რეალური საფრთხე და ძალადობა შეიძლება მასობრივად განხორციელდეს.¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა დადგინდეთი ფაქტორია, რადგან ამით დასტურდება საქართველოს მიერ საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების გაზიარება.

ამდენად, შეკრების შეწყვეტასთან დაკავშირებით მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აქციის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მონაწილეების ძალადობრივი მოქმედებები (ან ამგვარი განხორციელების რეალური საფრთხე), რომელიც მასობრივ ხასიათს ატარებს და ხელისუფლების დროული ჩარჩვა არსებითია საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. ამ პირობებში აქციის მონაწილეები გადიან კონვენციის მე-11 მუხლით დაცული სფეროდან და, შესაბამისად, სახელმწიფოს არ ეკისრება შეკრების თავისუფლების დაცვის მიზნით დადგენილი სტანდარტების დაცვა.

სხვა შემთხვევაში, როდესაც აქცია მშვიდობიან ხასიათს ატარებს, ხელისუფლება ვალდებულია, უზრუნველყოს შეკრების თავისუფლების დაცვა. ეუთოს შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, პოლიციას უნდა ჰქონდეს მოქმედებების სხვადასხვა ვარიანტი შეკრების უფლების უზრუნველყოფისათვის (მათ შორის, უკანონო აქციების თმენა, ორგანიზაციონურებთან მოლაპარაკებების გამართვა) და მათი არჩევანი არ დგას, ერთი მხრივ, ჩაურევლობასა და, მეორე მხრივ, აქციის შეწყვეტასა ან დაშლას შორის. აქციის დაშლა უნდა იყოს უკანასკნელი საშუალების მიზნით დადგენილი სტანდარტების დაცვა.

¹⁴ ავტორთა ერებული, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ანგარიში 26 მაისი, აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების ანალიზი, 2011, 33.

ლება, რომელიც პოლიციამ შეიძლება გამოიყენოს.¹⁵

აქციის დაშლის შესახებ გადაწყვეტილება არ უნდა მიიღებოდეს სამართალდამცავი ორგანოს მაღალჩინოსნის მიერ ერთპიროვნულად. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო ვალდებულია მაქსიმალურად დაიცვას და პატივის სცეს ადამიანის ფუნდამენტურ ლირებულებებს, აქციის მონაწილეებს უნდა ჰქოდეთ იმის გარანტია, რომ გადაწყვეტილება შეკრების დაშლის შესახებ იქნება კანონიერი. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა, რომ შეკრების დაშლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღებოდეს ექსპერტთა მუდმივმოქმედი კომისიის მიერ, რომელიც ფაქტების სიღრმისეულად ანალიზის საფუძველზე მივა ამგვარ გადაწყვეტილებამდე. მეტი გარანტიისთვის უმჯობესი იქნებოდა, სასამართლოს თანხმობა შეკრების დაშლის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ, მაგრამ აღნიშნულმა შეიძლება უკუშედეგი გამოიწვიოს, რადგან დიდია ალბათობა იმისა, რომ მოსამართლის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დროში გაიწელოს და აქციაზე მიმდინარე პროცესები მწვავე ქმედებებში გადაიზარდოს, რაც სახელმწიფოს მხრიდან დაგვაიხებულ რეაგირებად შეფასდება და შეკრების მონაწილეების დაზარალებას გამოიწვევს. ამგვარი მიდგომა გამოიწვევს საზოგადოების მხრიდან მეტ ნდობას სახელმწიფოს მიმართ, რადგან ეს იქნება მანიშნებელი, სახელმწიფოს მხრიდან მიღებული პრევენციული ზომებისა, უკანონო გადაწყვეტილების მიღების რისკის შესამცირებლად.

3. სამართალდამცავი ორგანოების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენება აქციის დაშლისას

სახელმწიფოს არამხოლოდ შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლებების რეალიზაციაში ჩაურევლობა, არამედ, მისი სრულფასოვანი განხორციელებისათვის ხელის შენწყობაც ევალება. კერძოდ, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალ-

¹⁵ იქვე, 34.

დებულება დაიცვას მშვიდობიანი შეურების მონაწილეები ნებისმიერი პიროვნებისაგან ან ჯგუფისაგან, რომელიც შეეცდება აქციისთვის ხელის შეშლას. მაგრამ ამასთან პრობლემატურია გარემოება, აქციის დაშლისას სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ გადამეტებული უფლებამოსილების დაფიქსირება.

სამწუხაროდ, საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა პოლიციის მიერ აქციებისა და დემონსტრაციების დარბევისას ძალის არაპროპორციულ გამოყენებას (*inter alia*, 2007 წლის ნოემბერის, 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციები, 2011 წლის 26 მაისის დემონსტრაციები).¹⁶ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა, თავი აარიდოს კანონიერი და მშვიდობიანი აქციების ნინააღმდეგ ძალის გამოყენებას. უკანონო, მაგრამ მშვიდობიანი მანიფესტაციისას უზრუნველყოფილ იქნას, ძალის, როგორც უკიდურესი ღონისძიების, გამოყენება. ამ პროცესში ალტერნატიული ზომები იქნას იმპლემენტირებული აქციის დასაშლელად, რაც შესაბამისობაში იქნება „სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით ძირითად პრინციპებთან“ და „სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ქცევის კოდექსთან“.¹⁷

საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიშში დეტალურად არის განხილული 26 მაისის მოვლენები, რომლის დროსაც რუსთაველის გამზირზე პოლიციამ ძალადობრივი მეთოდებით დაშალა ოპოზიციური დემონსტრაცია პარლამენტის შენობის ნინ, მას შემდეგ, რაც მანიფესტაციის გამართვისათვის გაცემული ნებართვის ვა-

¹⁶ მაინა კაია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის 8 ივნისის ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, 22, ხელმისაწვდომია:

<<https://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3571.pdf>>, [12.03.2017].

¹⁷ იქვე, 21.

და ამოიწურა. აქციის დაშლისას სამართალდამცავებმა წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი, რეზინის ხელკეტები და ალტერნატიული იარაღი გამოიყენეს. შედეგად, ფიზიკურად დაშავდა აქციის ათობით მონაწილე. პოლიციამ დაკავავა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დემონსტრანტებს და უურნალისტებს. საქართველოს სახალხო დამცველმა ფაქტების შესწავლის შედეგად აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ აქცია გასცდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და არსებობდა აქციის შენყვეტის სამართლებრივი საფუძველი, პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა რიგ შემთხვევაში არაპროპორციული იყო.¹⁸

როგორც დაკავებისას, ისე დაკავების შემდგომ მოპყრობის წესები, შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან ერთად, არაერთი საერთაშორისო შეთანხმებით რეგულირდება, რომელიც საქართველო სავალდებულოდ აღიარებს. აღნიშნული წესები წარმოადგენს გარანტიას, რომ აღამიანი წებისმიერ გარემოსა და პირობებში, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთის დროს, დაცული იქნება წამების, ასევე, არაადამიანური, სასტიკი ან ლირსების სხვა შემძლახველი მოპყრობისგან. მიუხედავად ამისა, 2012 წლის განმავლობაში პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული ვითარება გაუარესდა. სახალხო დამცველის აპარატში, ამ პერიოდის განმავლობაში უპრეცენდენტოდ გაიზარდა მოქალაქეთა მიმართვიანობა. საუბარია, როგორც პირის დაკავების მომენტში, ისე დაკავებული პირის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის შემდეგ სამართალდამცავთა მხრიდან პირების ფიზიკურ შეურაცხყოფაზე.

დადებითად შესაფასებელია ის გარემოება, რომ 2012-2015 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი-სათვის არ გამხდარა ცნობილი სამართალდამცავთა მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით აქციის დაშლის

¹⁸ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2011, გვ. 63.

**თეო კვირიკაშვილი – შეკრების უფლებაში ჩარჩვა: შეკრების დაშლის
კანონიერების შეფასება და სამრთალდამცავი ორგანოების მიერ
უფლებამოსილების გადამეტება**

ან/და არაპროპრციული ძალის გამოყენების შემთხვევები. თუმცა იყო ფაქტები, როდესაც სამართალდამცავებს არ მოუხდენიათ ეფექტური რეაგირება შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, ერთეულ შემთხვევებში, დაფიქსირდა ძალის გადამეტება პოლიციელთა მხრიდან ან დაირღვა პოლიციის ეთიკის ნორმები.

ამიტომ, დაუსჯელობის სინდრომის არშექმნის მიზნით, აუცილებელია საქართველოს პროკურატურამ გამოიძიოს შეკრება-მანიფესტაციის დარბევის დროს ძალის გადამეტების, მონაწილეთა დაკავების და სასტიკი მოპყრობის ყველა ფაქტი, რომლებზეც წლების განმავლობაში გაიცემოდა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები.¹⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიხედვით, პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის შემთხვევები სახელმწიფომ სათანადოდ უნდა გამოიძიოს.²⁰ ევროსასამართლოს სამართლნარმოების პრაქტიკის მიხედვით, გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი, ეფექტური, დეტალური და დროში გონივრულად განვითარდებადი.²¹

განსახილველ პრობლემატურ საკითხს ეხმიანება საქმე ნავალნი და იაშინი რუსეთის წინააღმდეგ (Navalnyy and Yashin v.Russia), სადაც მომჩინებს წარმოადგენდნენ ორი პოლიტიკური აქტივისტი და ოპოზიციის ლიდერები. 2011 წელს ისინი დააპატიმრეს რადგან არ დაემორჩილნენ პოლიციის ბრძანე-

¹⁹ მაინა კაია, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის 8 ივნისის ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, 18-25, ხელმისაწვდომია:

<<https://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3571.pdf>>, [12.03.2017].

²⁰ Stoica v. Romania, no 42722/02, European Court of Human Rights, 2008, Para. 67.

²¹ Mikheyev v. Russia, no. 77617/01, ECHR 2006; Zelilof v. Greece no. 17060/03, ECHR, 2007; Assenov v. Bulgaria, no. 24760/94, ECHR 1998; Yüksel v. Turkey, no 40154/98, ECHR, 2004; Muradova v. Azerbaijan, 22684/05, ECHR, 2009

ბას, შეეწყვიტათ სპონტანური მარში, რომლის ჩატარებასაც აპირებდნენ, სანქცირებულ დემონტრაციაში მონაწილეობის მიღების შემდეგ. ისინი დაკავებულნი იყვნენ პოლიციაში მანამდე, ვიდრე მომდევნო დღეს გადაიყვანდნენ სასამართლოში, სადაც 15 დღიანი ადმინისტრაცული პატიმრობა შეეფარდათ. მათი საჩივრები უარყოფილ იქნა.

მომჩივნების დაპატიმრება, დაკავება და სასჯელი წარმოადგენდა ჩარევას მე-11 მუხლით დაცულ მათ უფლებაში. ჩარევა ემსახურებოდა საჯარო წესრიგის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. პროპორციულობასთან მიმართებით, სასამართლომ მიუთითა, რომ თუნდაც მომჩივნებს არ ჰქონოდათ დემონსტრაციის ჩატარების განზრახვა, საპროტესტო აქციის მონაწილეობა დიდი ჯგუფის გამოჩენა გონივრულად აღიქმებოდა ამგვარად. მიუხედავად ამისა, დემონსტრაცია გაგრძელდა მხოლოდ 15 წუთს, იყო მშვიდობიანი და მონაწილეთა წარმოდგენილი რაოდენობის შეჩერება არ იქნებოდა რთული. ამრიგად, პოლიციამ დაიჭირა მომჩივნები მხოლოდ იმიტომ, რომ აქცია არ იყო სანქცირებული. ადგილობრივმა სასამართლოებმა არც კი სცადეს, გადაემონმებინათ აქციის მონაწილეებისგან მომდინარე რისკების მოცულობა ან აუცილებელი იყო თუ არა მათი შეჩერება. მომჩივნები მოგვიანებით დააპატიმრეს პოლიციის ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობისთვის, მაგრამ სასამართლო იყო უუნარო, გაერკვია, გამოსცა თუ არა პოლოციამ ამგვარი ბრძანება ვიდრე განახორციელებდა დაპატიმრებებს. თუნდაც დავუშვათ, რომ მომჩივნები არ დაემორჩილნენ ბრძანებას აქციის დასასრულს, მათი დაპატიმრების არავითარი საფუძველი არ არსებობდა. უფრო მეტიც, შეფარდებული სასჯელი არ ასახავდა სავარაუდო დანაშაულის შედარებით უმნიშვნელი ბუნებასაც კი. საბოლოოდ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმოადგენლებმა პირდაპირ აღიარეს, რომ მომჩივნები დაისაჯნენ სპონტანური მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩატარებისა და ანტი-სამთავრობო მონოდებების სკანდირებისთვის. მიღებულ იძულების ზომებს ჰქონდათ სერიოზული პოტენ-

**თეო კვირიკაშვილი – შეურების უფლებაში ჩარცვა: შეურების დაშლის
კანონიერების შეფასება და სამრთალდამცავი ორგანოების მიერ
უფლებამოსილების გადამტება**

ციალი, შეეკავებინათ ოპოზიციის სხვა მხარდამჭერები და საზოგადოება დემონსტრაციებზე დასწრებისგან, უფრო ზოგადად კი, პოლიტიკურ დებატებში მონანილეობისგან. ამ სანქციების შემაკავებელი ეფექტი უფრო მეტად გაძლიერებულ იქნა იმ ფაქტით, რომ ის მიმართული იყო ცნობადი საზოგადო ფიგურების მიმართ, რომელთა თავისუფლების აღკვეთამ მიიპყრო მედიის ფართო ყურადღება. ამრიგად ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სასამართლომ, ასევე, ერთხმად დაადგინა მეხ(1) მუხლის დარღვევა მომჩინენების წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, მე-5 მუხლის დარღვევა პოლიციის პუნქტში მათ გაუმართლებელ გადაყვანასთან დაკავშირებით, დაუფიქსირებელი და დაუსაბუთებელი ექვს საათიანი დაკავების და წინასწარ დაკავებაში ყოფნის მიზეზების არარსებობათან დაკავშირებით, მე-13 მუხლის დარღვევა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის არაეფექტიანობასთან დაკავშირებით და მე-3 მუხლის დარღვევა იმ პირობებთან დაკავშირებით, რომლებშიც მომჩინები იმყოფებოდნენ პოლიციის პუნქტში.²²

აქციის დაშლისას გადამტებული უფლებამოსილების გამოყენების კიდევ ერთი შემთხვევის საილუსტრაციოდ მოვიყვან თბილისში 2006 წლის 9 ივნისს განხორციელებულ არაკანონიერ ქმედებას, რომლის დროსაც დააკავეს არასამთავრობო ორგანიზაციის „თანასწორობის ინსტიტუტის“ ხუთი წევრი საპროტესტო აქციაში მონაწილეობის დროს. დემონსტრაცია მხარს უჭერდა სატელევიზიო არხის ორ მფლობელს, რომელთა საქმეზეც სასამართლო სხდომა ტარდებოდა პარალელურ რეჟიმში. პროცესი ეხებოდა კონსპირაციის გზით გამოძალვის საკითხს. სასამართლოს ეზოში შეკრებილი ითხოვდნენ, რომ საქართველოში არ ყოფილიყვნენ პოლიტიკური პა-

²² Navalny and Yashin v.Russia, ხელმისაწვდომია:

<<http://catalog.supremecourt.ge/>>, [14.03.2017].

ტიმრები. აქციის მსვლელობისას ისინი აქტიურად იყენებდნენ მეგაფონს. სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ აქტივისტები დაკავეს „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, სასამართლოს უპატივცემულობისა და სამართალდამცავთა კანონიერი ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობის გამო. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მათ 30-დღიანი დაკავების ვადა შეუფარდა მხოლოდ სამართალდამცავთა განცხადებების საფუძველზე, სასამართლოში ზეპირი მოსმენის გარეშე. უზენაეს სასამართლოში გასაჩივრება დაკავებულთა გათავისუფლების მიზნით უშედეგო აღმოჩნდა“. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-11 მუხლი, რადგან „ქართველმა სამართალდამცავებმა არ გამოიჩინეს სათანადო შემწყნარებლობა და კეთილსინდისიერება აპელანტების მანიფესტაციის თავისუფლების მიმართ, ვერ წარმოადგინეს საკმარისი და შესაფერისი საფუძვლები, რომლებიც გაამართლებდა სამართალდამცავთა ამგვარ ჩარევას, და დააკისრეს მოცემული გარემოებების არაპროპორციული სანქცია“. ასევე ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაირღვა ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 და მე-7 პროტოკოლის ერთი მუხლი.²³ht

ასევე ხაზგასასმელია ის საკითხი, რომ ძალის გამოყენება უნდა იყოს იმის შესაბამისი და პროპრციული, თუ რა საფრთხის შემცველი საშიშროების თავის ასაცილებლად ხორციელდება ეს უკანასკნელი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენონ ძალადობა მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომელთაც არ შეუძლიათ აქციის დატოვება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს რეგულაციას, რომელიც დაბალანსებდა ქმედებას ფიზიკური პირის წინააღმდეგ მიმართული ქმედების შესაბამისობასა და საჯარო წესრიგის შე-

²³ მარიამ ჩიხრაძე, პროტესტანტების დაკავება, ხელმისაწვდომია: <<https://interlegem.wordpress.com>>, [15.03.2017].

**თეო კვირიკაშვილი – შეკრულის უფლებაში ჩარცვა: შეკრულის დაშლის
კანონიერების შეფასება და სამრთალდამცავი ორგანოების მიერ
უფლებამოსილების გადამტეტება**

ნარჩუნებას შორის. ეს პრინციპები ასევე მოიცავს პლასტმასისა და რეზინის ტყვიებს, წყლის ბალონებს და სხვა ძალადობრივ მეთოდებს აქციის მონაწილეთა საკონტროლებლად, რომლებიც აუცილებლად მყაცრად უნდა იყოს დარეგულირებული იმის გარანტირებისთვის, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები განვრთნილნი იყვნენ მათი გამოყენების აუცილებლობაში.²⁴

ზემოთ აღნიშნული პრობლემატური შემთხვევა დაფიქ-
სირდა შტუტგარტში, სადაც აპროტესტებდნენ ახალი სად-
გურის მშენებლობის გაგრძელებას და ქალაქის რეკრეაცი-
ულ ზონაში ხეების მოჭრას. აქციის მშვიდობიანად მიმდინა-
რეობისა და აქციაში დიდი რაოდენობით ბავშვებისა და ასა-
კოვანი ხალხის მონაწილეობის მიუხედავად, პოლიციამ აქ-
ციის დასაშლელად გამოიყენა წყლის ჭავლები, ცრემლსადე-
ნი გაზი და ხელკეტები. შედაგად, დაახლოებით 400-მა დე-
მონსტრანტმა სხვადასხვა დაზიანებით მიმართა ექიმს. მათ
შორის 50 სკოლის მოსწავლე და 26 პირი დააკავეს. მრავალი
საერთაშორისო ორგანიზაციის მსგავსად, Human Rights
Watch-მა დაადანაშაულა პოლიცია შტუტგარტში მიმდინარე
აქციის უკანონოდ დაშლასა და პოლიციის მიერ ძალადობრი-
ვი ქმედების განხორციელებაში აქციის მშვიდობიანი მონა-
წილების წინააღმდეგ. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ გერმა-
ნიის ხელისუფლებამ შექმნა ზედმეტად საშიში პრეცენდენ-
ტი, რაც გერმანიაში მშვიდობიანი აქციების დაშლის გაგრძე-

²⁴ Office for Democratic Institutions and Human Rights, Report Monitoring of Freedom of Peaceful Assembly in Selected OSCE Participating States (April 2015 – July 2016), USE OF FORCE, FIREARMS, DETENTION, CONTAINMENT AND DISPERSALS, The use of force, firearms, detention and containment, as well as dispersals of assemblies: international standards and good practice, 103-104, ხელ-მისაწვდომია:

<<http://www.osce.org/odihr/289721?download=true>>, [13.03.2017].

ლების საფუძველს ქმნის.²⁵

ადამიანის უფლებების პრინციპებს წამებისა და სხვა სასტიკი მოპყრობისა და ძალის გამოყენების აკრძალვის შესახებ სამართალდამცავი ორგანოების მიერ გააჩნია სპეციალური მითითებები შეკრებების წესრიგის კონტროლთან დაკავშირებით. აღსალნიშნია, ისიც რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენება ასევე უნდა ისჯებოდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გამოიწვევს ფართოდ გავრცელებულ დაძაბულობას და დაუსჯელობის სინდრომს. განსაკუთრებით, მათ უნდა განასხვავონ, რამდენადაც შესაძლებელია, ის ფიზიკური პირები, რომლებიც ჩართული არიან დანაშაულებრივ ქმედებებში და ისინი, ვისაც სურთ, მშვიდობიანი შეკრება, რათა მათ წინააღმდეგ არ გამოიყენონ ძალადობას. შეკრების დროს, ძალის გამოყენებას წინ უნდა უძლოდეს შესაბამისი გაფრთხილებები, რაც მონაწილეებს მისცემს აქციის მშვიდობიანად დატოვების საშუალებას.²⁶

ამასთან, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებაზე საუბრისას, აღსალნიშნია, რომ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი შეგნების არსებობა, რათა შეკრების დროს მონაწილეთა მხრიდან არ განხორციელდეს ძალადობრივი ქმედებები. მაღალი საზოგადოებრივი შეგნების არსებობისას, ნაკლებია იმის ალბათობა, რომ აქციის მონაწილეებმა განახორციელონ არაკანონიერი ქმედებები, რადგან ისინი პატივს სცემენ

²⁵ International Project of Public Union "For Human Rights", The Decline of Europe, Unwarranted use of force when dispersing actions of protest, 2013, ხელმისაწვდომია: <<http://thedecline.info/en/part5>>, [16.03.2017].

²⁶ Office for Democratic Institutions and Human Rights, Report Monitoring of Freedom of Peaceful Assembly in Selected OSCE Participating States (April 2015 – July 2016), USE OF FORCE, FIREARMS, DETENTION, CONTAINMENT AND DISPERSALS, The use of force, firearms, detention and containment, as well as dispersals of assemblies: international standards and good practice, 103-104, ხელმისაწვდომია:

<<http://www.osce.org/odihr/289721?download=true>>, [13.03.2017].

**თეო კვირიკაშვილი – შეურების უფლებაში ჩარჩვა: შეურების დაშლის
კანონიერების შეფასება და სამრთალდამცავი ორგანოების მიერ
უფლებამოსილების გადამუტება**

სხვათა ფუნდამენტურ უფლებებს და არ იწვევენ საზოგადოებაში არეულობას. ამიტომ, საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდის მიზნით, სახელმწის მხრიდან სასარგებლო იქნებოდა მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება ადამიანის უფლებებთან და მასთან დაკავშირებული პრობლემატური შემთხვევების შექმნის საკითხთან დაკავშირებით. ასევე, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს დაპირისპირებული მხარეების მორიგებას მშვიდობიანი გზით, რისი შესანიშნავი მაგალითიც არის ქვემოთ მოცემული შემთხვევა.

2010 წლის აგვისტოში, ინგლისის თავდაცვის ლიგამ (English Defence League) დაგეგმა პროტესტი Bradford-ში. ასევე დაგეგმილი იყო წინააღმდეგობრივი დემონსტრაცია ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი გაერთიანების (Unite Against Fascism) მიერ. ზოგიერთ ადგილობრივ მცხოვრებს სურდა პროტესტის აკრძალვა, რადგან ინგლისის თავდაცვის ლიგის მიერ ადრე გამართულ აქციებზე ფიქსირდებოდა ძალადობრივი კონფლიქტები. დასავლეთი იორკშირის პოლიციას ჰქონდა ვალდებულება, რომ დაეცვა საპროტესტო აქცია, რომც არ ყოფილიყო აშკარა საფუძველი იმისა, რომ განხორციელდებოდა ძალადობრივი კონფლიქტები. დასავლეთი იორკშირის პოლიციას ჰქონდა ვალდებულება, რომ დაეცვა საპროტესტო აქცია, რომც არ ყოფილიყო აშკარა საფუძველი იმისა, რომ განხორციელდებოდა ძალადობა. პოლიციამ გამოიკვლია საქმის მდგომარეობა ადამიანის უფლებების თვალსაზრისით და გაესაუბრა ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით მუსლიმ საზოგადოებას, მშვიდობიანი აქციის უფლების შესახებ. ახნა-განმარტების მიღების შემდეგ საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ პოლიციას ნება უნდა დაერთო აქციის გასამართად და ეთნიკური ჯგუფები მუშაობდნენ პოლიციასთან ერთად ახალგაზრდების დასარწმუნებლად, რათა არ მიეღოთ მათ მონაწილეობა დანაშაულებრივ ქმედებებში.²⁷

²⁷ *Equality and Human Rights Commission, Human Rights: Human Lives, A Guide to the Human Rights Act for Public Authorities Article 11: Freedom of Assembly and Association, 48, ხელმისაწვდომი*

მია:<file:///C:/Users/Cmaster.ge/Downloads/human_rights_human_lives_a_guide_for_public_authorities.pdf>, [07.03.2017].

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაზე ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წინაპირობად დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის.

განსახილველი უფლების ანალიზის შედეგად, ნათელი შეიქმნა, რომ, პირველი, საქართველო მაქსიმალური სიფრთხისილით უნდა მიუდგეს აქციის დამლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხს, რათა ეს უკანასკნელი იყოს ლეგიტიმური და სახელმწიფოს მხრიდან წარმოადგენდეს ჩარევის უკიდურეს საშუალებას. მეორე, საქართველოს სამართლდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და გათვალისწინებული იქნას ადამიანის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი ნორმები. მესამე, უმჯობესი იქნება შემუშავდეს ისეთი მექანიზმი შეკრების დამლის ბრძანების გაცემის შესახებ, რომელიც მეტ გარანტიას შექმნის აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე. მეოთხე, სამართლდამცავი ორგანოების მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენების შემთხვევები სახელმწიფომ განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა შეაფასოს, პროკურატურამ უნდა გამოიძიოს პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევები და პასუხი აგონ დამნაშავე პირებმა, რათა არ გავრცელდეს დაუსჯელობის სინდრომი და აქციის მონაწილეებს არ ჰქონდეთ მათ წინააღმდეგ სიცოცხლისთვის საშიში მექანიზმების უსაფუძვლოდ გამოყენების შიში. მეხუთე, პოლიციის მიერ ადეკვატური ძალის გამოყენება უნდა იყოს მიმართული მხოლოდ იმ აქციის მონაწილეების წინააღმდეგ, რომლებიც არაკანონიერად იქცევიან და ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული აქციის მშვიდობიანი მონაწილეების უსაფრთხოებისათვის. მეექვსე, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდას ადამიანის უფლებების მიმართულებით,

**თეო კვირიკაშვილი – შეკრულის უფლებაში ჩარჩვა: შეკრულის დაშლის
კანონიერების შეფასება და სამრთალდამცავი ორგანოების მიერ
უფლებამოსილების გადამტეტება**

რაც მოცემულ შემთხვევაში, სასარგებლო იქნება, რათა აქციის მონაწილეებმა უკანონოდ არ შეზღუდონ სხვათა უფლებები და დამკაიდრეს აქციის მშვიდობიანად გამართვის კულტურა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ნათელია, რომ საქართველო ვალდებულია მაქსიმალურად დაიცვას შეკრების თავისუფლებაში ჩარჩვის ფარგლები, გაითვალისწინოს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები შეუსაბამოს დაცვის სტანდარტებს. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს ქვეყნისთვის, რომელიც განვითარების მნიშვნელოვან საფეხურზე დგას, იზიარებს დემოკრატიულ შეხედულებებს და მიისწრაფვის ევროკავშირში გაწევრიანებისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაატა ტურავა, რედ. კონსტანტინე კორკელია, სტატიათა კრებული-ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, საქართველოს პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, თბილისი, 2014.
2. დონა გომეინი, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის კომენტარები, თბილისი, 2009.
3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თარგმანი: რუსუდან ტუშური, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, 2004.
4. კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროული კონვენციის მიხედვით, 2004 წელი, თებერვალი.
5. ავტორთა კრებული, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ანგარიში 26 მაისი, აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების ანალიზი, 2011.

6. ანა ფირცხალაშვილი, საქართველოს კონსტიტუციის კომინტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013.
7. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, 2011, გვ. 63.

ელექტრონული მასალა:

მაინა კაია, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის 8 ივნისის ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, ხელმისაწვდომია: [<https://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3571.pdf>](https://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3571.pdf).

მარიამ ჩიხრაძე, პროტესტანტების დაკავება, ხელმისაწვდომია: [<https://interlegem.wordpress.com>](https://interlegem.wordpress.com).

International Project of Public Union "For Human Rights", The Decline of Europe, Unwarranted use of force when dispersing actions of protest, 2013, ხელმისაწვდომია: [<http://thedecline.info/en/part5>](http://thedecline.info/en/part5).

Office for Democratic Institutions and Human Rights, Report Monitoring of Freedom of Peaceful Assembly in Selected OSCE Participating States (April 2015 – July 2016), USE OF FORCE, FIREARMS, DETENTION, CONTAINMENT AND DISPERSALS, The use of force, firearms, detention and containment, as well as dispersals of assemblies: international standards and good practice, ხელმისაწვდომია:

[<http://www.osce.org/odihr/289721?download=true>](http://www.osce.org/odihr/289721?download=true).

Equality and Human Rights Commission, Human Rights: Human Lives, A Guide to the Human Rights Act for Public Authorities Article 11: Freedom of Assembly and Association, 48, ხელმისაწვდომია: <file:///C:/Users/Cmaster.ge/Downloads/human_rights_human_lives_a_guide_for_public_authorities.pdf>

Freedom of Assembly, ხელმისაწვდომია:
[<http://www.lincoln.edu/criminaljustice/hr/Assembly.htm>](http://www.lincoln.edu/criminaljustice/hr/Assembly.htm).

Navalnyy and Yashin v. Russia, ხელმისაწვდომია:
[\(<http://catalog.supremecourt.ge/>\)](http://catalog.supremecourt.ge/).

მედიაცია პორტალაციულ დავაგში

ელენე ქაძამია
სსიპ ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი.

აბსტრაქტი:

ნინამდებარე სტატია შეეხება საქართველოში მედიაციის გამოყენების პერსპექტივებს კორპორაციულ დავებში და მის მნიშვნელობას ბიზნესის ეფექტური განვითარებისთვის; უმეტესად განხილულია თუ რა სახის კორპორაციული დავები შეგვიძლია გადავნევიტოთ ამ გზით, რატომ უნდა მივმართოთ დავის გადაწყვეტის უშუალოდ ამ ხერხს და რა უპირატესობები გააჩნია მას დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან მიმართებით. ასევე განხილულია თუ როგორ უნდა მომზადდეს აღვრცოვატის მიერ კორპორაციული მედიაციისთვის საქმე, რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება საქმის მომზადების აგრეთვე უშუალოდ მოლაპარაკების პროცესში. აგრეთვე ყურადღება ეთმობა მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებადობის საკითხს.

საკვანძო სიტყვები: მედიაცია, სასამართლო მედიაცია, კერძო მედიაცია, კორპორაციული დავები, სამედიაციო შეთანხმების აღსრულება, კონფიდენციალურობა, ნებაყოფლობითობა.

I. მედიაციისა და მისი პრინციპების როლი საქართველოში ბიზნესის ეფექტური განვითარებისთვის

საქართველოში ბიზნესის დაწყება საკანონმდებლო კუთხით თუ განვიხილავთ, ძალიან მარტივია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფინანსური ან პროცედურული ბარიერები საწარმოს (იქნება ეს შპს, სს თუ სხვა) დარეგისტრირებისათვის თითქმის არ არსებობს, რაც თავის მხრივ პოზიტიურად აისახება ინვესტორების მიერ საქართველოთი დაინტერესების ხარისხზე. თუმცა, ეს საკმარისი როდია, აუცილებელია გავითვალისწინოთ ისიც, რომ სადავო სიტუაცია შეიძლება ნებისმიერ სფეროში წარმოიქმნას, შესაბამისად უნდა არსებობდეს დავის მოგვარების ისეთი მექანიზმები, რომელიც სწრაფად და ეფექტურად შეძლებენ კონფლიქტური ვითარების რეგულირებას.

საქართველოში, ისევე როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში დავის გადაწყვეტის რამდენიმე საშუალება არსებობს, მაგალითად როგორიცაა სასამართლო, არბიტრაჟი და მედიაცია. ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს მედიაცია, ვინაიდან სწორედ ის არის მიჩნეული როგორც, კონფლიქტის მოგვარების ყველაზე ხელსაყრელი, სწრაფი და ეფექტური პროცესი.

მედიაცია მოლაპარაკების პროცესის მხარდაჭერა და ხელშეწყობაა.¹ იგი წარმოადგენს დავის მოგვარების კრეატიულ საშუალებას, რომლის მეშვეობითაც მხარეები თვითონ ღებულობენ მათვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებას/შეთანხმებას დამოუკიდებელი მედიატორის (არბიტრის) ხელშეწყობით.²

¹ დავის ალტერნატიული გადაწყვეტილების ნაციონალური ცენტრი, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 2013, გვ. 12.

² Bush Baruch Robert A, Folger Joseph P, *The Promise of Mediation: The Transformative Approach to Conflict*, Jossey-Bass, 25.10.2004, გვ. 18.

ელექტრონული დავის – მედიაცია კორპორაციულ დავებში

მედიაციას მრავალი პრინციპი გააჩნია, რომელიც მას დავის გადაწყვეტის სხვა პროცესებისგან გამოარჩევს მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის ნებაყოფლობითობის და კონფიდენციალურობის პრინციპებია. ზუსტად ეს ორი პრინციპი წარმოადგენს იმის გარანტს თუ რატომ უნდა იქნას არჩეული კორპორაციების მიერ დავის გადაწყვეტის საშუალებად სწორედ მედიაცია.

მედიაციის მიზანი არ არის სასამართლოს ჩანაცვლება³, პირიქით ის მის განტვირთვაში მონაწილეობს, რაც თავის მხრივ ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას უწყობს ხელს.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ერთ-ერთ მთავარ მიზანს ხელსაყრელი სამენარმეო გარემოს შექმნა წარმოადგენს, ამისათვის საჭიროა შევქმნათ ისეთი საფუძველი და მექანიზმები, რომლებიც მხარეებს/დაინტერესებულ პირებს მაქსიმალური ავტონომიის საშუალებას მიანიჭებს. ბიზნესი და განსაკუთრებით კერძო ბიზნესი არ არის ის სფერო, სადაც სახელმწიფო სავალდებულო მინიმუმის მიღმა უნდა ერეოდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ბიზნესის დაწყება არ არის დაკავშირებული რთულ პროცედურებთან, თუმცა აქვეა დავის წარმოშობის საფრთხეებიც, რომელიც მაქსიმალურად სწრაფად უნდა გადაწყდეს რათა კომფორტული ბიზნეს გარემო არ დაზარალდეს.

1.1 კორპორაციული დავის სახეები

კორპორაციული დავები შეიძლება დავყოთ, როგორც შიდაკორპორაციულ, ისე გარე კორპორაციულ დავებად. შიდაკორპორაციულია დავები, რომლებიც წარმოიშობა თანამშრომლებს, თანამშრომლებსა და დამსაქმებლებს შორის

³ Relly Therese M. and Mackenzie Deborah L., *ADR in the Corporate Environment, Legal Works and Now You Know*, 29.10.1999, გვ. 23.

და/ა.შ, ხოლო გარე კორპორაციულია დავა, რომელიც კომპანიის სხვა პირთან ან უმეტესად სხვა კომპანიასთან აკავშირებს.

უცხოეთში მედიაცია ეფექტურად გამოიყენება კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული დავების გადასაწყვეტად, რაც გარკვეულწილად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ბევრი კორპორაციული მართვის პრინციპი მოცემულია კორპორაციული კოდექსის ან კომპანიის შიდა აქტებით – შესაბამისად, დავები შეიძლება წარმოიშვას ისეთ საკითხებზე, რომლებიც არც კი იყოს გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი კანონმდებლობა ხშირად არ პასუხობს კორპორაციული მართვის თანამედროვე სტანდარტებს). ასეთ შემთხვევაში მედიაციას შეუძლია მოაგვაროს ისეთი საკითხები, რომლებიც არასათანადოდ, ან საერთოდ არ არის დარეგულირებული მოქმედი კანონმდებლობით და ამით ხელი შეუწყოს ეფექტური კორპორაციული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.⁴

ზოგადად, მედიაცია შეიძლება გამოიყენებულ იქნეს კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული ისეთი დავების გადასაწყვეტადაც, როგორიცაა: პირადი ინტერესის შემცველი გარიგებები – გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, ბორდის წევრების ინტერესთა კონფლიქტი, ინსაიდერული ოპერაციები; წლიური ანგარიშები – დავები აქციონერებსა და ბორდს ან/ და აუდიტორს შორის, აქციონერების მიერ ანგარიშის დამტკიცებაზე უარის თქმის შემთხვევაში; ბორდის წევრების არჩევა ან დანიშვნა – დავები აქციონერებსა და ბორდის დანიშვნის კომიტეტის წევრებს შორის წარმოდგენილ კანდიდატურებზე, ან არჩევის/ დანიშვნის

⁴ ჯანჯალაია ბ., მედიაცია – სასამართლოში კორპორაციული დავის განხილვის აღტერნატივა, ბიზნესი და კანონმდებლობა, 2009, #10, ხელმისაწვდომია

<http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika-00-1----0-10-0---0--0prompt-10---4-----0-1l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cI=CL4.4&d=HASHb28082b2ef60e6bd07b85b.8.1>=1>

კრიტიკიუმებზე; ბორდის ანაზღაურება და ბონუსები – დავები აქციონერებსა და ბორდის ანაზღაურების კომიტეტთან ან ბორდთან ანაზღაურების მოცულობაზე ან კრიტიკიუმებზე; აქციათა ღირებულების დადგენა – დავები აქციონერებსა და ბორდს შორის აქციების შეფასების მეთოდზე (მაგალითად, აქციათა სავალდებულო მიყიდვისას ან აქციათა ან ბონდების გამოშვებისას); კომპანიის შთანთქმის პროცესი – დავები აქციონერებსა და ბორდს შორის შემოთავაზებული შთანთქმის გეგმის პირობების და შესაბამისობის შესახებ კომპანიის შიდა წესებთან (წესდება ან აქციონერთა შეთანხმება) და გარე მარებულირებელ ნორმებთან (მაგალითად, ლისტინგის წესები, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და ა.შ.); ინფორმაციის გამუდავნება – დავები აქციონერებსა და ბორდს შორის შესაბამისი ინფორმაციის მიუწოდებლობის ან/და არასათანადო გამუდავნების გამო; უმცირესობაში მყოფ აქციონერთა უფლებების დაცვა – დავები უმცირესობაში მყოფ და უმრავლესობის მქონე აქციონერებს შორის ბორდის წევრთა წარდგენასთან/ დანიშვნასთან დაკავშირებით, ან აქციათა სავალდებულო მიყიდვისას; ბორდის მიერ უფლებამოსილებათა არასათანადო განხორციელება – დავები აქციონერებსა და ბორდს შორის უკანასკნელის მიერ ჩადენილ დარღვევებზე ან მართვაში დაშვებულ შეცდომებსა თუ გადაცდომებზე; არაშესაბამისობა კორპორაციული კოდექსებისა და მოქმედი

კანონმდებლობის მოთხოვნებთან – დავები აქციონერებსა და ბორდს შორის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების არშესრულების გამო და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევაზე.⁵

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონი სრულად ვერ პასუხობს თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კანონის ჩანაწერი ზოგჯერ ორაზროვან შინაარს შეიცავს, ასეთ შემთხვევაში მედიაცია შეიძლება იდეალურ საშუალებათაც კი მივიჩნიოთ იმი-

⁵ იხ. იქვე.

სათვის, რომ მხარეთა შორის დავის გადაწყვეტა დამოკიდებული იყოს არა მოსამართლის მიერ კანონის ინტერპრეტაციაზე, არამედ თვითონ მხარეთა ნებასა და ინტერესზე.

რაც შეეხება კომერციულ გარემოს, კანონიერი ბიზნესის და ჯანსალი კონკურენციის საფუძველი ის ურთიერთობებია, რომლებიც ამა თუ იმ კომპანიას ერთმანეთთან აკავშირებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი დავის დროს ამ ურთიერთობის შენარჩუნება და დავის სწრაფი მოგვარებაა.

დავის მოგვარების მედიაციის საშუალებით გადაწყვეტა, ნარმოადგენს იმ ყველაზე ეფექტურ ხერხს, რომელიც ნამდვილად პასუხობს თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს. მისი საშუალებით იხარჯება, როგორც ნაკლები დრო ისე ფინანსური რესურსი. გარდა ამისა, ნებაყოფლობითობის პრინციპი მხარეებს აძლევს საშუალებას ისე ნაიყვანონ მედიაციის პროცესი როგორც მათ სურთ, თვითონ განსაზღვრონ სამედიაცო მორიგების პირობები, არ შეიზღუდონ თავი მხოლოდ დავის საგნით და ამასთანავე, დაასრულონ მედიაციის პროცესი თავისი სურვილისამებრ.

გარდა ამისა, როგორც ადამიანს გააჩნია ლირსება, ისე იურიდიულ პირს გააჩნია რეპუტაცია. კომპანიათა საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, უმნიშვნელოვანესია, რომ ნებისმიერი სადაცვო ვითარება დარჩეს კონფიდენციალობის საზღვრებში, რადგან ზოგიერთი ინფორმაციის გამუდავნებამ შესაძლოა არასასურველ შედეგამდეც მიგვიყვანოს, განსხვავებით სასამართლოსაგან, სადაც გამონაკლისების გარდა, სხდომათა უმრავლესობა საჯაროა და კონფიდენციალურობას ვერავინ უზრუნველყოფს.

1.2. ათი მიზეზი თუ რატომ უნდა მივმართოთ კომერციული დავების დროს მედიაციას

როგორც უკვე აღვნიშნეთ მედიაცია კომერციულ დავებში შესაძლოა ბიზნესისთვის ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან და ეფექტურ დარგად იქცეს საქართველოს რელობაში.

ელექტრონული დაცვის – მედიაცია კორპორაციულ დაცვებში

შეგვიძლია დაგასახელოთ მინიმუმ ათი მიზეზი თუ რატომ უნდა გავამახვილოთ ყურადღება მედიაციაზე, როგორც კო-მერციული დავის გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებაზე.

მიზეზი №1

მედიაციის პროცესი შესაძლოა განვითარდეს ოპერატორულად. არ არის საჭირო დაცვეოლოდოთ იმას, თუ როდის ჩაინიშნება სასამართლო პროცესი, რამდენი ხანი გაგრძელდება, როგორ გადაწყვდება და როგორ აღსრულდება. მხარეები თვითონ ირჩევენ მედიაციის ჩატარების დროს და არეგულირებენ მის ხანგრძლივობას.

მიზეზი №2

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ მედიაციის პროცედურა ეფუძნება კონფიდენციალურობის პრინციპს. ტელევიზიის და პრესის სამყაროში მედიაციის კონფიდენციალურობის მაღალი სტანდარდი დავის გადაწყვეტის ამ სახეობას მიმზიდველ პერსპექტივას უქმნის⁶. ის რაც მედიაციის პროცესზე ითქვა, არ შეიძლება მედიატორის ან რომელიმე მხარის მიერ გაუღერებული იქნებს სადმე, მათ შორის სასამართლოში. ხელშეკრულების დადება კონფიდენციალურობაზე ერთ-ერთი ხერხია მედიაციის ამ ძირითადი თვისების რეალობაში გატარებისათვის. მხარეებს შეეძლებათ განსაზღვრონ მათი ვალდებულება ინფორმაციის გაუმჯდავნებლობაზე მათ მიერ დადებული ხელშეკრულებით. მხარე დაიცავს ამ პრინციპს არა იმიტომ, რომ კანონი ავალდებულებს, ან ვინმერ დაავალა მას, არამედ იმიტომ, რომ იგი დაეთანხმა მის დაცვას და მისი ნება იყო კონფიდენციალურობის შენარჩუნება.⁷

⁶ Goldberg Stephen B., Sander Frank E.A, Rogers Nancy H and Cole Sarah Rudolph, *Dispute Resolution – Negotiation, Mediation and Other Processes*, Aspen Publishers, 2007, გვ. 441.

⁷ დავის ალტერნატიული გადაწყვეტილების ნაციონალური ცენტრი, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 2013, გვ. 28.

მიზეზი №3

მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპსა და მედიატორის მიერ მხარეთა ინტერესთა ბალანსის შენარჩუნების შედეგად მიიღება ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სასურველია ორივე მხარისათვის და შესაბამისად მისი აღუსრულებლობის რისკი ნაკლებია.

მიზეზი №4

მედიაცია ორიენტირებულია მომავალზე და მხარეებს შესაძლებლობას აძლევს არ დარჩნენ კონფლიქტურ სიტუაციაში და განაგრძონ მეგობრული/პარტნიორული ურთიერთობა.

მიზეზი №5

მედიაციის პროცესში, განსხვავებით სასამართლოსგან მხარეები არ არიან შებოჭილნი მხოლოდ დავის უშუალო საგნით. მხარეთათვის სასურველი შედეგის მისაღწევად მათ შეუძლიათ კონფლიქტურ სიტუაციას მიუდგნენ კომპლექსურად და გასცდენ იმ დავის საგნის საზღვრებს, კონკრეტულად რომელზეც სასამართლოში იდავებდნენ.⁸

მიზეზი №6

განსხვავებით სასამართლო პროცესისგან, მხარეებს ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა დაუბრუნდნენ მედიაციის პროცესს, იგივე დავის საგანზე იგივე მხარეებს შორის და განაგრძონ მათთვის მისაღები გამოსავლის ძიება.

⁸ Beer Jennifer E., Packard, Caroline C, *The Mediator's Handbook: Revised & Expanded fourth edition*, New society publishers, 01.10.2012, გვ. 5.

მიზეზი №7

მედიაციის პროცესი გაცილებით უფრო ეკონიმიურია ვიდრე სასამართლოს, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმას რომ შედეგი შეიძლება უფრო მოკლე დროში იქნას მიღწეული და შესაბამისად მხარეთათვის ასეთ ვითარებაში ხელმისაწვდომი იქნება ეფექტური მართლმსაჯულება, რომელსაც ხშირ შემთხვევაში მხარეები ვერ ღებულობენ სასამართლოს გადატვირთულობის გამო.

მიზეზი №8

სასამართლოში გადაწყვეტილება მიიღება მოსამართლის მიერ, რომელიც შეიძლება კანონიერი იყოს მაგრამ აბსოლუტურად არაპროგნოზირებადი მხარეთათვის. მედიაციის დროს მხარეებს შეუძლიათ წინასწარ განჭვრიტონ მოლაპარაკების შედეგი და ამის შესაბამისად განსაზღვრონ მათი მომვალი ქმედებები.

მიზეზი №9

მედიაციის პროცესი და მისი შედეგი მთლიანად კონტროლირებადია მხარეების მიერ. მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ სწორი გამოსავალი იპოვონ, რადგან მათზე უკეთესად სიტუაციას არავინ იცნობს. გარდა ამისა, მედიაციის ყოველ მხარეს აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ უარი თქვას მედიაციის პროცესზე, მედიატორის დახმარება ამ შემთხვევაში მიმართულია იმისათვის, რომ მხარეთა შორის შედგეს კომუნიკაცია მშვიდ გარემოში და რაც შეიძლება მეტი ალტერნატივა შეირჩეს კონფლიქტის გადასაწყვეტად.

შესაბამისად, მხარეთა ნების ავტონომიურობა მედიაციის მთლიან პროცესზე ვრცელდება დაწყებული მედიატორის არჩევიდან დასრულებული შეთანხმებით ან შეუთანხმებლობით.⁹

⁹ Esplugues. C., Marquis L., *New Developments in Civil and Commercial Mediation (Global Comparative Perspectives)*, Volume 6, Springer, 2015, გვ. 28.

მიზეზი №10

ვინაიდან მედიაციის პროცესი წარიმართება დახურულ შეხვედრაზე, კომერციული დავა ინარჩუნებს კონფიდენციალურობას, რაც თავის მხრივ ეხმარება კომპანიებს შეინარჩუნონ საქმიანი რეპუტაცია, მიუხედავად იმისა, თუ მათმა რა ქმედებამ გამოიწვია ესა თუ ის კონფლიქტი.

2. წარმომადგენლის მიერ საქმის მომზადება კორპორაციული მედიაციის პროცესისათვის

კორპორაციულ მედიაციის დავებში (და არა მარტო) წარმატების შანსი ერთი ორად იზრდება, როდესაც საქმე კარგად არის მომზადებული მხარის წარმომადგენლის მიერ. მომზადების მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მხარე და წარმომადგენელი როგორც წესი აბსოლიტურად მოუმზადებლად არიან გამოცხადებულნი, ყველანაირი მოლაპარაკების გეგმის გარეშე.¹⁰ მედიაცია არ წარმოადგენს კიდევ ერთ სასამართლო განხილვას, შესაბამისად საჭიროა მისი ღრმა ანალიზი და საქმისათვის სათანადო მომზადება.

"მოდი ვცადოთ, რატომაც არა" არის არასწორი მიდგომა. წარმატებული კორპორაციული მედიაციის პროცესისათვის მომზადებულმა ადვოკატმა სასურველია, რომ გაითვალისწინოს ქვემოთ მითითებული რჩევები.

2.1. წინასწარ გააფრთხილეთ კლიენტი მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებაზე

გამომდინარე იქიდან რომ სასამართლოსათვის მიმართვიანობის შედეგად კლიენტთა უკანასკნელება იზრდება, ისინი მუდმივად სთხოვენ ადვოკატებს მონახონ რაიმე შედარებით უფრო მარტივი და სწრაფი გზა დავის გადასაწყვეტად.

¹⁰ Lewis Susan E., John Wiley and Sons. Inc, *Alternatives to high cost of litigation, International institute for conflict Prevention and resolution*, Vol. 24, No.6, 06.2006, 83.102

ელექტრონული დაცვებში – მედიაცია კორპორაციულ დაცვებში

ადვოკატმა წინასწარ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტს მედიაციისა და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ საშუალებებზე. ასეთ შემთხვევაში, მედიაციის გამოყენება შეიძლება დავის ჯერ კიდევ ადრეულ სტადიაზე, სანამ ემოციური ფონი მოიმატებს და

მედიაცია ყველაზე ეფექტურია, როდესაც ის დავის საწყისს ეტაპზე არის გამოყენებული, თუმცა ამისათვის კლიენტის ინფორმირებაა საჭირო. კლიენტი დარწმუნებული უნდა იყოს რომ მედიაცია ნამდვილად შედეგის მომტანია. საჭიროა, რომ მას განემარტოს მედიაციის დადგებითი და უარყოფითი მხარეები, ადრეული ინფორმირებულობით უფრო მეტი შანსია, რომ მხარე უკეთ მოემზადოს და მედიაციის პროცესიც მოდავე მხარეთათვის წარმატებულად დასრულდეს.

2.2 აღუნერეთ მედიაციის პროცესი თქვენს კლიენტს

მედიაციის უშუალო პროცესამდე, ადვოკატმა ზედმინევნით უნდა განუმარტოს კლიენტს მედიაციის არსი და ბუნება. ბევრი კომანისთვის დავის გადაწყვეტის ეს საშუალება ჯერ კიდევ უცხოა. ყველაზე მთავარი, რაც მხარისთვის უნდა იყოს განმარტებული არი ის რომ მედიაცია არ არის იძულებითი. მედიაცია არ ავალდებულებს კლიენტს რომ გადაწყვიტოს ან სხვაგვარად დაასრულოს დავა. მედიაცია უბრალოდ დამოუკიდებელი მესამე პირის დახმარებით წარმართული პროცესია, რომელიც ორიენტირებულია საერთო ინტერესების გამოკვეთაზე. მედიაციის ეს არაიძულებითი ხასიათი მხარეებს აძლევს საშუალებას თვითონ აკონტროლონ მთლიანი პროცესი და მიყვნენ თავიან რეალურ სურვილებს, რაც ზოგჯერ ვერ ხერხდება სასამართლო პროცესის დროს.

კლიენტი უნდა იყოს ინფორმირებული თუ, როგორ წარიმართება მედიაციის ტიპიური პროცესი. თავდაპირველად მედიაციის პროცესი იწყება მედიატორის გახსნითი სიტყვით, ამის შემდეგ პრეზენტაცია უშუალოდ მხარეებმა უნდა წარმოადგინონ. არსებობს ვარაუდი რომ პრეზენტაცია უშუალოდ მხარემ უნდა დაიწყოს თუმცა კორპორაციულ დაცვებ-

ში უპირატესობა ენიჭება პრეზენტაციის ადვოკატის მიერ მომზადებას. ამის შემდგომ ვისმენთ მოდავე მხარის პოზიციას, მედიატორის შეხედულებისამებრ შეიძლება დაიგეგმოს ცალკეული შეხვედრები, სადაც კლიენტები მოახერხებენ, რომ უფრო თავისუფლად ისაუბრონ თავიანთ რეალურ ინტერესებსა და მიზნებზე.

როგორც წესი არანაირი მტკიებულება, მოწმის დაკითხვა ან ოფიციალური ჩანაწერების გაკეთება არ ხდება მედიაციის პროცესში.¹¹

2.3 შეისწავლეთ მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა თუ ასეთი არსებობს და თვითონ მედიატორი

მედიაციის პროცესის მომზადების განმავლობაში, ადვოკატმა უნდა შეისწავლოს მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა თუ ასეთი არსებობს და თვითონ მედიატორი, აუცილებელია რომ მედიატორს შესაბამისი კვალიფიკაცია გააჩნდეს რათა წარუდღვეს პროცესს.

ძირითადი კვალიფიკაცია მოიცავს წინა გამოცდილებას, მხარეებისადმი პატივიცემას, პიროვნულ თვისებებს და დავის საგნის ცოდნას. შესაძლოა იყოს, ან შესაძლოა არ იყოს მნიშვნელოვანი მედიატორის მიერ დავის მარეგულირებელი კანონმდებლობის ცოდნა,¹² ეს დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე.

თითოეულ მედიატორს აქვს დავის გადაწყვეტის თავისებური სტრატეგია ან თავისებური მიდგომა, ამიტომ ყურადღებით უნდა აირჩეს ისეთი მედიატორი რომელიც ადვოკატისა და მხარის აზრით უკეთ წარმართავს პროცესს.

¹¹ Younger Stephen P, *Effective Representation of Corporate Clients in Mediation*, 59 alb. L. Rev. 951, HEINONLINE, 1996, გვ. 3.

¹² Younger Stephen P, *Effective Representation of Corporate Clients in Mediation*, 59 alb. L. Rev. 951, HEINONLINE, 1996, გვ. 4. Younger Stephen P, A Mediator Without Expertise May Yield Destructive Results, NAT'L L.J., 11.04. 1994, at გვ. 14.

2.4 შეარჩიეთ საუკეთესო წარმომადგენელი თქვენი კლიენტისათვის

იურიდიულ პირებს სამართლებრივ ურთიერთობებში წარმომადგენენ როგორც წესი მისი დირექტორები (და/ან სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლები), შესაბამისად, ად-ვოკატის გარდა პროცესს დირექტორი (და/ან სხვა უფლება-მოსილი წარმომადგენელი) ესწრება.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სწორად შერჩევა მნიშვნელოვანი ელემენტია. კომპანიის წარმომად-გენელი უნდა იყოს პირი, რომელიც შეძლებს საკუთარი პო-ზიციის შენარჩუნებას. ზოგიერთი წარმომადგენელი შესაძ-ლოა კარგად ვერ აფიქსირებდეს თავის მოსაზრებას, ზოგი-ერთი შესაძლოა იმდენად ემოციურად იყოს მიჯაჭვული საქ-მესთან, რომ ობიექტურად ვერ გაანალიზოს სიტუაცია.

წარმომადგენელი კარგად უნდა იცნობდეს სადაცვო ურ-თიერთობის ფაქტებს. თუმცა, არის შემთხვევები როდესაც გამოსადევგიც არის, რომ შეირჩეს ისეთი წარმომადგენელი რომელსაც სადაცვო საკითხთან პირდაპირი შეხება არ ჰქონია, რათა უზრუნველყოფილი იყოს მხარის დამოუკიდებლობა გარე ფაქტორებისგან.¹³ აუცილებელია რომ კლიენტმა მედი-აციის პროცესი დაიწყოს ოპტიმისტურად, შედეგზე ორიენ-ტირებულმა.

საბოლოოდ, არსებითია, რომ მედიაციის პროცესზე წარმოდგენილი იყოს ისეთი პიროვნება, რომელსაც უშუა-ლოდ შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება, რადგან მედია-ციის დინამიკურობიდან გამომდინარე, თუ პროცესზე არ ეს-წრება ის პირი ვინც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, ამან შეიძლება გააჭიანუროს პროცესის მსვლელობა და სა-ბოლოოდ არასასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს.

¹³ Younger Stephen P, Effective Representation of Corporate Clients in Mediation, 59 alb. L. Rev. 951, HEINONLINE, 1996, გვ. 6.

2.5 განიხილეთ წინასწარ შეთანხმების პირობები და მოლაპარაკების სტრატეგია

ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი მახასიათებელი, რომელიც მედიაციას გააჩნია არის ის, რომ მხარეთა მიერ მიიღება შეთანხმება, რომელიც არ გულისხმობს მხოლოდ ერთი მხარის მიერ მეორესთვის თანხის გადახდას. კლიენტს უნდა ესმოდეს რომ შესაძლოა არსებობდეს რამოდენიმე სასარგებლო შეთანხმება/გადაწყვეტილება. აუცილებელია, რომ ფულად საკითხებთან ერთად განხილულ იყოს არაფულადი საკითხებიც, თუ რა თქმა უნდა საქმე იძლევა ამის შესაძლებლობას. ესეთი შეიძლება იყოს მაგალითად ფორმალური მობილიშება. თუმცა, ასეთი საკითხები წინასწარ უნდა იყოს განხილული კლიენტთან რათა შემდგომ მოულოდნელობის ეფექტი არ შეიქმნას.

მედიაციის პროცესში მონაწილეობის მიღებამდე აუცილებელია რომ წინასწარ იქნას დასახული გეგმა თუ რაზე შეიძლება მოლაპარაკება, რა მინიმალური და მაქსიმალური საზღვრები შეიძლება მათ ჰქონდეს, რა აღტერნატივების შეთავაზება შეიძლება. შესწავლილ უნდა იქნას კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, საქმე წინასწარ მომზადებული უნდა იყოს ისე რომ მაქსიმალურად იყოს დაცული კომპანიის ფინანსური ინტერესები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია რომ ადვოკატმა იმოქმედოს კლიენტთან შეთანხმებულად, არ დაუმალოს მას ფაქტები და არ მიიღოს თვთინებური გადაწყვეტილებები.¹⁴

მოწინააღმდეგე მხარეც და მედიატორიც ეცდება რომ კლიენტის და მისი ადვოკატის ესა თუ ის პოზიცია მოდიფიცირებულ იქნას, ამიტომ ყოველი მხარე ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს, მათ შორის ახალი შემოთავაზებების მიღებისთვისაც.

¹⁴ Murray O. Russel, The Mediation Handbook: Effective Strategies for Litigators, Bradford Publishing Company, 2010, გვ. 184.

2.6 შეისწავლეთ თქვენი კლიენტისა და მოწინააღმდეგების მხარის ინტერესები

მედიაციის პროცესის უმეტესი ნაწილი ეძღვნება პირ-ველ რიგში მხარეთა ინტერესების გამოკვეთას და შემდგომ უკვე მოლაპარაკებას. მოლაპარაკების დროს თითოეული მხარე ცდილობს წარმოაჩინოს თავისი ხედვა საკითხის შესახებ და ამასთანავე გაანალიზოს მოწინააღმდეგების ინტერესებიც. ყველაზე მომგებიანია ინტერესთა ბალანსის დაცვა. უმჯობესია თუ ადვოკატი ხშირად ჰკითხავს კლიენტს ამა თუ იმ პოზიციის შესახებ თავის აზრს, რადგან ის შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს.¹⁵

მედიაციის პროცესის მომზადებისას, კარგი იქნება თუ საკითხს ადვოკატი მიუდგება თავდაპირველად მოწინააღმდეგების მხარის პოზიციიდან. კლიენტთან ერთად მაქსიმალურად უნდა იქნეს გაანალიზებული თუ რატომ წარმოიშვა მათი აზრით კონფლიქტური სიტუაცია, რა მოლოდინები აქვთ და აქამდე რატომ ვერ გადაწყდა ეს დავა. ამის შემდგომ, სასურველია შეფასდეს თუ რა იქნება მომგებიანი კლიენტის-თვის და რაზე შეიძლება მოლაპარაკება.

2.7 მიმართეთ პრეზენტაცია უშუალოდ მოწინააღმდეგების მხარის და არა მისი წარმომადგენლისკენ

მედიაცია ადვოკატს ანიჭებს შესაძლებლობას რომ მოლაპარაკება ანარმონოს უშუალოდ მხარესთან, მისი ადვოკატის ჩარევის გარეშე.

როდესაც მედიაციის პროცესის დროს თქვენს პოზიციას აფიქსირებთ, საჭიროა რომ მაქსიმალურად არაკონფლიქტური ურთიერთობა გქონდეთ მოდავე მხარესთან, დასაწყისი დიდწილად განსაზღვრავს პროცესის დასასრულსაც.

¹⁵ Abramson, Harold I, Mediation Representation – Advocating as a Problem-Solver in Any Country or Culture, Second Edition, National Institute For Trial Advocacy, 2010, გვ. 311.

პრეზენტაცია მიმართული უნდა იყოს არა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის ან მედიატორისკენ არამედ უშუალოდ მხარისკენ, რადგან თვითონ მხარე იღებს გადაწყვეტილებას კონფლიქტის მოგვარების თაობაზე.

მნიშვნელოვანია თუ პოზიციის დაფიქსირების დროს გამოჩენდება დაინტერესება მოწინააღმდეგე მხარის პოზიციისადმი. ზოგჯერ დავა მხოლოდ იმიტომ მოგვარებულა, რომ რომელიმე მხარემ უბრალოდ ბოდიში მოიხადა.

მოწინააღმდეგე მხარეს უნდა მიეცეს საშუალება თავისი პერსპექტივიდან განიხილოს დავის საკითხი და მას არ უნდა შეაწყვეტინოთ. ეს ქმნის იმის შთაბეჭდილებას რომ მეორე მხარე ნამდვილად დაინტერესებულია და მას უსმენს. კარგი იქნება თუ მისი გამოსვლის შემდგომ დასვამთ დამაზუსტებელ კითხვებს.

თქვენს კლიენტსაც უნდა მიეცეს საუბრის საშუალება, ეს უფრო მეგობრულს გახდის გარემოს, თქვენ კი უნდა ეცადოთ, რომ საუბარი არ შეაწყვეტინოთ.

ადვოკატის როლი მედიაციაში ერთმნიშვნელოვნად განსხვავდება მისი როლისგან სასამართლო პროცესში. მაგალითისთვის, ეფექტური მედიაცია ადვოკატისგან მოითხოვს რომ გაანაალიზოს საქმის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე დაეხმაროს კლიენტს მოლაპარაკების წარმოებაში, ხოლო სასამართლო პროცესში ადვოკატი ძირითადად ორიენტირებულია საკუთარი პოზიციის ყველა ხერხით დამტკიცებაზე.

2.8. იყავით მომთმენი მედიაციის პროცესის დროს

მედიაციის პროცესი პირველივე შეხვედრაზე შეიძლება არ იყოს შედეგიანი. შედეგად, კლიენტი მოზადებული უნდა იყოს რომ მშვიდად შეხვდეს ამ პროცესს. ასევე უნდა მოიქცეს ადვოკატი, რომელიც ამ პერიოდში შესაძლო გზებს უნდა ეძებდეს შეთანხმების მისაღებად. პროცესის განმავლობაში, ორივე მედიატორი და ადვოკატიც მზად უნდა იყვნენ ახალი

იდეების მოსასმენად. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მედიაცია მოლაპარაკების პროცესია და მედიატორის მიერ მხარეთა რეალური ინტერესების გათვალისწინება გარკვეულ დროს საჭიროებს. ეს დრო შეიძლება სასარგებლოც კი აღმოჩნდეს დაპირისპირებული მხარეებისთვის, იმდენად, რამდენადაც ემოციური ფონი დროთა განმავლობაში შემცირდება და ორივე მხარე მოლაპარაკებაზე და საერთო ინტერესების პოვნაზე იქნება ორიენტირებული.

2.9. წარუმატებელი მედიაცია შეიძლება მაინც მომ- გებიანი იყოს

მედიაციის მთავარი დადებითი მახასიათებელი არის ის, რომ მხარეები მოკლე დროში აღწევენ შეთანხმებას. თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდება.

არსებობს დავები, რომლებიც მედიაციის საშუალებით არ გადაწყვეტილა, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი მედიაციის პროცესი სასარგებლო აღმოჩნდა.

მედიაციის ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია ადვოკატისთვის, რომელიც სასამართლო სხდომაზე დაობს კონკრეტულ საკითხზე. მედაციის საშუალებით შესაძლებელი იქნება პროცესის შესწავლა, პოზიციის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება. არის შემთხვევები, როდესაც კლიენტებსა და მათ ადვოკატებს სხვადასხვა ხედვა აქვთ სადაცვო საკითხის გადაწყვეტასთან მიმართებით, ზოგჯერ კლიენტი მხოლოდ მოგებაზე ფიქრობს და არ ცდილობს გაიაზროს თუ რა პრობლემა შეიძლება წარმოიშვას მომავალში. ადვოკატები კი პირიქით, ზოგჯერ ზედმეტად ფრთხილებიც არიან რაც ზოგჯერ რეალობასაც სცდება¹⁶. ხშირად ადვოკატები, ისევე როგორც კლიენტები გადამეტებულად აფასებენ საკუთარ პოზიციას და მიაჩნიათ, რომ მათ ძლიერი არგუმენ-

¹⁶ Binder David A., Bergman Paul Bruce, Price Susan C, West Publishing Company, 1991, გვ. 209.

ტები გააჩნიათ. თუმცა, მედიაციის პროცესი მათ სწორედ იმაში ეხმარება, რომ რეალურად შეაფასონ თავიანთი ძლიერი მხარეები დაინახონ სუსტი, იფიქრონ ამ სუსტის გამოსწორებაზე.¹⁷ ეს კი შესაძლოა მნიშვნელოვნად დაეხმაროს კომპანიას მოსალოდნელი ფინანსური ზარალის თავიდან ასაცილებლად.

3. მიღწეული შეთანხმების აღსრულებადობა

იმისათვის რომ მედიაციისთვის მიმართვიანობა ობიექტურ ჭრილში იქნას განხილული, საჭიროა მოსალოდნელი რისკების შეფასებაც. ყველაზე ცუდ შემთხვევაში მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება შეიძლება არ აღსრულდეს, ანუ მხარემ (და/ან მხარეებმა) თავი აარიდოს მის შესრულებას, ამის შედეგად შესაძლოა შემცირების ნაცვლად უფრო მეტი დრო და ფინანსური რესურსი დაიხარჯოს.

საქართველოს კანონმდებლობით დარეგულირებული არის მხოლოდ სასამართლო მედიაციის და სანოტარო მედიაციის შემთხვევები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ სასამართლო მედიაციის შედეგად, მხარეები შეთანხმდებიან, სასამართლო მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას, მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ.¹⁸ როგორც ვხედავთ, სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება ყალიბდება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების სახით, სადაც სასამართლო დეტალურად და ამომწურავად განსაზ-

¹⁷ Schachter Brian, *What positives can come out of an unsuccessful mediation?*, *Ess Settlement Services, Above and Beyond*, 28.04.2015, ხელმისაწვდომია <http://esqsettlements.com/what-positives-unsuccessful-mediation>.

¹⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.11.1957, 187⁷ (1).

ელექტრონული დავებში – მედიაცია კორპორაციულ დავებში

ლეგალურავს მორიგების პირობებს.¹⁹ ამასთან, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევებაში სასამართლოსადმი ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება²⁰, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფას მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების აღსრულებადობას დროის მოკლე პერიოდში.

განჩინების სახით მიღებულ სამედიაციო შეთანხმებას გააჩნია უარყოფითი მხარეც, იგი აღსასრულებლად მიექცევა დაუყოვნებლივ მხარეთა ნების გარეშე, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ნებაყოფლობითობის პრინციპს, რადგან მხარეებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ სურთ თუ არა ამ შეთანხმების აღსრულება.²¹

რაც შეეხება, კერძო მედიაციის შემთხვევებს, იგი მოწესრიგებული არ არის საქართველოს კანონმდებლობით, შესაბამისად რეგულირების მიღმა რჩება მისი აღსრულების საკითხიც, თუმცა ეს არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც მედიაციისთვის მიმართვიანობის შემაფერხებელი ფაქტორი, ვინაიდან ზოგადად, მედიაციის შედეგად გადაწყვეტილებას იღებს არა მედიატორი, არა მოსამართლე, არა არბიტრი, არამედ უშუალოდ მხარეები და მიღწეული შეთანხმებაც სწორედ მათი ინტერესების შეჯერების საფუძველია. მიღწეული შეთანხმება თუ სრულად არ პასუხობს მხარეთა ინტერესებს მაშინ ეს არ იქნება მათ შორის დავის გადაწყვეტის საუკეთესო გზა.²²

მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება ხელშეკრუ-

¹⁹ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესხმორებული გამოცემა, თბ., 2007, გვ. 374.

²⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.11.1957, 273 (2).

²¹ Golann Dwight, Folberg Jay, *Mediation The roles of Advocate and Neutral, Second Edition*, Aspen Publishers, 2011, გვ.

²² Siddik A El, *Enforceability of Mediation Outcome*, Murdoch University Electronic Journal of Law (2010) 17 (2), გვ. 14.

ლებაა.²³ ვინაიდან მორიგება მიღწეულ იქნა, შეგვიძლია ვივა-რაუდოთ, რომ სახეზე იყო როგორც ოფერტი ისე აქცეპტი. შესაბამისად, შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შეუს-რულებლობის შემთხვევაში, ვრცელდება იგივე წესები რაც ხელშეკრულების პირობების დარღვევის დროს²⁴. თუმცა, სა-სამართლოში საქმის განხილვის დროს შესაძლოა იმის მტკი-ცება გახდეს საჭირო საერთოდ დაიდო თუ არა ხელშეკრუ-ლება ან ხომ არ არის ის ბათილი.

განვითარებული სამენარმეო გარემოს შექმნისათვის, აუცილებელია, რომ ყოველი რისკი შეფასებული იყოს. ამი-ტომ თუ გვსურს, რომ მედიაციის მიმართ დაინტერესება გა-იზარდოს, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია მისი აღსრულების საკანონმდებლო რეგულირება, რადგან სწორედ ასეთი რე-გულირება შექმნის მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის სანდო ხერხის საფუძველს.

4. აღსრულების საკითხზე მსჯელობისას, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზე რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება კორპორაციულ დავებს, ანუ კომპა-ნიებს, რომელთათვისაც საქმიან რეპუტაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შესაბამისად, იმის რისკი რომ მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება შეიძლება არ აღსრულდეს, არის უფრო ნაკლები ვიდრე დავის სხვა კატეგორიებში. შესა-ბამისად, მისი აღსრულების რეგულირების არ ქონამ, არ უნ-და დააბრკოლოს კომპანიები რათა მიმართონ დავის გადაწ-ყვეტის ამ საშუალებას.

²³ იქვე გვ. 17.

²⁴ Fenn Peter, *Commercial Conflict Management and Dispute Resolution*, Spon Press, 2012, გვ. 35.

დასკვნა

„კარგი კორპორაციული მართვის უპირატესობა იკარგება, თუ თქვენ არ გაქვთ დავის გადაწყვეტის კარგი საშუალება“, მიგვაჩნია, რომ მედიაცია მომავლის საქმიანობაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებს ეფუძნება, ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ კონსტიტუციურად გარანტირებული უფლება – ეფექტური მართლმსაჯულება განხორციელებულ იქნას. სასამართლოების გადატვირთულობისა და პროცესის გაჭიანურების გამო, ხშირად ინტერესიც კი იკარგება დავის საგნის მიმართ. შესაბამისად, კომერციულ გარემოში სადაც თითოეულ წამს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური სტაბილურობისათვის, აუცილებელია შეირჩეს დავის გადაწყვეტის ისეთი ხერხი, რომელიც სწრაფად და მარტივად შეძლებს დავების მოგვარებას.

XXI სააუკუნეში როდესაც ყველაფერი კომპიუტერიზებული და ადამიანურობისაგან მაქსიმალურად დაცლილია, ეპოქაში, სადაც ხელშეკრულებებსაც კი რობოტები ადგენენ, მედიაცია იმ ადამიანური ურთიერთობების წყაროდ გვევლინება, რომელსაც შეუძლია პრობლემების უმტკივნეულოდ გადაჭრა. მედიაციის პროცესი არ ექვემდებარება იმპერატიულ კანონებსა და მკაცრ პროცედურებს. სწორედ ასეთი თავისუფლება და მხარეთა აბსოლიტური თანასწორობაა მედიაციის უპირატესობის

ძირითადი მიზეზი. ამ უპირატესობის გამოყენება ყველაზე ხელსაყრელია კორპორატიულ ურთიერთობებში, რადგან თავად ამ ურთიერთობების ქვაკუთხედს წარმოადგენს ნების ავტონომია და თანასწორობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დავის ალტერნატიული გადაწყვეტილების ნაციონალური ცენტრი, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერ-სპექტივები საქართველოში, თბილისი 2013;
2. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, თბ., 2007;
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.11.1957;
4. Abramson, Harold I, Mediation Representation – Advocating as a Problem-Solver in Any Country or Culture, Second Edition, National Institute For Trial Advocacy, 2010;
5. Beer Jennifer E., Packard, Caroline C, The Mediator's Handbook: Revised & Expanded fourth edition, New society publishers, 01.10.2012;
6. Binder David A., Bergman Paul Bruce, Price Susan C, West Publishing Company, 1991;
7. Bush Baruch Robert A, Folger Joseph P, The Promise of Mediation: The Transformative Approach to Conflict, Jossey-Bass, 25.10.2004;
8. Esplugues. C., Marquis L., New Developments in Civil and Commercial Mediation (Global Comparative Perspectives), Volume 6, Springer, 2015;
9. Fenn Peter, Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Spon Press, 2012;
10. Golann Dwight, Folberg Jay, Mediation The roles of Advocate and Neutral, Second Edition, Aspen Publishers, 2011;
11. Goldberg Stephen B., Sander Frank E.A, Rogers Nancy H and Cole Sarah Rudolph, Dispute Resolution – Negotiation, Mediation and Other Processes, Aspen Publishers, 2007'
12. Lewis Susan E., John Wiley and Sons. Inc, Alternatives to high cost of litigation, International institute for conflict Prevention

- and resolution, Vol. 24, No.6, 06.2006;
- 13. Murray O. Russel, The Mediation Handbook: Effective Strategies for Litigators, Bradford Publishing Company, 2010;
 - 14. Relly Therese M. and Mackenzie Deborah L., ADR in the Corporate Environment, Legal Works and Now You Know, 29.10.1999;
 - 15. Siddik A El, Enforceability of Mediation Outcome, Murdoch University Electronic Journal of Law (2010) 17 (2);
 - 16. Younger Stephen P., A Mediator Without Expertise May Yield Destructive Results, NAT'L L.J., 11.04. 1994;
 - 17. Younger Stephen P., Effective Representation of Corporate Clients in Mediation, 59 alb. L. Rev. 951, HEINONLINE, 1996;

ინტერნეტ რესურსები:

<http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi bin/library.exe?e=d-01000-00---off-Periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.4&d=HASHb28082b2ef60e6bd07b85b.8.1>=1>

<http://esqsettlements.com/what-positives-unsuccessful-mediation>.

**ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი
ლტოლვილთა სამართალში აღავიანის
უფლებათა ევროპული სასამართლოს
პრაქტიკის მიხედვით: აღავიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს მიღგომა საიდუმლო
იცოდმაციის გამოთხვის კუთხით**

**ლაშა ლურსმანაშვილი
ქართული და საერთაშორისო სამართლის
ინსტიტუტის აკადემიური პროფესიული
ხელმძღვანელი**

აპსტრაქტი:

თანამედროვე მსოფლიოს სამართლებრივ სივ-
რცეში ლტოლვილთა სამართალი ერთეული ყველაზე
პრობლემურ დარგად მიიჩნევა. მესამე მსოფლიოს
ქვეყნებიდან ნამოსული პირები ხშირად მიმართავენ ევ-
როპის ქვეყნებს თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნით.
საქართველოც არ არის ამ მხრივ გამოხაკლისი. თავშე-
საფრის მინიჭების პროცედურა განსხვავდება ქვეყნე-
ბის შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი წესრი-
გის მიხედვით. თუმცა, ევროპული კავშირის დირექტი-
ვებითა და ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის შესა-
ხებ 1951 წლის კონვენციის მემკვებით მაინც დგინდება
თამაშის მეტნაკლებად საერთო წესები. ხშირ შემთხვე-
ვაში, ასეთ პირებს თავშესაფრის მინიჭებაზე უარს
ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების მოტივის გა-
მო ეუბნებიან. თუმცა, საგულისხმოა, რომ ამ პირებს
არ ააქვთ იმ მტკიცებულებებსა და საფუძვლებზე
წვდომა, რომელზე დაყრდნობითაც განხორციელდა
თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმა. ლტოლვილთა
სამართლის პრობლემურობა თუნდაც ამ მარტივი სცე-
ნარით აიხსნება. სასწორის პინაზე მოთავსებულია სა-
ერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ისეთი უზოგა-

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლვილთა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

დესი პრინციპი, როგორიც ეროვნული უსაფრთხოებაა რომელიც ნებისმიერი სახელმწიფოს ცენტრალური ნანილია, ხოლო მეორე მხარეს მოთავსებულია რიგი დირექტივებითა და საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, განსაზღვრული ნინაპირობებისა და გარემოებების არსებობისას, პირისთვის თავშესაფრის მინიჭების თაობაზე. შედეგად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ნინაშე ხშირად გამხდარა სადაც ნინამდებარებირებულებათა ბალანსირების საკითხი. მნიშვნელოვანია ოქროს შუალედის ძიება. გაუმართლებელია თავშესაფრის მაძიებლის უფლებების შეღახვა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესით ჰიპოთეტურად აპელირების გამო, საპირისპიროდ, კი, უფრო მეტად გაუმართლებელია სახელმწიფოს არსებითი ეროვნული ინტერესის ხელყოფა თავშესაფრის მაძიებლის უფლებებისთვის არასამართლიანი პრიორიტეტის მინიჭების გამო, მხოლოდ იმიტომ, რომ საერთაშორისო არენაზე დიდი აპლოდისმენტები დაიმსახურო. ნინამდებარე სტატიის მიზანი არ არის სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესის ან ლტოლვილთა უფლებების ადვოკატირება. არა-მედ, სტატიის მოკრძალებული მცდელობაა განიხილოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი ლტოლვილთა სამართალში ეროვნულ უსაფრთხოებასთან და იმ მტკიცებულებებზე ნვდომასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც არ ხდება თავშესაფრის მინიჭებაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამ კუთხით, სტატიის ფარგლებში გაანალიზებულია ამ საკითხის ირგვლივ არსებული ზოგიერთი პრობლემური სამართლებრივი ასპექტი. მოცემული მიზნების შესასრულებლად, ძირითადად, მაგალითები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდანაა მოხმობილი.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული უსაფრთხოება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თავშე-

საფრის მინიჭება, მტკიცებულებებზე წვდომა, შეჯიბრებითობის პრინციპი, პერსონალურ მონაცემთა დაცვა.

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (შემდგომში მოხსენიებული იქნება როგორც კონვენცია) წარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე რეგიონალურ-სამართლებრივ ინსტრუმენტს კონვენციის ხელმომწერი მხარეებისთვის. ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში განუხრელად დაიცავენ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს და შესასრულებენ ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს. კონვენციის პირველი მუხლით ტყუილად არ არის დადგენილი ადამიანის ძირითად უფლებათა პატივისცემის ხოლო 46-ე მუხლით, გადაწყვეტილების სავალდებულო ძალისა და აღსრულების ვალდებულება.¹ კონვენციის პირველ მუხლში მოხსენიებული ტერმინი “ყველა-სათვის” იმთავითვე გულისხმობს, რომ კონვენცია სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან განსხვავდით, არ ექვემდებარება ნაცვალებისა და ეროვნულობის ტრადიციულ დოქტრინებს.² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთეურთ ცნობილ საქმეზე *Ireland v. the United Kingdom*, აღნიშნავს, რომ “კლასიკური ტიპის საერთაშორისო შეთანხმებებისგან განსხვავებით, კონვენციით გარანტირებულია უფრო მეტი, ვიდრე უბრალი აბსტრაქციები, რომლებსაც გააჩნიათ შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი წევრი სახელმწიფოებისთვის. იგი ქმნის, საერთო და მრავალმხრივი შეთანხმებების ქსელს, ანუ სხვაგვარად ობიექტურ ვალდებულებებს, რომელიც პრეამბულის ტექსტობ-

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 46: “მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისიანი არიან.”

² იხ. *Oppenheim's International Law*, Jennings & Watts eds. (9th ed, 1996), პარაგრაფები: 620, 376, 379.

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

რივი ფორმულირებიდან გამომდინარე, სარგებლობს აღსრულების კოლექტიური მექანიზმით.”³ ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანის უფლებები დაცვის ღირსია მიუხედავად პირის ეროვნულობისა, იმ მარტივი მოცემულობის გამო, რომელიც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში “by the virtue of human being”-ის სახელწოდებითაა ცნობილი.⁴

პირველი მუხლის თანახმად, “ყველა ინდივიდი” სარგებლობს კონვენციით განმტკიცებული უფლებებითა და თავისუფლებებით მაღალი ხელშემკვრელი მხარეების იურისდიქციის ფარგლებში.⁵ ამ კუთხით, კონვენციის პირველი მუხლის ლექსიკა მკაფიოა. აქ იგულისხმება, რომ სულ ცოტა თეორიულ დონეზე, კონვენციით გარანტირებული უფლებები ხელმისაწვდომია ყველასათვის, მათ შორის უცხოელებისთვის, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი მოქალაქეობის მქონე (მაგალითად, მიგრანტები და ლტოლვილები) თუ არმქონე პირები (ე.წ. “stateless”).⁶ აქედან გამომდინარეობს, რომ ეროვნულობის, საცხოვრებელი ადგილისა და რეზიდენტობის მხედველობაში მიღება კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის დადგენისას ირელევანტურია.⁷ ამდენად, კონვენციით განსაზღვრული უფლებები იმანენტურად ვრცელდება როგორც მოქალაქეებზე, ასევე მოქალაქეობის არ მქონე პირებზე. სწორედ ამაში ვლინდება, კონვენციის პირველი მუხლის ძირითადი არსი და სულისკვეთება, როდესაც მიუთითებს, რომ უფლებები და თავისუფლებები ყველასათვისაა ხელმისაწვდომი. საგულისხმოა, რომ კონვენცია განსაკუთრებით

³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Ireland v. the United Kingdom*, App.No. 5310/71, 1978 წლის 18 იანვარი, პარაგ. 239

⁴ იხ. R. Higgins, *Problems and process, international law and how we use it* (1994), გვ. 96.

⁵ იხ. Lambert H., *The position of aliens in relation to the European Convention on Human Rights*, 2007, Council of Europe Publishing, გვ.11

⁶ იხ. იქვე., გვ.11

⁷ იხ. იქვე., გვ.11

მნიშვნელოვანი დოკუმენტია თავშესაფრის მაძიებელი პირებისთვის. კონვენციის მოქმედების ფარგლები ვრცელდება ევროპის საბჭოს შემადგენლობაში მყოფ ყველა სახელმწიფოზე, რომელშიც 28 სახელმწიფო ევროპული კავშირის წევრია. გარკვეული მიზეზების გამო, ევროპის კონტინენტი განსაკუთრებით მიმზედველია თავშესაფრის მაძიებელი პირებისთვის. სავარაუდო მონაცემებით, ევროპაში დაახლოებით 6.5 მილიონი ლტოლვილია.⁸ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ზოგადი პრინციპის თანახმად,⁹ სახელმწიფოებს თავისუფლად შეუძლიათ აკონტროლონ უცხოელების ქვეყანაში შემოსვლისა და ცხოვრების საკითხები.¹⁰ კლასიკურ საერთაშორისო სამართალში უცხოლთა აღიარების არ არსებობის წებისმიერი ვალდებულება განმტკიცებულია სახელმწიფოთა უმრავლესობის ეროვნული კანონმდებლობითა და პრაქტიკით, რომელთა საფუძველია სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული უზენაესობის პრინციპები.¹¹ თუმცა, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის განვითარებასთან ერთად, თავისუფლების არეალი დინამიურად მცირდება. კერძოდ, ზოგადი საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და შეთანხმებებით, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის დარგში.¹² შესაბამისად, უამრავი საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებითაა განსაზღვრული თავშესაფრის მაძიებელთა უფლებები. მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-13 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-13 მუხლში და რა

⁸ როგორც მითითებულია, Marie Whitney K., *DOES THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS PROTECT REFUGEES FROM "SAFE" COUNTRIES?* „Christiane Berthiaume, Asylum Under Threat, <

<http://www.unhcr.ch/issues/asylum/rml010.htm>>

⁹ ე.წ. *Erga omnes* ნორმების კატეგორია

¹⁰ Lambert H., *The position of aliens in relation to the European Convention on Human Rights*, 2007, Council of Europe Publishing, გვ.17

¹¹ იხ. იქვე., გვ.17

¹² იხ. იქვე., გვ.17

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლვილთა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

თქმა უნდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განსაზღვრული რიგი უფლებები, მათ შორის მე-4 დამატებით ოქმის მე-2 პუქნტით დადგენილი უფლება.

საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არ არსებობისას, სახელმწიფოებს გააჩნიათ დისკრეციული უფლებამოსილება, პირს დართონ ქვეყანაში შემოსვლის ნება ან პირიქით არ მიანიჭოს მას ასეთი მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება.¹³ სამეცნიერო წრეებში აღნიშნავენ, რომ ეს იძვიათად ხდება. ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებმა, მათ შორის კონკრეტულმა შეთანხმებებმა ლტოლვილთა უფლებებზე, მნიშვნელოვნად შეამცირეს სახელმწიფოთა დისკრეციული უფლებამოსილება ამ საკითხის განსაზღვრის თაობაზე. ამ კუთხით კი, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ ითამაშა ე.ნ. vis-à-vis როლი ევროპული სახელმწიფოების დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირდით.¹⁴ მიუხედავად თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების მრავალფეროვანი არსენალისა, ეს სულაც არ ნიშნავს, იმას, რომ უფლებები აბსოლუტურია, და ისინი არ შეიძლება, რომ დაექვემდებაროს კონკრეტულ შეზღუდვებს. თავშესაფრის მაძიებლები უამრავი მიზეზის გამო აწყდებიან სირთულეებს თავშესაფრის მინიჭების კუთხით, როგორც საჩივრის დასაბუთების მატერიალური ასევე საპროცესო ასპექტების მხედველობაში მიღებისას. ხშირად სახელმწიფოები, ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მოტივით, უარს ეუბნებიან თავშესაფრის მაძიებელ პირებს საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე. დამატებითი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეფუძნება კონტრ დაზვერვის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რომელზეც განმცხადებელს სხვადასხვა მიზეზების გამო წვდომა არ გააჩნია. ქართული კანონმდებლობის თანახმად, კონტრ დაზვერვის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას სახელ-

¹³ იხ. იქვე., გვ.20

¹⁴ იხ. იქვე., გვ.20

მწიფო საიდუმლოებად მიიჩნევს.¹⁵ კერძოდ, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სამინისტროს მომართვის საფუძველზე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს თავშესაფრის მაძიებლის იდენტიფიკაციას და შესაბამისი სტატუსის განსაზღვრისას ამონებს ამ პირის მიერ მიწოდებულ ფაქტებს, აგრეთვე სამინისტროს აძლევს რეკომენდაციას თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის პოტენციური საშიშროების შექმნის საკითხზე. ამდენად, თავშესაფრის მაძიებლისთვის ცნობილიც არ არის ის მიზეზი ან მიზეზთა ერთობლიობა, თუ რატომ ეუბნებიან მას უარს თავშესაფრის მინიჭებაზე. კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე- 20¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, “ამ მუხლით გათვალისწინებული საქმის თაობაზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში არ მიეთითება ის მონაცემი, რომელიც გამოიწვევს გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამჟღავნებას.” ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20¹ მუხლის ნორმატიული შინაარსი, იძლევა შესაძლებლობას, რომ თავშესაფრის მაძიებლისთვის ლტოლვილისა თუ ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების შესახებ სასამართლო დავების შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებლისა და მათი დაცვის განმახორციელებელი პირებისთვის სახელმწიფო საიდუმლოდ მიჩნეული ინფორმაცია არ იყოს ხელმისაწვდომი.¹⁶ ქართული რეალობიდან გამომდინარე, თავშესაფრის მაძიებლისთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე სახელმწიფო უსაფრთხოების უარის თქმის საფუძვლად კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენება.¹⁷ “კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის

¹⁵ იხ. “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონი

¹⁶ იხ. IDFI, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, „საქართველოში თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის პროცედურები გამჭვირვალე არ არის“, გვ.5

¹⁷ იხ. იქვე, გვ.5

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ელტოლებითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

პირველი პუნქტის მიხედვით, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. მსგავსი პრობლემაა ევროპის ბევრ ქვეყანაში. ხშირად, თავშესაფრის მაძიებელი პირები ხშირად მიმართავენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და დავობენ, რომ თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმით გამოწვეულ იქნა კონვენციით გარანტირებული უფლებების ხელყოფა. შედეგად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ამ საკითხის ირგვლივ საკმაოდ მრავალფეროვანია.

ნინამდებარე სტატიის მიზანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებების მიმოხილვა, რომელიც ეხება თავშესაფრის მაძიებლის ინდივიდუალური უფლებებისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების ერთობლივ ანალიზს. დამატებით კი, განხილული იქნება ევროპული სასამართლოს მიერ საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის სტანდარტი Leander-ის, Rotaru-სა და სხვა საქმეების მიხედვით.

2. თავშესაფრის მაძიებლის ინდივიდუალური უფლებები ეროვნული უსაფრთხოების პირისპირ

2017 წლის 15 აპრილს, ნიუ-ოირქში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ტერორიზმთან წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტზე, უმაღლესი კომისრის ასისტენტმა მოხსენებისას აღნიშნა, რომ ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება და ლტოლვილთა დაცვა უნდა აღიქმებოდეს ერთობლივ პრირიტეტად. ¹⁸ ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებით არ უნდა შეილახოს თავშესაფრის მაძიებლის უფლებები, ხოლო თავშესაფრის მაძიებლის უფლებე-

¹⁸ *nb. United Nations Security Council Counter-Terrorism Committee New York, 5 April 2017 Open Briefing by Volker Türk, Assistant High Commissioner for Protection, გვ.1*

ბისთვის გადაჭარბებული პრიორიტეტის მინიჭებით არ უნდა შეიღახოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესი. მნიშვნელოვანია ორივე ინტერესის სამართლიანი დაბალანსება, ოქროს შუალედის ძიება. ადამიანის უფლებათა დაცვის სადარაჯოზე მყოფი, სტრასბურგის სასამართლოც იზიარებს ამ მოსაზრებას, და ზემოაღნიშნულ მისიას კუმულაციურ ერთობლიობად განიხილავს. ამის ნათელი დასტურია პრეცედენტულ სასამართლო პრაქტიკაში არსებული ის გადაწყვეტილებები, რომელიც შეეხება ეროვნული უსაფრთხოებისა და თავშესაფრის მაძიებელი პირთა ინდივიდუალურ ინტერესებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა კატეგორიას, რომელიც შეეხება თავშესაფრის მაძიებელი პირების უფლებებს პრაქტიკაში ე.წ. დუბლინის გადაწყვეტილებების სახელით არის ცნობილი.¹⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი ლტოლვილთა უფლებების განმტკიცებასა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების ბალანსირების კუთხით ფასდაუდებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომელიც ეხება ლტოლვილთა უფლებებს, ერთერთი ყველაზე ხშირად ციტირებადი საქმეა, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე *Soering v. United Kingdom*.²⁰ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, განმცხადებელი თავის მეგობარ გოგოსთან ერთად დააკავეს ინგლისში, ჩეკის გაყალებების ბრალდებით. თუმცა, მანამდე მას ბრალად ედებოდა ვირჯინიის უნივერსიტეტში სწავლის დროს, მეგობარი გოგოს მშობლების მკვლელობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, იგი დავობდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნების შემთხვევაში მას სიკვდილით დასჯიდნენ. მოცემულ გადაწყვეტილებაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმ-

¹⁹ ი. ე.წ. “დუბლინის საქმეები”

[https://www.echr.coe.int/Documents/FS_Dublin_ENG.pdf]

²⁰ ი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Soering v. United Kingdom*, App.No. 14038/88, 1989 წლის 7 ივლისი

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი
ლტოლვილთა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართ-
ლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართ-
ლოს მიღებობა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

სჯელა კონვენციის მე-3 მუხლის აგებულებასა და მოქმედე-
ბის ფარგლებზე. სასამართლომ დაადგინა, რომ არასათანა-
დო მოპყრობა უნდა აღწევდეს სიასტიკის მინიმალურ
ზღვარს, იმისათვის, რომ მოპყრობა მოექცეს მე-3 მუხლის
დაცვის ფარგლებში. ადამიანის უფლებათა ევროპულ სამარ-
თალში მოღვაწე მეცნიერები აქტიურად აღნიშნავენ, რომ
სოერინგის დოქტრინა კონვენციის მე-3 მუხლის დაცვის
ფარგლების კუთხით, საკმაოდ ფართოა.²¹ უნდა აღინიშნოს,
რომ დაცვის ფარგლები იმდენად გაფართოვდა, რომ სასა-
მართლო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას მიიჩნევდა
არამხოლოდ, პირობითად, დიდ ბრიტანეთს რომ განეხორცი-
ელებინა კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული ქმედება,
არამედ, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის რისკის შემ-
თვევაშიც, სახელმწიფო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვე-
ვის რისკის წინაშე აღმოჩნდება.²² უნდა აღინიშნოს, რომ აღ-
ნიშნული პრაქტიკა მომდევნო გადაწყვეტილებებით შეიცვა-
ლა.

მაგალითად, საქმეზე *Vilvarjah and Others v. the United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ
განსაზღვრა, რომ აუცილებელია მკაფიო მიზეზ-შედეგობ-
რივი კავშირის არსებობა არასათანადო მოპყრობასა და საფ-
რთხეს შორის.²³ ხოლო, უკვე შემდგომ, ადამიანის უფლებათა
ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე, *Saadi v. Italy*, კიდევ ერ-
თელ დაადასტურა მე-3 მუხლისა აბსოლუტური ხასაიათი.

აღსანიშნავია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-
მართლოს 1996 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე-
ზე *Chahal v. The United Kingdom*.²⁴ განმცხადებელი დავობდა,

²¹ იხ. [<https://www.lawteacher.net/cases/soering-v-united-kingdom.php>].

²² იხ. ოქვე.,

²³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Vilvarjah and Others v. the United Kingdom*, App.No. 3163/87, 13164/87, 13165/87, 13447/87, 13448/87. 1991 წლის 30 ოქტომბერი, პარაგ.105.

²⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *CHAHAL v. THE UNITED KINGDOM*, App.No. 70/1995/576/662, 1996 წლის 11 ნოემბერი

რომ ადგილი ჰქონდა კონვენციით დაცული რიგი უფლებების დარღვევას. კერძოდ, იგი მიუთითებდა, კონვენციის მე-3, მე-5, მე-8, მე-13 და 50-ე მუხლების დარღვევაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ჩაპალი შემჩინეული იყო ტერორისტულ საქმიანობაში, ასევე მას ბრალად ედებოდა ინდოეთის პრემიერ მინისტრის მკვლელობის კონსპირაციაში მონაწილეობის მიღება. საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობამ გაიზიარა განმცხადებლის პოზიცია და დაადგინა, რომ გაძევების შემთხვევაში ადგილი ექნებოდა შესაბამისი მუხლების დარღვევას. აღნიშნული საქმის მნიშვნელობა თავშესაფრის მაძიებელი პირებისთვის განუზომელია ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, იმიტომ რომ მასში ეროვნული უსაფრთხოებისა და თავშესაფრის მაძიებლის ინდივიდუალურ უფლებებს შორის ბალანსის დადგენის კუთხით დადგენილია მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დებულებები და სტანდარტები, ხოლო მეორეს მხრივ, იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტილება ყურადღებას ამახვილებს თავშესაფრის მაძიებელი პირის უფლებაზე ჰქონდეს იმ საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა, რომლის საფუძველზეც მას ეთქვა უარი ამ უკანასკნელის მინიჭებაზე. თავდაპირველად, სასამართლო იმსჯელა კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებზე და განსაზღვრა, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ უფლებით, როგორც ეს დადგენილია საერთაშორისო სამართლის ყველასათვის ცნობილი და კარგად ჩამოყალიბებული პრაქტიკით, აკონტროლონ ლტოლვილთა ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლა, ქვეყნიდან გასვლა და ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენა.²⁵ თუმცა, სასამართლო იქვე მიუთითებს, რომ პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ თავშესაფრის მაძიებლის გაძევებით შესაძლებელია გამონვეულ იქნეს როგორც, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, ასევე სახელმწიფოსთვის კონვენციით გათვალისწინებული

²⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *CHAHAL v. THE UNITED KINGDOM*, App.No. 70/1995/576/662, 1996 წლის 11 ნოემბერი, პარაგ.73

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

პასუხისმგებლობის დაკისრება შესაბამისი გარემოებების არსებობისას, თუ სახეზე გვაქვს არსებითი საფუძველი, რომ განსახილველ შემთხვევაში, პირი, წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას დაექვემდებარება მე-3 მუხლით აკრძალულ მოპყრობას.²⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იდგა მნიშვნელოვანი გამონვევის წინაშე. კერძოდ, მას ევალებოდა ეროვნული უსაფრთხოების ინტერესისა და განმცხადებლის ინდივიდუალური ინტერესების ბალანსირება, ჯერ ერთი, რომ არ დაექვემდებარებულიყო კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოპყრობას და მეორე, არ შედასულიყო მისი, როგორც თავშესაფრის მაძიებლის უამრავი საერთაშორისო ინსტრუმენტით გათვალისწინებული უფლებები. სასამართლო, გადაწყვეტილების 76-ე პრაგრაფში სამართლიანად მიუთითებს, ზემოხსენებული ინტერესების დაბალანსების აუცილებლობის მართებულობის თაობაზე.²⁷ ამ შემთხვევაში სასამართლოსთვის უფრო ფასეული იყო განმცხადებლის კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული, ბუნებითი და ნეგატიური უფლებები. მას უნდა განესაზღვრა წარმოადგენდა თუ არა ეროვნული ინტერესი იმგვარ წონად არგუმენტს, რომელიც შეძლებდა განმცხადებლის მე-3 მუხლით განსაზღვრული მოპყრობისთვის დაქვემდებარების გამართებას. თავის მხრივ განმცხადებელი მიუთითებდა, რომ იგი არ წარმოადგენდა საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ეროვნული უსაფრთხოების არგუმენტით აპელირება, არ წარმოადგენს არგუმენტს, რომელიც შეძლებდა ინდივიდუალური საფრთხისთვის დაქვემდებარების, ან პირისთვის ასეთი საფრთხის პირდაპირპოპრციული ადმინისტრირების აუცილებლობის გამართლებას.²⁸ სასამართლო აღნიშნავს, რომ ინდოეთში დაბრუნების შემთხვევაში ბატონი ჩაჰალი დაექვემდებარება იმგვარ მოპყრობას, რომელიც ეწინააღმდეგება

²⁶ იხ. იქვე., პარაგ.74

²⁷ იხ. იქვე., პარაგ.76

²⁸ იხ. იქვე., პარაგ.77

კონვენციის მე-3 მუხლის სულს.²⁹ ასამართლო ასევე ამახვილებს ყურადღებას, რომ განმცხადებლის პროფილი და “ავტორიტეტი”, რომლითაც იგი სარგებლობს ინდოეთში უფრო ზრდის კონვენციის მე-3 მუხლით დაგმობილი ქმედებისთვის დაქვემდებარების შანსს.³⁰ როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შეფასების ნაწილში, კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით, მას სიტყვასიტყვით, ტერმინოლოგიურად არ განუმარტავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოპყრობისთვის დაქვემდებარების ალბათობა გადაწონის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს, ან პირიქით. თავად ფაქტი, რომლის მიხედვითაც სასამართლო ადგენს, რომ გაძევების შემთხვევაში ადგილი ექნებოდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, და უფრო მეტიც გაიზიარა, ბატონი ჩაჰალის მიერ 77-ე პარაგრაფში მითითებულო პოზიცია თავისთავად მეტყველებს წინამდებარე საკითხის მიმართ სასამართლოს დამოკიდებულებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, ბატონი ჩაჰალის ინდოეთში დაბრუნების შემთხვევაში არსებობს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირის განუყოფელი უფლების დარღვევის გონივრული საფრთხე,³¹ ხოლო განმცხადებლის მოსაზრების გაზიარებით, ივარაუდება, რომ პირის უფლებას, გაძევების შემთხვევაში არ იქნეს დაქვემდებარებული მე-3 მუხლით აკრძალულ მოპყრობას ანიჭებს უპირატეს სამართლებრივ ძალას, ვიდრე, ამ კონტექსტში, ეროვნული უსაფრთხოების პიპოთეტურ ინტერესს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასეთი რისკის განჭვრეტისთვის, როდესაც საქმე ეხება ეროვნული უსაფრთხოების ინტერესს, მტკიცებულებათა მაღალ სტანდარტს მოითხოვს.³²

ბატონი ჩაჰალი ასევე მიუთითებდა, რომ ინდოეთში გა-

²⁹ იხ. იქვე., პარაგ.104

³⁰ იხ. იქვე., პარაგ. 106

³¹ იხ. იქვე., პარაგ.87-94

³² იხ. იქვე., პარაგ.90

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

ძევების შემთხვევაში ადგილი ექნებოდა კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილი პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირითადი უფლების ხელყოფას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კარგად დადგენილი პრაქტიკით განსაზღვრულია, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების კონცეფცია არ ექვემდებარება და არც შეიძლება რომ დაექვემდებაროს ამომწურავ განმარტებას. ამდენად, აღნიშნულ საქმეზე კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების ფარგლების გავრცელება სასამართლოსთვის არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ პრობლემას. კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია ძირითად უფლებაში ჩარევის ტესტი. მოცემულ შემთხვევაში ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას გააჩნდა საკანონმდებლო საფუძველი და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს. მთავარი პრობლემა მდგომარეობდა, უფლებაში ჩარევის ტესტის მე-3 ნინა-პირობაში, რომელიც ითვალისწინებს ჩარევის აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში, ე.ნ. ჩარევის საჭიროების განსაზღვრის პრობლემას.³³ მოპასუხე მხარე აღნიშნავდა, რომ კონვენციის მე-8 მუხლით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება სახელმწიფოს აღჭურავდა ფართო მანევრირების უფლებამოსილებით, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებს უფლება ჰქონდათ ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ჩარეულიყვნენ მე-8 მუხლით დაცული ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში, რომელიც თავისთავად დაექვემდებარებოდა კონსტიტუციურ სამართლებრივ გამართლებას.³⁴ მე-8 მუხლის შესაძლო დარღვევასთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა არ განსხვავდებოდა კონვენციის მე-3 მუხლის შესაძლო დარღვევის კუთხით გამოტანილი გადაწყვეტილებისგან. სასამართლო აღნიშნავს, რომ მას ეჭვი არ ეპარება, რომ მოპასუხე სახელმწიფო შეასრულებს უკვე მიღებულ გა-

³³ იხ., იქვე., პარაგ.136 “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცების მიზნებისთვის”

³⁴ იხ. იქვე., პარაგ.136

დაწყვეტილებას, ამდენად, სასამართლო საჭიროდ აღარ მი-იჩნევს პასუხი გასცეს ჰიპოთეტურ შეკითხვას მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევის თაობაზე, რელევანტური ლეგი-ტიმური მიზნების მიღწევის კუთხით.³⁵

შემდეგი სადაც საკითხი ეხებოდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონ-ვენცია არ არის მხოლოდ აბსტრაქტული და თეორიული დო-კუმენტია უფლებების დაცვისთვის, არამედ კონვენციის ხიბლი სწორედ მის პრაქტიკულ, დინამიურ და ეფექტურ ხა-სიათშია. თავის მხრივ, კონვენციის მე-13 მუხლი განამტკი-ცებს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფ-ლებას, რომლის დარღვევაზე დავა მხოლოდ სხვა უფლებებ-თან პარალელის გავლებითაა შესაძლებელია. ბატონი ჩაპა-ლის შემთხვევაში, სახეზე გვაქვს კონვენციის მე-3, მე-5 და მე-8 მუხლები. იგი აღნიშნავს, რომ საშუალება არ იყო არც ეფექტური და არც ქმედითი.³⁶ ადამიანის უფლებათა ევრო-პული სასამართლო, მოცემულ საქმეზე აღნიშნავს, რომ ეროვნული უსაფრთხოების საკითხზე აპელირებისას, საშუა-ლება უნდა იყოს იმდენად ქმედითი რამდენადაც ეს შესაძ-ლებელია.³⁷ ეს გამომდინარეობს იქედან თუ რა ტიპის საი-დუმლო ინფორმაციაზე დაყრდნობითაა მიღებული გადაწ-ყვეტილება ეროვნული უსაფრთხოების საკითხის ირგვლივ აპელირების საჭიროებაზე.³⁸ ადამიანის უფლებათა ევრო-პულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ბატონი ჩაპალის კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და ეროვნულ უსაფრთხოებას, კონვენციის მე-13 მუხლის ჭრილ-ში. ეს უკანასკნელი კი, განხილული იყო კონვენციის მე-8, მე-5 და მე-3 მუხლებთან მიმართებით. სასამართლოს მო-საზრებით, მე-13 მუხლი სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების ქმედითობის გარანტირების კუთხით, ადგენს, რომ იგი უნდა იყოს იმდენად ეფექტური რამდენადაც არსე-ბობს ასეთი ეფექტიანობის მიღწევის გონივრული შესაძლებ-

³⁵ იხ. იქვე., პარაგ.139

³⁶ იხ. იქვე., პარაგ.141

³⁷ იხ. იქვე., პარაგ.142

³⁸ იხ. იქვე., პარაგ.143

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტკოლოგითა სამართლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

ლობა, იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, როდესაც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესი არ იძლევა სენსიტური ინფორმაციის გამუღავნების შესაძლებლობას.³⁹ შემდგომ, სასამართლო უთითებს, რომ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების მოთხოვნები, რაც მდგომარეობს ეფექტიანობის მაქსიმალიზაციის იდეაში, არ შეესაბამება მომჩივანის კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოპყრობისთვის დაქვემდებარების საფრთხეს, როდესაც ეროვნული ინტერესები არ არის მატერიალური.⁴⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოტივაცია მდგომარეობს იმაში, რომ კონვენციის მე-13 მუხლით დადგენილი მექანიზმის ეფექტიანობის აბსოლუტური სტანდარტი არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, მაშინ როდესაც, კონტექსტალურად (ბატონი ჩაჰალის შემთხვევაში) ეროვნული ინტერესების მხედველობაში მიღება არ არის რელევანტური. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ საქმეებში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განმცხადებელს არ სთავაზობს კონვენციის მე-13 მუხლის დაცვის აბსოლუტურ მასშტაბს, იგი მაინც აღნიშნავს, რომ მე-13 მუხლით დადგენილი ეფექტიანი საშუალების ცნება მოითხოვს თავშესაფრის მინიჭებაზე განცხადების გამოკვლევის დამოუკიდებელ და გულისხმიერ სტანდარტს, დეპორტაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებზე ყურადღების გამახვილების გარეშე.⁴¹ შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის კონვენციის მე-3 მუხლთან კავშირში დარღვევას.

ჩაჰალის გადაწყვეტილება არ უნდა იქნეს აღქმული იმ-გვარად, თითქოს განმცხადებლის ნებისმიერი მითითება კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოპყრობის-თვის დაქვემდებარების თაობაზე, უპირობოდ და ბრმად იქნება გაზიარებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-

³⁹ იხ. იქვე., პარაგ.150

⁴⁰ იხ. იქვე., პარაგ.150

⁴¹ იხ. იქვე., პარაგ.151

მართლოს მიერ. პირიქით, სასამართლო კონვენციით განსაზღვრული საწინააღმდეგო მოპყრობის დადგენისთვის მტკიცებულებათა საკმაოდ მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს. ამის ნათელი მაგალითია 1997 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, საქმეზე *H.L.R. v. France*.⁴² განმცხადებელი იყო კოლუმბიის მოქალაქე, რომელიც საფრანგეთის ტერიტორიაზე ბინადრობის მუდმივი უფლებით სარგებლობდა. 1989 წლის 14 მაისს, იგი დააკავეს კოლუმბიდან იტალიაში ფრენისას. დაკავებისას მას აღმოაჩნდა 580 გრამი კოკაინი. დაკითხვისას, მან აღიარა იმ პირის სახელი, ვის სასარგებლოდაც მუშაობდა. შედეგად, განმცხადებელი დაექვემდებარა ქვეყნიდან გაძევებას. მან საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და მიუთითა, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაპრუნების შემთხვევაში, მას ელოდა კონვენციის მე-3 მუხლით განსაზღვრული მოპყრობა. განმცხადებლის მთავარი არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ კოლუმბიაში ე.ნ. “ჩამწვებებს” სასტიკად ექცეოდნენ, და, ამდენად მასაც იგივე ელოდა.⁴³ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოების განუყოფელი პოზიტიური ვალდებულებების წყალობითა და წინამდებარე უფლების აბსოლუტური ხასიათის გათვალისწინებით, მე-3 მუხლი ვრცელდება დამამცირებელ და არაადამიანურ მოპრყობაზე, რომელიც შესაძლებელია, რომ განახორციელოს ინდივიდმა, მაშინ როდესაც, ხელშემკვრელი სახელმწიფო, განხორციელებული აქტებით ან გამოხატული პასიურობით, ვერ ასრულებს კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს.⁴⁴ აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას,

⁴² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *H.L.R. v. France*, App.No. 24573/94, 1997 წლის 29 აპრილი

⁴³ იხ. იქვე., პარაგ.30, განმცხადებელი აღნიშნავს: “გამომდინარე ჩადენილი სისხლის სამართლებრივი ქმედებისა და საფრანგეთი მის შესახებ არსებული სისხლის სამართლებრივი ისტორიისა, იგი ვერ შეძლებდა ისეთი ქვეყნის პოვნას, რომელიც მას მიიღებდა, გარდა მისი წარმოშობის ქვეყნის – კოლუმბიისა, თუმცა, კოლუმბიაში მასზე ნარკო ტრეფიკერები აუცილებლად იძიებდნენ შურს, რომელბმაც იგი როგორც გადამზიდი ისე დაიქირავეს.”

⁴⁴ იხ. იქვე., პარაგ.30

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხვის კუთხით

რომ საქმეში მე-3 მუხლით დადგენილი სიკეთის ფიგურირება, ჯერ კიდევ, *a priori*, არ გულისხმობს ხსნებული სიკეთის ხელყოფის ალბათობის მაღალი ხარისხის არსებობას. განსაკუთრებით, ლტოლვილებთან დაკავშირებულ საქმეებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, კარგად დადგენილი პრეცედენტული პრაქტიკით, სწორედ განმცხადებელს ეკისრება საკუთარი მოსაზრების მტკიცებულებებით გამყარება, ასეთი მტკიცებულების ან მტკიცებულებათა ერთობლიობის დემონსტრირების ვალდებულება. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად, ლტოლვილთა საქმეების განსაზღვრისას, კონვენციის მე-3 მუხლზე მითითება *ipso factum* არ მოიაზრებს მის არსებობას. იგი ვერ იქნება პრეიუდიცია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ტყუილად არ ახსენებს, რომ “კონვენციის მე-3 მუხლი, მხოლოდ მაშინ მოიცავს წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობას, როდესაც განსახილველ შემთხვევაში, ინდივიდი, დეპორტირების შემთხვევაში რეალურად დაექვემდებარება კონვენციის მე-3 მუხლის სანინააღმდეგო მოპყრობას და იარსებებს ასეთი მოპყრობისთვის დაქვემდებარების “რეალური რისკი”.⁴⁵ რეალურ რისკში მოიაზრება არა განმცხადებლის რწმენა, წარმოდგენა, მოსაზრება ან უბრალო აბსტრაქტული შეხედულება, წარმოშობის ქვეყანაში შესაბამისი მოპყრობისთვის დაქვემდებარების შესახებ, არამედ, დევნის კარგად დასაბუთებული შემი, რომელიც რელევანტური მტკიცებულებებით იქნება გამყარებული. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობის პოზიცია ამ საკითხზე ერთგვაროვანია. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს ემუქრება არა სახელმწიფო ხელისუფლებისგან, არამედ ადა-

⁴⁵ იხ. იქვე, პარაგ.33, ასევე იხ. პარაგ.39, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, “აქვე, საჭიროა განისაზღვროს, შეუძლია თუ არა განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ, განვითარებულ მოსალოდნელ შედეგებს მოიყვანოს კონვენციის მე-3 მუხლი მოქმედება-ში.”

მიანთა კონკრეტული ჯგუფისაგან დევნა. სასამართლოს უნდა განესაზღვრა რამდენად შეეძლო წარმოშობის ქვეყანას განმცხადებლის დაცვის ადეკვატური გარანტიებით უზრუნველყოფა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში განმცხადებელმა ვერ შეძლო იმის დემონსტრირება, რომ რისკი მართლაც სერიოზული და ამავდროულად რეალური იყო. საქმის ფაქტობრივი ელემენტები ეფუძნება მხოლოდ განმცხადებლის პირად მოსაზრებებსა და შეხედულებებს, რომელიც სასამართლოს მოსაზრებით, არ არის გამყარებული რაიმე *prima facie* მტკიცებულებით.⁴⁶ საგულისხმოა ისიც, რომ შეუძლებელია სახელმწიფოსთვის ვალდებულების დაკისრება, აბსოლუტური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე. მოცემულ საქმეში კი არ იკვეთება, არანაირი გარემოება ან მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს დაარწმუნებს, რომ კოლუმბიის რელევანტური ორგანოები ვერ შეძლებენ განმცხადებლისთვის, დაცვის ადეკვატური საშუალებების უზრუნველყოფას. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე არ იყო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

მნიშვნელოვანია ჩაპალის საქმისა და H.L.R.-ის საქმის ერთმანეთისაგან განსხვავება. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლები ორივე საქმეში უთითებდნენ, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ექნებოდა ადგილი, სასამართლომ ეს პოზიცია გაიზიარა მხოლოდ პრეცედენტულ პრაქტიკაში დადგენილი მტკიცებულებათა სტანდარტის დაკმაყოფილების შემდეგ. ბატონი ჩაპალის შემთხვევაში, საფრთხის წყაროს წარმოადგენდა კონკრეტულად სახელმწიფო ხელისუფლება, ხოლო თავად ამ უკანასკნელის როლი ინდოეთის სახელმწიფოს მიერ დევნის განხორციელებისთვის დაქვემდებარების შესაძლებლობაში ბევრად უფრო დიდი იყო ვიდრე მეორე საქმეში არსებული განმცხადებლის შემთხვევაში. მეორე საქმეში, განმცხადებლის საფრთხის წყაროს წარმოადგენდა კონკრეტული დაჯგუფება და არა თვითონ სახელმწი-

⁴⁶ იხ. იქვე., პარაგ.33

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი
ლტოლებითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართ-
ლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართ-
ლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

ფო. შემდგომი განსხვავება ეფუძნებოდა დაცვის ხარისხს. *H.L.R.-ის* შემთხვევაში, კოლუმბიას შეეძლო განმცხადებლის დაცვა, ხოლო ინდოეთის შემთხვევაში სახელმწიფო თავად იყო დაინტერესებული ანგარიშსნორებით. თუმცა, მთავარი განსხვავება მაინც წარმოდგენილ მტკიცებულებებშია. ჩაპალის საქმეში, განმცხადებელმა რეალურად შეძლო ასეთი რისკის რეალიზაციის ალბათობის დემონსტრირება, ხოლო, მეორე საქმეში ასეთ მოქმედებას ადგილი არ ჰქონია. თავად კონვენცია კი, უფლებების პრაქტიკულობის დოქტრინას მეტად ეყრდნობა, ვიდრე რომელიმე განმცხადებლის ილუზიურ მითითებას, კონვენციის მე-3 მუხლით განსაზღვრული მოპყრობის საფრთხის განჭვრეტის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2008 წლის 24 აპრილს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეზე, *C.G. v. Bulgaria*. საქმეში არსებული მასალების მიხედვით, პირველი განმცხადებელი დასახლდა ბულგარეთში 1992 წელს, ხოლო 1996 წლის 9 აპრილს მან იქორნინა მეორე განმცხადებელზე. შეულლებიდან ცოტა ხნის შემდეგ, მას მიენიჭა ბინადრობის უფლება, ხოლო, მესამე განმცხადებელი – მათი ქალიშვილი დაიბადა 1996 წლის 24 მაისს.⁴⁷ განმცხადებელს ჩამოერთვა ბინადრობის უფლება, და დაექვემდებარა 10 წლიან დეპორტაციას იმ საფუძვლით, რომ იგი წარმოადგენდა სერიოზულ საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოების-თვის.⁴⁸ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ საქმე შეეხებოდა ბულგარეთში დიდი ხნის მცხოვრები პირის საიდუმლო მონიტორინგის ანგარიშის საფუძველზე დაყრდნობით გაძევებას ეროვნული უსაფრთხოების მიზნებისთვის. განმცხადებლები დავობდნენ, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8, მე-13 და მე-7 ოქმის პირველი მუხლის დარღვევას. პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა მე-8 მუხლის დარღვევის თაობაზე. სასამართლო მტკიცედ

⁴⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *C.G. v. Bulgaria*, App.No. 1365/07, 2008 წლის 24 აპრილი, პარაგ.5

⁴⁸ იხ. იქვე., პარაგ.6

დგას პოზიციაზე, რომ განმცხადებლის გაძევება წარმოადგენდა საშუალებას, რომლის მეშვეობითაც აშკარად ხორციელდებოდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა. პროპორციულობის ტესტის თანახმად, შეზღუდვას უნდა გააჩნდეს ნორმატიული საფუძველი, უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და უნდა იყოს ასეთი მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება დემოკრატიულ საზოგადოებაში. პირველ ორ წინაპირობასთან მიმართებით, სასამართლო უბრალოდ არ ადგენს, რომ ჩარევას უნდა გააჩნდეს საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში, არამედ ყურადღებას ამასვილებს საკანონმდებლო ნორმის ხარისხსა და ასეთი ნორმის კანონის უზენაესობის პრინციპებთან შესაბამისობაზე.⁴⁹ ამ ფრაზაში სასამართლო გულისხმობს, რომ ეროვნული სამართლის ნორმა უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი. ნებისმიერ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ნორმის დარღვევის მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტის შესაძლებლობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მნიშვნელოვან განმარტებებს გვთავაზობს ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, უპირატესად ნორმის განჭვრეტადობის ჭრილში. სასამართლო აღნიშნავს, რომ “ეროვნულ უსაფრთხოებასთან კავშირში მყოფი გამოსაყენებელი საშუალებების კონტექსტში, განჭვრეტადობის მოთხოვნა ვერ იქნება ისეთი როგორიც მაგალითად სხვა დარგშია, კერძოდ, განჭვრეტადობის მოთხოვნა, ვერ გაიჭრება იმდენად შორს, რომ მოსთხოვოს თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს დეტალურად განეროს ყველა ის მოქმედება, რომელიც საფუძვლად დაედება ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისთვის გაძევებას.”⁵⁰ სასამართლო შემდგომ უთითებს, რომ ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ არსებულ რისკებსა და საფრთხეებს შესაძლებელია გააჩნდეთ სხვადასხვა ბუნება, რომლის განჭვრეტაც შესაძლებელია ვერ განხორციელდეს ან ძალიან გართულდეს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, იმას, რომ თუნდაც მაშინ როდესაც რისკის წინაშე დგას ეროვნული უსაფრთხოების ინტერესი, დემოკრატიულ

⁴⁹ იხ. იქვე., პარაგ.39

⁵⁰ იხ. იქვე., პარაგ.40

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

საზოგადოებაში კანონიერებისა და კანონის უზენაესობის კონცეფციებით მოთხოვნილ იქნეს, ისეთი გაძევების ღონისძიება, რომელიც ძირს უთხრის ინდივიდის ძირითად უფლებებს.⁵¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ ინდივიდს უნდა გააჩნდეს კონვენციით მინიჭებული უფლებების ეროვნულ დონეზე განხორციელების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის წინაშე, შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სასამართლო პროცესზე სამართლის ძირის შესაძლებლობას, მით უფრო მაშინ როდესაც საქმე ეხება კლასიფიცირებული ინფორმაციის საფუძველზე პირის გაძევებას. აღნიშნულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მაგალითის სახით მოიშველია პრეცედენტულ სამართალში უკვე კარგად დამკავიდრებული სტანდარტი და აღნიშნა, რომ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესის საფუძვლიანი და სრულყოფილი განმარტება რიგი მიზეზების გამო შეუძლებელია, მათ შორის მოიაზრება თითოეული ხელმომწერი სახელმწიფოს უნიკალური სამართლებრივი კულტურის, სამართლებრივი ტრადიციებისა და თვითმყოფადობის საკითხები.⁵² მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ინტერესების ცნება კომპლექსურია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი არ შეიძლება, რომ არაგონივრულად გასცდეს ეროვნული უსაფრთხოების ბუნებრივ და კლასიკურ კონცეფციას.⁵³ სასამართლო განცვითორებულია ბულგარეთის ხელისუფლების მოქმედებით, ეროვნული უსაფრთხოების ცნების ნებისმიერი პირდაპირი თუ ირიბი მნიშვნელობის მიუხედავად, როგორ უნდა ჩაითვალოს პირ-

⁵¹ იხ. იქვე, პარაგ.40

⁵² იხ. საქმეები: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Esebster v. the United Kingdom*, App.No.18601/91, 1993 წლის 2 აპრილი; *Hewitt and Harman v. the United Kingdom*, App.No. 20317/92, კომისიის 1993 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება; *Christie v. the United Kingdom*, App.No. 21482/93, კომისიის 1994 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება.

⁵³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *C.G. v. Bulgaria*, App.No. 1365/07, 2008 წლის 24 აპრილი, პარაგ.43

ველი განმცხადებლისთვის წაყენებული ბრალდებები – რა სერიოზულიც არ უნდა იყოს ნაკონტიკის მოხმარება, და, რა დამანგრეველი ეფექტიც არ უნდა ჰქონდეს მას ადამიანების სიცოცხლეზე – ვერ ჩაითვლება იმგვარ გონივრულ საფუძვლად, რომელიც შეძლებდა ბულგარეთის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესის დაზიანებას.⁵⁴ მოცემული საქმის ერთერთი ყველაზე კრიტიკული ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომი არ იყო ის მტკიცებულება ან მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ, საიდუმლო მონიტორინგისას მოპოვებული მასალები, რომლის საფუძველზეც ბულგარეთის შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა დაასკვნეს, რომ განმცხადებელი წარმოადგენდა საფრთხეს ეროვნული უშიშროებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ ფაქტს შოკისმომგვრელად აფასებს და განმარტავს, რომ პირველი განმცხადებლის გაძევების გადაწყვეტილებაში მოხსენიებული არ იყო გაძევების არც ერთი ფაქტობრივი საფუძველი, [...] საქმის მეტად კრიტიკული ასპექტი კი მდგომარეობდა იმაში, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ვერცერთი კონკრეტული ფაქტის დემონსტრირება, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ფაქტს, რომ განმცხადებელი ნამდვილად წარმოადგენდა საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის.⁵⁵ საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და განმარტა, რომ განმცხადებლის შემთხვევა არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილ საქმის განხილვის გონივრულ, საფუძვლიად და სიღრმისეულ სტანდარტებს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ სახეზე გვქონდა ფორმალური და არაფრისმომცემი გადაწყვეტილება.

განმცხადებელი ასევე დავობდა კონვენციის მე-7 ოქმის პირველი მუხლის დარღვევაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აკრიტიკებს ეროვნული სასამართლოების მიდგომას, რომელებმაც მტკიცებულებათა სათანადო გამოკვლევის, და ზოგადად ასეთი ფაქტის დადგენი

⁵⁴ იხ, იქვე., პარაგ.43

⁵⁵ იხ, იქვე., პარაგ.46-47

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

მტკიცებულებების არ ქონის გარეშე გამოიტანეს დეპორტაციის გადაწყვეტილება. სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო რომელიც უცხოელის გაძევებისას ეყრდნობა საჯარო წესრიგის კონცეფციას, უნდა შეეძლოს იმის დემონსტრირება, რომ აუცილებელი იყო ასეთი საგამონაკლისო მოქმედების გამოყენება.⁵⁶ სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებელს ბულაგართიდან გაძევებამდე უნდა ჰქონოდა კონვენციით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. როგორც დადგინდა, განმცხადებლის საქმე არ იქნა სათანადოდ გამოკლეული და დადგენილი, რომელიც გამომდინარეობს კონვენციის მე-7 ოქმის “პირველი მუხლის ბ” პუნქტიდან. თუმცა, ეს ასე არ მომხდარა.⁵⁷

მსგავია საქმე *Lupsa v. Romania*, რომლის თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება 2006 წლის 8 ივნისს გამოიტანა.⁵⁸ სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევაზე მსჯელობისას, სასამართლომ განიხილა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ძირითად უფლებაში ჩარევის პროპორციულობის ტესტი, და დაასვენა, რომ აღნიშნული საქმის პროპორციულობის ტესტით მეშვეობით შეფასება საჭიროც არ იყო, გამომდინარე იქნებან, რომ განმცხადებელი ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე წარდგომისას, არ იყო აღჭურვილი დაცვის მინიმალური გარანტიებით, რითიც შესაძლებელია განხორციელებულიყო რუმინეთის ხელისუფლების თვითნებობის პრევენცია. სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ეროვნული უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნის დასახელება მოითხოვს კომპლექსურ დასაბუთებას. კერძოდ, თუ რა ხარისხითა და რა კონტექსტში უქმნის საფრთხეს განმცხადებელი ეროვნულ უსაფრთხოებას. სასამართლომ გამოიკვლია, რომ რუმინე-

⁵⁶ იხ. იქვე, პარაგ.78

⁵⁷ იხ. იქვე, პარაგ.79

⁵⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Lupsa v. Romania*, App.No.10337/04, 2006 წლის 8 ივნისი

თის ხელისუფლებას სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაუწყია განმცხადებლის წინააღმდეგ ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ქმედების ჩადენის გამო. საპირისპიროდ, კი, განმცხადებლის გაძევება ეფუძნებოდა მხოლოდ ზოგად მითითებას, რომ ეს უკანასკნელი საფრთხეს წარმოადგენდა ეროვნული მართლწესრიგისთვის.⁵⁹ მეტად საინტერესოა, კონვენციის მე-7 ოქმის პირველი მუხლის დარღვევაზე მსჯელობა, იმდენად, რამდენადაც იგი განსაზღვრავს უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობას კონვენციის ფარგლებში. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ იგი არ იყო ინფორმირებული გაძევების მიზეზების შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირის გაძევება განხორციელდა კანონის საფუძველზე, კანონი არ აკმაყოფილებდა კონვენციის პირველი მუხლის მე-7 ოქმით დადგენილ მოთხოვნებს. სასამართლო მიუთითებს, რომ რუმინეთის ხელისუფლებას მცირე მითითებაც კი არ მიუცია განმცხადებლისთვის, მისი გაძევების მიზეზების თაობაზე, ხოლო ბრალდების დადგენილება, მას ერთი დღით ადრე გადაეცა სააპელაციო პალატაში საქმის ზეპირი მოსმენით განხილვამდე.⁶⁰ საბოლოოდ კი, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ საქმის სასამართლოს წინაშე განხილვას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ყოველგვარი ლოგიკური შედეგის დადგომის გარეშე, იმდენად, რამდენადაც დარღვეული იყო განმცხადებლის საპორცესო უფლებები. შედეგად, ვერ დაკმაყოფილდა კონვენციის დადგენილი მოთხოვნების უზრუნველყოფა, რაც საბოლოო ჯამში კონვენციით განსაზღვრული უფლების ხელყოფაში აისახა.

⁵⁹ იხ., იქვე., პარაგ.40, სასამართლო აღნიშნავს, რომ “ზემოხსენებული ზოგადი საფუძვლების გარდა, ხელისუფლებას განმცხადებლისთვის არ მიუწოდებია არანაირი კონკრეტული დეტალი, რომელიც მას მის ბრალეულობაზე მიანიშნებდა.”

⁶⁰ იხ., იქვე., პარაგ.59

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლვილთა სამართლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხვის კუთხით

2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხვის კუთხით

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ლტოლვილთა საქმეების განხილვის დროს, მკვეთრი პოზიცია არ დაუფიქსირებია, განმცხადებლის უფლებასთან დაკავშირებით, გააჩნდეს იმგვარ ინფორმაციაზე წვდომა რომლის საფუძველზეც მას უარი ეთქვა თავშესაფრის მინიჭებაზე. ხშირ შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველია და ამ უკანასკნელს სახელმწიფოს კონტრ-დაზვერვა აწვდის. ცალსახაა, რომ ასეთი ინფორმაცია უეჭველად ეხება ლტოლვილის პერსონალურ მონაცემებს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ფაქტობრივად მნიშვნელობა არ ააქვს თუ რა ტიპის ინფორმაციას ფლობს კონტრდაზვერვა ლტოლვილის შესახებ. ეს ინფორმაცია ნებისმიერ შემთხვევაში ექცევა ლტოლვილის მონაცემთა დაცვის უფლების სფეროში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-8 მუხლის კონცეფციის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. გამომდინარე იქედან, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვა ინდივიდის პირადი ცხოვრების არსიდან მომდინარეობს. საპირისპიროდ, ძირითად უფლებათა ევროპლი კავშირის ქარტია პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას ცალკე უფლებად განიხილავს და მას პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებისგან მკვეთრად ანსხვავებს. მაგალითად, ქარტის მე-8 მუხლის⁶¹ თანახმად, ყველას ააქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება. აქაც ლოგიკურია, რომ ტერმინ ყველაში ნებისმიერი ფიზიკური პირი მოიაზრება, მათ შორის ლტოლვილები. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ევროპის კავშირის ყველა წევრი ქვეყანა კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფო-ცაა, გამოდის, რომ მათვის შესასრულებად სავალდებულოა როგორც ქარტია, ასევე კონვენცია. ამ კონტექსტში,

⁶¹ იხ. ძირითადი უფლებების ევროპის კავშირის ქარტია, მე-8 მუხლი [http://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf.]

მნიშვნელობა ნაკლებად ენიჭება პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების დოქტრინალურ გამიჯვნას პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებისგან. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, რომ პირის უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე გარანტირებულია როგორც ევროპის საბჭოს ასევე ევროპის კავშირის სამართლის სისტემის მეშვეობით. ევროპის საბჭოს მასშტაბით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პასუხისმგებლობას იღებს ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია,⁶² რომელიც ადგენს მონაცემთა დაცვის უზოგადეს პრინციპებს, ხოლო აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპის კავშირის მასშტაბით მიღებული იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საყოველთაო რეგულაცია,⁶³ რომელმაც ჩაანაცვლა მონაცემთა დაცვის 1995 წლის დირექტივა. მას წევრი სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობის მიმართ, გააჩნია მოქმედების პირდაპირი ეფექტი, ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში იმპლემენტაციის გარეშე.

როგორც აღინიშნა, მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ლტოლვილებს არ ააქვთ წვდომა იმ მტკიცებულებებზე, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო მათ უარს ეუბნება საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე. აღნიშნული უარი ხშირ შემთხვევაში განპირობებულია ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მოტივით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ სახელმწიფოები ასეთი ინფორმაციის გათქმისგან თავს იკავებენ ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად და ასე ცდილობენ “სამართლიანი” ბალანსის მიღწევას ლტოლვილის უფლებებსა და ეროვნულ ინტერესებს შორის. ამ კუთხით, სახელმწიფოთა უმრავლესობის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, ლტოლვილის დამცველს, ადვოკატს აქვს ინფორმაციის გარკვეულ ნაწილზე წვდომის უფლებამოსილება, რომელიც სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირად გვევლინება და მეტნაკლებად მას უნევს დაცვის ქვეშ მყო-

⁶² იხ. ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია, [. <https://www.coe.int/en/web/data-protection/convention108-and-protocol>.]

⁶³ იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საყოველთაო რეგულაცია, [<https://gdpr-info.eu/.>].

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

ფისთვის იმ ზოგადი სურათის შექმნა, რომლის საფუძველზეც ამ უკანასკნელს ეთქვა უარი. მეორე მოდელის თანახმად, კი, მხოლოდ სპეციალურ ადვოკატს გააჩნია ამ ინფორმაციაზე წვდომის უფლებამოსილება, მაგალითად დიდი ბრიტანეთის მოდელი. საგულისხმოა, რომ ამ მოდელის არსებობის პირობებშიც კი ადამიანის უფლებათა ერთობლივმა კომიტეტმა (Joint Committee On Human Rights) ტერორიზმთან, პოლიტიკასთან და ადამიანის უფლებებთან მიმართებით აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთის მიერ საიუდმლო ინფორმაციის გამოყენების სტანდარტი და სპეციალური ადვოკატის ინსტიტუტი აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს გადახედვას.⁶⁴ კომიტეტს მიაჩნია, რომ სპეციალური ადვოკატის ინსტიტუტის ასეთი სახით არსებობა ენინააღმდეგება კონვენციას და ძირს უთხრის მართლმსაჯულების ჯეროვან ადმინისტრირებას. კომიტეტის აზრით, თუნდაც სპეციალური ადვოკატის არსებობის პირობებში, მას უნდა შეეძლოს თავშესაფრის მაძიებლისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება.⁶⁵ კომიტეტი მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება პირისითვის მაინც ბუნდოვნად რჩება, იმდენად, რამდენადაც მას არ ააქვს ინფორმაცია თუ რის გამო ეუბნებიან მას უარს შესაბამისი სტატუსის მინიჭებაზე.⁶⁶ საპირისპიროდ, მოსამართლეებს აქვთ ასეთ ინფორმაციაზე წვდომის უფლებამოსილება. მათ, კი საქმის საფუძვლიანი გამოკვლევისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სათანადო გამოკვლევის შემდეგ, გამოაქვთ გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვის მინიჭების ან დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. თვითონ ის მოდელიც, რომლის ფარგლებშიც მოსამართლეს აქვს წვდომა ე.ნ. დაფარულ მასალებზე, ლტოლებისთვის ერთგვარი გარანტია, რომ კომპეტენტური მოსა-

⁶⁴ Joint Committee on Human Rights. Counter-Terrorism Policy and Human Rights (Seventeenth Report): Bringing Human Rights Back In. Sixteenth Report of Session 2009–10, გვ.5

⁶⁵ იხ. იქვე, გვ.23

⁶⁶ იხ. იქვე, გვ.23

მართლის მიერ მისი საქმე საფუძვლიანად და სრულყოფილად იქნება გამოკვლეული. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთა უმეტესობის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით უზრუნველყოფილია ლტოლვილთა უფლებების ადეკვატური გარანტიები, მანც იკვეთება ისეთი ფაქტორები და გარემოებები, რომლის საფუძველზეც განმცხადებლები უთითებენ, რომ არსებული საკანონმდებლო რეალობა საჭიროებს მეტად დახვეწასა და სრულყოფას. ხშირად, ისინი აპელირებენ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, დაცვის უფლებასა და შეჯიბრებითობის პრინციპის კონტექსტზე. პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით, პერსონალური მონაცემი არის ისეთი ტიპის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ლოგიკურია, რომ პერსონალურ მონაცემთა მფლობელები მონაცემთა სუბიექტები არიან. ვინადაინ და რადგანაც, მონაცემთა დაცვის ძირითადი უფლება თავისი არსით ბუნებითი და პიზიტიური უფლებაა, იგი ადამიანს ენიჭება დაბადებისთანავე. ის ინფორმაცია, რომელზე წვდომაც თავშესაფრის მაძიებელს არ გააჩნია ხშირ შემთხვევაში ექცევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ფარგლებში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივ ურთიერთობებში ხშირ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებად გვევლინება მონაცემთა დამუშავებელი, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს და მონაცემთა სუბიექტი, რომლის შესახებაც მუშავდება პერსონალური მონაცემები. ლტოლვილთა სამართლის ჭრილში, მონაცემთა სუბიექტია თავად თავშესაფრის მაძიებელი პირი, ხოლო მონაცემთა დამუშავებლად გვევლინება საჯარო ხელისუფლება – ამ შემთხვევაში კი სახელმწიფო. მონაცემთა სუბიექტის უფლებების ცნებაში მოიაზრება მონაცემთა სუბიექტის უფლება მოსთობოვს მონაცემთა დამუშავებელს მის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების გადაცემა, დამუშავების შეწყვეტა, მონაცემთა განადგურება, ან მისი ჩასწორება. ამის თაობაზე კი, სახელმწიფოს ენიჭება მოქმედების ფართო დისკრეციული უფლებამოსილება და შეუძლია თავად

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

მონაცემთა დამუშავებასთან მიმართებით დაადგინოს სპეციალური შეზღუდვები იმ შემთხვევაში თუ სახეზე გვაქვს ისეთი აღმატებული და ლეგიტიმური ინტერესი, როგორიცაა ეროვნული უსაფრთხოება. თუმცა, ბუნდოვანია თუ როგორ უნდა შეილახოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები *prima facie*, მტკიცებულებების თავშესაფრის მაძიებლისთვის გაცნობისას, როდესაც ამ უკანასკნელს გააჩნია კანონიერი ინტერესი დაადგინოს თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის მიზეზი. მეორეს მხრივ, თავშესაფრის მაძიებელთათვის და უფრო მეტად ამ სფეროთი დაინტერესებული აკადემიური წრის წარმომადგენლებისთვის უფრო მეტად ბუნდოვანია ის საკითხი, რომ პირობითად თუ კონტრდაზვერვის მიერ მოძიებულ მტკიცებულებებში იკვეთება პირდაპირი საფრთხე, რომ ესა თუ ეს პირი წარმოადგენს საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის, მაშინ რატომ არ ხდება ასეთი პირების დაკავება და მათი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ თუ შესაბამის ორგანოებს აქვთ ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფის რისკი და მასში სწორედ თავშესაფრის მაძიებელი პირია შემჩნეული, რატომ არ უნდა მოხდეს მაშინ ასეთი პირების მიმართ შესაბამისი *ex officio* ზომების გამოყენება. ამ პოზიციის დამცველები ძირითადად უთითებენ იმაზე, თუ რამდენად არსებობს *prima facie* ეროვნული ინტერესის ხელყოფის საფრთხე? თუ ეროვნული ინტერესების ხელყოფა, უბრალოდ წარმოადგენს ე.ნ. *in abstracto* მიზეზს, მტკიცებულებებზე წვდომის შეზღუდვისთვის? საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრება *Leander*-ის საქმეზე.⁶⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ პერსონალურ მონაცემებთან წვდომის უფლება, რომელიც შენახული აქვთ საჯარო ორგანოებს, გარკვეულ შემთხვევებში,

⁶⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Leander v. Sweden*, App.No. 9248/81, 1987 წლის 26 მარტი

შესაძლებელია იქნეს შეზღუდული.⁶⁸ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იმ პიროვნებების ფარული შემოწმება, რომლებსაც სურთ დაიკავონ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არსებული პოზიცია, თავისი არსით, არ იყო წინააღმდეგობაში დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის მოთხოვნასთან.⁶⁹ მონაცემთა სუბიექტის ინტერესების დასაცავად უსაფრთხოების სპეციალური ზომები განსაზღვრული იყო შიდასახელმწიფოებრივი კანონით, მაგალითად, კონტროლს ახორციელებდა პარლამენტი და იუსიტიციის კანცლერი, რამაც სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ პერსონალის კონტროლის შევდური სისტემა შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს. არსებული დისკრეციიდან გამომდინარე, მოპასუხე სახელმწიფოს თანახმად, აპლიკანტის საქმეში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები წინ იდგა ინდივიდუალურ ინტერესებზე. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა.⁷⁰ ასევე საინტერესოა *Rotaru-s* საქმე.⁷¹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რამდენადაც რუმინული სამართლით დასაშვები იყო საიდუმლო ფაილებში შენახვის მიზნით იმ ინფორმაციის შეგროვება, ჩაწერა და დაარქივება, რაც გავლენას ახდენდა ეროვნულ უსაფრთხოებაზე, თანაც, ამ უფლებამოსილებათა შესრულებისას, შეზღუდვების დადგენის გარეშე, რაც ორგანოებს აძლევდა შეხედულებისამებრ მოქმედების საშუალებას.⁷² მაგალითად, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა ინფორმაციის იმ სახეს,

⁶⁸ იხ. Boillat. Philippe., Kjaerum. M., Handbook on European Data Protection Law, კ. გოშაძის თარგმანი, მ. ბეგიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, გვ.143

⁶⁹ იხ. იქვე, გვ.89

⁷⁰ იხ. იქვე, გვ.89

⁷¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Rotaru v. Romania [GC]*, App.No. 28341/95, 2000 წლის 4 მაისი

⁷² იხ. Boillat. Philippe., Kjaerum. M., Handbook on European Data Protection Law, კ. გოშაძის თარგმანი, მ. ბეგიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015, გვ.87

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

რომელიც უნდა დამუშავებულიყო, ასევე ადამიანების კატეგორიებს ვისზეც უნდა ყოფილიყო გამოყენებული თვალთვალის ზომები, პირობები, რა დროსაც ამგვარი ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული ან თავად გამოყენების პროცედურა დაცული.⁷³ მოცემული ნაკლოვანებების გამო, სასამართლომ აღნიშნა, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ იყო შესაბამისობაში განჭვრეტადობის მოთხოვნასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით და, შესაბამისად, ეს მუხლი დარღვეულ იქნა.⁷⁴

ზემოხსენებულის მიუხედავად, თავშესაფრის მაძიებლის უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე არც თუ ისე ძლიერი არგუმენტია ეროვნული უსაფრთხოების ინტერესის საპირონოები. ეს განპირობებულია რამდენიმე მიზეზით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემთა დაცვის სამართლის ქართული კანონმდებლობა რეცეფცირებულია ევროპული კავშირისა და ევროპის საბჭოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, მათ შორის არსებითი განსხვავება არ გვხვდება. აღსანიშნავია, მონაცემთა დაცვის საყოველთაო რეგულაციის თანახმად, მონაცემთა სუბიექტის უფლება, ჰქონდეს წვდომა მის შესახებ არსებულ ინფორმაციაზე, შესაძლებელია შეიზღუდოს ისეთი ლეგიტიმური მიზნის არსებობისას, როგორიც ეროვნული უსაფრთხოებაა. მით უმეტეს, განსახილველ კონტექსტში, მონაცემთა დაცვის ქართული კანონმდებლობის მოქმედების ფარგლები საერთოდ არ ვრცელდება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე. ამრიგად, პროდუქტიული არ იქნება, როგორც, მონაცემთა სუბიექტის უფლებების კონტექსტიდან მსჯელობა, ასევე მონაცემთა დამმუშავებლის ჭრილიდან, იმდენად, რამდენადაც, ჩვენს შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელია სახელმწიფო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო თავად სახელმწიფოს აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ, ქვეყნის თავისებურებების მიხედვით, შეუსაბამოს მონაცემთა

⁷³ იხ. იქვე., გვ.87

⁷⁴ იხ. იქვე., გვ.87

დაცვის კანონმდებლობა მონაცემთა დაცვის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და დებულებებს. საგულისხმოა, რომ მონაცემთა დამმუშავებლის ჭრილიდანაც, მონაცემთა დამმუშავებელს ეზღუდება მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების უფლებამოსილება, ისეთი აღმატებული ინტერესის არსებობისას, როგორიცაა ეროვნული ინტერესი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა დაცვის კონტექსტიდან პოზიციონირება არ წარმოადგენს წონად არგუმენტს, ეს არ ნიშნავს, იმას, რომ ამ არგუმენტით პოზიციონირება მიზანშეუწონელია. განსახილველ შემთხვევაში, თუ მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოება, მაშინ მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობაზე შეზღუდვის მიზნის მართებულობის მტკიცების ტვირთი, ლოგიკურია რომ უნდა დაეკისროს სახელმწიფოს. ეს მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო: 1. თუ ეროვნული ინტერესის პრობლემატიკა მართლაც იყვეთება, მაშინ სახელმწიფოს-თვის რთული არ იქნება წინამდებარე დებულებების დასაბუთება. რა თქმა უნდა სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლით აღიარებული ზოგადი პრინციპების თანახმად, გამომდინარე სახელმწიფო სუვერენიტეტის უზენაესობისა, შესაძლებელია, გარკვეულ შემთხვევაში, არ ეკისრებოდეს ასეთი მტკიცების ვალდებულება, თუმცა ლტოლვილთა უფლებების ბალანსირების კუთხით, თუ ასეთი ინტერესი ნამდვილად სახეზეა სახელმწიფოს კეთილი ნება დაადასტუროს ასეთი საფრთხის რეალური არსებობის შანსი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ლტოლვილთა უფლებების საერთო სამართლებრივი ჩარჩოს განტმიცების კუთხით. პროპორციულობის ტესტის მიხედვით, ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი საშუალება თანაზომიერი უნდა იყოს მისაღწევ ლეგიტიმურ მიზანთან. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ეროვნული უსაფრთხოების მართებულობის მტკიცების ტვირთი დაეკისრება სახელმწიფოს და სახელმწიფო შეძლებს მის დასაბუთებას, ეს პირდაპირპროპორციულია მსჯელობის, რომ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად განხორციელდა თანაზომიერი საშუალების გამოყენება და ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა ექვემდებარება კონსტიტუციურ-სა-

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

მართლებრივ გამართლებას. 2. ეროვნული ინტერესის მართებულობის მტკიცების ტვირთის სახელმწიფოსთვის დაკისრების მეშვეობით, დადგინდება თუ რამდენად დგას რისკის წინაშე ეროვნული ინტერესი, არის თუ არა იგი იმდენად რეალური, რომ სახელმწიფომ დაუშვას ძირითად უფლებაში ასეთი ინტენსიური ჩარევა. საპირსპიროდ კი, თუ ეროვნული ინტერესით აპელირება მხოლოდ ჰიპოთეტური და ასპტრაქტული მიზეზია, რომელიც მაგალითად შესაძლებელია იყოს განპირობებული რომელიმე ქვეყნის ნაციონალისტურ-კულტურული, ტრადიციონალისტურ-რელიგიური საფუძვლების გამო – ეს თავისთავად გამოიწვევს სახელმწიფო განზრახვისთვის ფარდის ახდას და საერთაშორისო არენაზე მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის პროვოკირებას. 3. ეროვნული ინტერესის მიზნის მართებულობის დასაბუთება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მოტივირებული მსჯელობით. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ადვოკატირების მეშვეობით, მტკიცებულებებზე წვდომის უფლების მინიჭებაზე გასვლა. სხვაგვარად, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის უზოგადესი პრინციპი, რომლის თანახმადაც, ეროვნული ინტერესი ნებისმიერი სახელმწიფოს მამომძრავებელი ძალაა შიდა პოლიტიკურ თუ საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე, თავისთავად გადაწონის უფლებას პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე. ამ შემთხვევაშიც, საჭიროა მტკიცებულებათა მაღალი ზღვარის დადგენა, როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე მონაცემთა სუბიექტისთვის.

მეორე არგუმენტი ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს. სამართლიანი სასამართლო განხილვის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, რომ სასამართლო პროცესი ეფუძნებოდეს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილია, რომ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი სამართლიანი პროცესის არსებით შემადგენელ ელემენტად გვევლინება. ხოლო, პირის უფლება შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებულ ტრიბუნალზე გა-

რანტირებული უნდა იყოს წევრი სახელმწიფობის ეროვნული კანონმდებლობით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრება ამ საკითხის ირგვლივ ცალსახაა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი რა თქმა უნდა ადგენს პირის უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე, თუმცა მხოლოდ მაშინ როდესაც იგი ახორციელებს “სამოქალაქო უფლებება და ვალდებულებებს.” მაგალითად, იგივე *Lupsa*-ს საქმის განხილვის დროს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ განიხილა განმცხადებლის საჩივარი მე-6 მუხლის დარღვევის თაობაზე. გადაწყვეტილებაში კი მიუთითა, რომ წინამდებარე საქმე არ ეხებოდა განმცხადებლის სამოქალაქო უფლებების განხორციელების საკითხს.⁷⁵ მართლაც, სტრასბურგის სასამართლოს მიერ დაფიქსირებული პოზიცია ამ საქმის ჭრილში მე-6 მუხლის დარღვევის საკითხთან მიმართებით, წარმოადგენს პრეცედენტულ სამართალში უკვე კარგად დადგენილ პრაქტიკას. მაგალითისთვის, 2000 წლის 5 ოქტომბრის საქმეზე *Maaouia v. France*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გადაწყვეტილები, რომლებიც ეხება უცხოელთა ქვეყანაში შემოსვლას, ქვეყნიდან გასვლას ან ქვეყანაში დარჩებას, არ ეხება განმცხადებლის სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე სისხლის სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრის საკითხს, ამდენად კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ გავრცელდება.

დაცვის უფლებისა და შეჯიბრებითი პროცესის არგუმენტი ბევრად უფრო წონადი და ლოგიკურია, ვიდრე მონაცემთა დაცვის უფლების თაობაზე გამართული დისკუსია. ეს განპირობებულია რამდენიმე მიზეზით. პირველ რიგში, მართლმსაჯულების ჯეროვანი ადმინისტრირება ვერ განხორციელდება შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული სასამართლო პროცესის გარეშე. აღსანიშ-

⁷⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Lupsa v. Romania*, App.No.10337/04, 2006 წლის 8 ივნისი, პარაგ.63

⁷⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Maaouia v. France*, App.No. 39652/98, 2000 წლის 5 ოქტომბერი, პარაგ.40

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიღებობა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხვის კუთხით

ნავია, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი მნიშვნელოვანია გარანტიაა თავად ასეთი პროცესის თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად. დაპირისპირებულ მხარეებს უნდა ჰქონდეთ საქმეში არსებულ მასალებზე წვდომის შესაძლებლობა, იმისათვის, რომ უკეთ მოამზადონ საკუთარი პოზიცია და სრულიად შეძლონ მათვის მინიჭებული უფლებებით სარგებლობა. მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ შემთხვევაში მე-6 მუხლი თავშესაფრის მაძიებელს არ ანიჭებს კონვენციით განსაზღვრული სასამართლებრივი გარანტიებს არსენალს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კონვენცია სრულიად გულგრილია თავშესაფრის მაძიებლის მიმართ, ეფექტურიანი სასამართლო გარანტიებით აღჭურვის კუთხით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გვთავაზობს საკმაოდ ბევრ მნიშვნელოვან მაგალითს. ჩაჰალის საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა კონვენციის მე-13 მუხლთან მიმართებით. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში განსაკუთრებული წინააღმდეგობა წარმოშვა იმან, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირი დაყრდნო ეროვნული უსაფრთხოების არგუმეტს. წინამდებარე საქმეში, მტკიცება, რომ ბატონი ჩაჰალის დეპორტაცია აუცილებელი იყო ეროვნული უსაფრთხოების მიზნებისთვის თავის თავშივე გულისხმობდა იმას, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ გვექნებოდა კონვენციის მე-8 მუხლით მინიჭებული ეფექტიანი სასამართლო კონტროლის გარანტიები. თავის მხრივ, მოპასუხე სახელმწიფო დაეთანხმა სასამართლოს პოზიციას, რომ ეროვნული უსაფრთხოების საკითხის შემცველ საქმეებში ეფექტიანი სასამართლო კონტროლი შედარებით შეზღუდული იყო. საინტერესოა ის, რომ სასამართლო კიდევ ერთხელ მოიხსენიებს პრეცედენტულ სამართალში უკვე კარგად განვითარებულ დოქტრინას, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი სამუალების, შეძლების-დაგვარად მაქსიმალური ეფექტიანობის თაობაზე, და აღნიშნა, რომ “საიდუმლო ინფორმაციის წყაროზე დაყრდნობით, მიღებული გადაწყვეტილებების დროს, სამართლებრივი

დაცვის ეფექტიანი საშუალება უნდა იყოს იმდენად, ეფექტური რამდენადაც შესაძლებელია და მიუთითა Leander-ისა და Klass-ის საქმეებით დადგენილ უკვე კარგად ნაცნობ კონცეფციებზე.⁷⁷ სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ყველა რელევანტური დოკუმენტი, მათ შორის სენსიტიური ინფორმაცია განხილული იქნა სარეკომენდაციო პანელის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა სასამართლოს ორი წევრი და იმიგრაციის სააპელაციო ტრიბუნალის ყოფილი პრეზიდენტი.⁷⁸ პანელის წინაშე მიმდინარე პროცესი გაიმართა ორი მიზეზის გამო, ერთი მხრივ, იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულიყო იმ რელევანტური მასალების დამოუკიდებელი კონტროლისთვის დაქვემდებარების საჭიროება, რომელსაც ეფუძნებოდა ეროვნული წესრიგის წინააღმდეგ აღქმული საფრთხე, ხოლო მეროვს მხრივ, იმიტომ, რომ გარანტირებული ყოფილიყო ამ ინფორმაციის გაუმჯდავნებლობა.⁷⁹ ეს უკვე წარმოადგენდა ქუაზი სასამართლო კონტროლს.⁸⁰ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოპასუხე სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის გაუმჯდავნებლობას უზრუნველყოფდა განმცხადებლისა და მისი წარმომადგენლის მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში მონაწილეობის მიღების აკრძალვით. სასამართლოს მიერ დანიშნული პირი, რომელიც ე.ნ. უსაფრთხოების-დამცველის ადვოკატის სახელით არის ცნობილი, ჯვარედინ დაკითხვას უტარებდა რელევანტურ მოწმეებს და იღებდა მტკიცებულებათა გამოკვლევაში სრულყოფილ მონაწილეობას, ხოლო ამ უკანასკნელის გამოკვლევის მოკლე შინაარსს აცნობდნენ განმცხადებელს. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ცალსახა პოზიცია არ დაუფიქსირებია იმის შესახებ, თუ როგორ აფასებდა იგი მოპასუხე სახელმწიფოს მიდგომას. თუმცა, სასამართლო განსაკუთრებით საინტერესო მოსაზრებას

⁷⁷ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *CHAHAL v. THE UNITED KINGDOM*, App.No. 70/1995/576/662, 1996 წლის 11 ნოემბერი, პარაგ.142

⁷⁸ იხ. იქვე, პარაგ.142

⁷⁹ იხ. იქვე, პარაგ.142

⁸⁰ იხ. იქვე, პარაგ.142

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხვის კუთხით

ავითარებს გადაწყვეტილების 145-ე პარაგრაფში. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-13 მუხლი ახდენს ეროვნულ დონეზე “სამართლებრივი დაცვის” უფექტიანი საშუალების ხელმისაწვდომობის გარანტირებას, იმისათვის, რომ განხორციელდეს კონვენციის არსით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების აღსრულება, მიუხედავად იმისა თუ რა ფორმით არის დაცული რომელიმე კატეგორიის სენსიტიური ინფორმაცია ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 145-ე პარაგრაფში დაფიქსირებული შეფასებით, ირიბად აკრიტიკებს სახელმწიფოების მიდგომას, რომლებიც ზღუდავენ თავშესაფრის მაძიებელი პირების უფლებას, ჰქონდეთ წვდომა საჭირო მტკიცებულებებზე. ეს გარანტიები მოცემულია მე-13 მუხლი, როგორც ეფექტიანი სასამართლო კონტროლისთვის დამახასიათებელი გარანტიები. სასამართლო საბოლოოდ ასკვინის, რომ სარეკომენდაციო პანელის წინაშე მიმდინარე პროცესების დროს, განმცხადებელი არ იყო აღჭურვილი სასამართლო წარმომადგენლის სარგებლობის უფლებამოსილებით, მათ შორის, ბატონ ჩაჰალს მხოლოდ მოკლე ინფორმაცია მიეწოდა დეპორტაციის მიზნებისა და საფუძვლების შესახებ, ხოლო მდივანის რეკომენდაცია პანელისთვის არ იყო შესასრულებლად სავალდებულო დალის მქონე და ეს ინფორმაცია არ იქნა გამულავნებული,⁸¹ ასევე სასამართლო კიდევ ერთხელ იხსენებს, რომ სარეკომენდაციო პანელის წინაშე განმცხადებლის წარდგომისას, მართალია მას მიეცა მოწმის გამოძახების უფლებამოსილება, მაგრამ არ მიეცა, მოწმის დაკითხვაზე დასწრების და შესაბამისად მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობის მიღების უფლებამოსილება.⁸² ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა. კერძოდ, მოპასუხე სახელმწიფო ბატონ ჩაჰალს არ სთავაზობდა დაცვის შესაბამის საპროცესო გა-

⁸¹ იხ. იქვე., პარაგ.154

⁸² იხ. იქვე., პარაგ.32

რანტივებს.

მეორე მაგალითია ე.წ. Lupsa-s საქმე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ შესაძლებელია პირის მიმართ ეროვნული უსაფრთხოების დაცვის სასარგებლოდ გატარდეს კონკრეტული ღონისძიებები, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას უნდა ჩამოერთვას ყველა რელევანტური საშუალება სახელმწიფოს თვითნებობის აღკვეთისთვის, რაც თავისთავად გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოსა და კანონის უზენაესობის იდეიდან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადგენს რომ იმ საკითხებზე, რომელიც ეხება ძირითადი უფლებების ხელყოფას – სახელმწიფოსთვის შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭებით კანონის უზენაესობის პრინციპის საწინააღმდეგო მოცემულობას მივიღებდით, რაც თავის მხრივ ენინააღმდეგება კონვენციის სულისკვეთებას, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს ერთერთ ნიშანდობლივ მახასიათებელს.⁸³ გადაწყვეტილების 38-ე პარაგრაფში, სასამართლო მკაფიოდ აღნიშნავს, რომ განმცხადებელს სხვა საშუალებებთან ერთად, უნდა ჰქონდეს მის წინააღმდეგ გამოყენებული “საშუალების” გასაჩივრების უფლებამოსილება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის წინაშე, რომელიც იქნება კომპეტენტური განიხილოს ყველა რელევანტური ფაქტობრივი და სამართლებრივი შეკითხვა, იმისათვის, რომ განსაზღვროს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შესაძლო თვითნებობის კანონიერების საკითხი.⁸⁴ აქვე სასამართლო სრულიად იზიარებს შეჯიბრებითობის პრინციპის არგუმენტს და აღნიშნავს, რომ განმცხადებლი, შესაბამისი ორგანოს წინაშე წარდგომისას, უნდა სარგებლობდეს შეჯიბრებითი პროცესით, იმისათვის, რომ შეეძლოს თავისი აზრის წარდგენა და მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტების გაბათილება.⁸⁵ აღნიშნული საქმე კი-დევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ შეჯიბრებითი პრო-

⁸³ იხ. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Lupsa v. Romania*, App.No.10337/04, 2006 წლის 8 ივნისი, პარაგ.34

⁸⁴ იხ. იქვე., პარაგ.38

⁸⁵ იხ. იქვე., პარაგ.38

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

ცესის არგუმენტი რელევანტურია მტკიცებულებებზე წვდომის თაობაზე მსჯელობიასას. ნიშანდობლივია, რომ შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო პროცესი რა თქმა უნდა მოიცავს მხარეთა მიერ როგორც მტკიცებულებების გაცვლას, ასევე ასეთი მტკიცებულებების გაპათილების უფლებასაც. თუნდაც ამ კონკრეტულ საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რა თქმა უნდა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ეროვნული უსაფრთხოების განუზომელ მნიშვნელობას, მაგრამ აქვე მიუთითა, რომ თუნდაც ასეთი აღმატებული ინტერესის არსებობისას, განმცხადებელს არ უნდა ჩამოერთვას კონვენციით გარანტირებული სიკეთით სარგებლობის უფლებამოსილება.

იგივე პოზიცია გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე, *C.G. and others v. Bulgaria*. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც შესაძლებელია რისკის წინაშე იდგეს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები, დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერებისა და კანონის უზენაესობის კონცეფცია მოითხოვს, რომ ის საშუალებები, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ძირითადი უფლებების ხელყოფა, აუცილებლად უნდა ექვემდებარებოდეს შეჯიბრებითობის პრინციპის რომელიმე ფორმას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლოს წინაშე, რომელიც კომეპეტენტურია ეფექტურად გამოიკვლიოს ეს მიზეზები და მტკიცებულებები ამ პირებისთვის.⁸⁶ ხოლო თუ საჭირო გახდება, ასევე გამოიკვლიოს კონკრეტული კლასიფიცირებული ინფორმაცია გარკვეული საპროცესო შეზღუდვების დაწესებით.⁸⁷ აღნიშნული მოსაზრება ასევე გაზიარებულია *Al-Nashif*-ის საქმეში.

სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესსა და ინდივიდის უფლებების დაცვასთან მიმართებით, მნიშნველო-

⁸⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *C.G. v. Bulgaria*, App.No. 1365/07, 2008 წლის 24 აპრილი, პარაგ.40

⁸⁷ იხ. იქვე., პარაგ.40

ვანია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გა-
დაწყვეტილება, საქმეზე, ZZ v. *Secretary of State for the Home
Department*, სადაც სასამართლომ Free Movement Directive
2004/38/EC-ზე მსჯელობისას, აღნიშნა, რომ წევრი სახელ-
მწიფოები ვალდებულები არიან დააბალანსონ სახელმწიფო
უსაფრთხოების დაცვის ინტერესი და ინდივიდის მიერ საკუ-
თარი თავის ეფექტურად დაცვის მექანიზმის არსებობის
მნიშვნელობა.⁸⁸ სასამართლოს მითითებით, აღნიშნული ვალ-
დებულება გამომდინარეობს ძირითად უფლებათა ევროპუ-
ლი კავშირის ქარტიის 47-ე მუხლიდან.⁸⁹ ევროკავშირის მარ-
თლმსაჯულების სასამართლომ, დამატებით აღნიშნა, რომ
აღნიშნული ბალანსი სახელმწიფოთა შიდა სასამართლოებმა
უნდა უზრუნველყონ.⁹⁰ აუცილებელია, ეს სასამართლოები
დარწმუნდნენ და უზრუნველყონ, რომ პირს ჰქონდა ინფორ-
მაცია უშუალოდ იმ არსებითი ფაქტების შესახებ, რომელიც
საფუძვლად დაედო მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილე-
ბას.⁹¹ ლტოლვილთა და გაძევების ევროპული საბჭოც
(European Council on Refugees and Exiles) ასევე იზიარებს ევრო-
კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტი-
ლებებით დადგენილ სტანდარტს და მიუთითებს, რომ აუცი-
ლებელია თავშესაფრის მაძიებელს ჰქონდეს წვდომა მის მი-
მართ გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძვლებზე,
რადგან სხვაგვარად მისთვის დაცვის უფლების გარანტირე-
ბა შეუძლებელი იქნება.

ნებისმიერ შემთხვევაში, შეჯიბრებითობის პრინციპი
წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამარ-
თალში არსებულ ისეთ განუყოფელ და აუცილებელ გარან-
ტიას, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მეშვე-
ობით, დიდი დოზით უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყელასათ-

⁸⁸ იხ. IDFI, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, „სა-
ქართველოში თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის პროცედურები გამ-
ჭვირვალე არ არის“, გვ.7. ასევე იხ. ZZ v. *Secretary of State for the Home
Department* (CJEU, C-300/11)

⁸⁹ იხ. იქვე, გვ.7

⁹⁰ იხ. იქვე, გვ.7

⁹¹ იხ. იქვე, გვ.7

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლებითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

ვის, განურჩევლად ეროვნულობისა. აღნიშნულ პოზიციას იზიარებს, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული, ასევე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოც.

საგულისხმოა ისიც, რომ ქართული კანონმდებლობის ჭრილში, თავშესაფრის მაძიებელს არ ააქვს წვდომა იმ მტკიცებულებებზე, რომლის საფუძველზეც მას უარი ეთქვა საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე. ეს კი, როგორც უკვე ბევრჯერ აღინიშნა, ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მოტივით ხორციელდება. ქართული კანონმდებლობით, მხოლოდ მოსამართლეს ააქვს მტკიცებულებების სრულიად გამოკვლევის უფლებამოსილება, ხოლო ადვოკატს გარკვეული დოზით ააქვს წვდომა ამგვარ მტკიცებულებებზე, რომელიც უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ფაქტობრივად ზედაპირულად უხსნის თავის დაცვის ქვეშ მყოფს უარის მიზეზებს. პრაქტიკულად, ერთის მხრივ, პირი დამოკიდებულია მოსამართლის ოსტატობასა და კეთილსინდისიერებაზე, რომ იგი საფუძვლიანად და განსაკუთრებული გულისხმიერებით გამოიკვლევს მის წინაშე არსებულ ყელა მტკიცებულებას, ხოლო მეორეს მხრივ ამავე მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხზე, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ რამდენად კარგად განხორციელდება გადაწყვეტილების შესაბამისი მსჯელობით დასაბუთება, ისე, რომ ამ უკანასკნელს უსამართლობის განცდა არ გაუჩინდეს. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე პასიური არბიტრის ფუნქციის შესრულების მეშვეობით სასამართლო პროცესზე მხარეთა შორის წონასწორობის შენარჩუნების უპირობო გარანტია შეჯიბრებითობის პროცესის ჭრილში, საერთაშორისო დაცვის მსურველს შესაძლებელია მაინც გაუჩინდეს განცდა, რომ ის მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც მას უარი ეთქვა არ იყო მართებული, ან თუ იყო, მას შეეძლო ხსენებულის გაბათილება.

დასკვნა

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ერთი-ანი სტანდარტი, რომელიც მზა ფორმულას შესთავაზებს სახელმწიფოსა და თავშესაფრის მაძიებელს. საგულისხმოა, რომ არსებული ვითარების თანახმად, სასწორის ერთი პინაზე მოთავსებულია საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში, აღიარებული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების უზენაესობის, ხოლო მეორე პინაზე, თავშესაფრის მაძიებლის ძირითადი უფლებები. მათი ბალასნირებისას შეუძლებელია ერთიანი და სტანდარტიზირებული საზომის გამოყენება. ლტოლვილთა უფლებების ადვოკატირების კუთხით, ლოგიკური არგუმენტია მათი უფლება მონაცემთა დაცვაზე, რომელიც ითვალისწინებს პირის შესახებ არსებულ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობას, თუმცა როგორც განვიხილეთ, ამ უფლებაზე მსჯელობისას განსაკუთრებულ სირთულეებს ვანდედებით და საჭირო ხდება გარკვეულ შეკითხვებზე მკაფიო პასუხის გაცემა. მონაცემთა დაცვის უფლების არგუმენტი არ არის წონადი ეროვნულ ინტერესთან მიმართებით, პირიქით შესაძლებელია ნაკლებად იყოს რელევანტური მისი განხილვა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ უნდა იქნეს განხილული ამ კონტექსტში. ხოლო, მეორე არგუმენტი, რომელიც პირველისგან ფუნდამენტურად განსხვავდება მდგომარეობს შეჯიბრებითობის პრინციპისა და დაცვის უფლების მემვეობით ადვოკატირებაში, რომელიც მართლმსაჯულების ეფექტიანი ადმინისტრირების მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია, ხოლო როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა მე-13, მე-8 და მე-3 მუხლებთან მიმართებით, იგი უმნიშვნელოვანესი საპროცესო გარანტიაა, რომლითაც პირები უნდა სარგებლობდნენ მიუხედავად ეროვნული ინტერესების განუზომელი მასშტაბისა. ამ სტატიის მიზანი არ არის და არც შეიძლება, რომ იყოს ეროვნული ინტერესების დაკნინება ან უგულვებელყოფა. პირიქით, ეროვნული ინტერესების განუზომელი, წონადი და ფასდაუდებელი მნიშვნელობა ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ამოსავალი წერტილია ურომ-

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი ლტოლვილთა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

ლისოდაც აზრი დაეკარგებოდა კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციას. მაგრამ, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესისთვის დაუსაბუთებელი და არათანაზომიერი და აბსტრაქტული აპელირების გამო, არ უნდა განხორციელდეს გარკვეული ჯგუფების უფლებათა უგულვებელყოფა. პირიქით, სახელმწიფოებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სუპრანაციონალურმა ორგანიზაციებმა მიზნად უნდა დაისახონ ოქროს შუალედის ძიება, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესისა და ლტოლვილთა უფლებების რეალიზაციას ერთობლივ და კუმულაციურ მიზნად დაისახავს და არა ალტერნატიულ და ცალკე მდგომ კატეგორიად. საბოლოო ჯამში, მიუხედავად ნებისმიერი ძალისხმევისა, პრაქტიკულად შეუძლებელია და მითუმეტეს ამ ჭრილში, უნიფიცირებული მეთოდის შემუშავება. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ხიბლი სწორედ იმაშია, რომ კითხვებზე პასუხები მზარეცხოვების სახით არ გვხვდება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არსებული, უკვე კარგად ნაცნობი დოქტრინის მიხედვით, თითოეული საქმე ფასდება ინდივიდუალურ საფუძველზე, ამ საქმის უნიკალური ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღების კონტექსტში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი. იხ. https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf
2. ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია. იხ. <https://www.coe.int/en/web/data-protection/convention108-and-protocol>
3. ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის ქარტია. იხ. http://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საყოველთაო რეგულაცია. იხ. <https://gdpr-info.eu/>
5. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 23/07/1999, სსმ, 39(46), 06/08/1999
6. “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონი, 28/12/2011, 16/01/2012
7. “კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონი, 11/11/2005, სსმ, 49, 30/11/2005
8. “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონი, 19/02/2015, 12/03/2015
9. “საერთაშორისო დაცვის შესახებ” საქართველოს კანონი, 01/12/2016, 15/12/2016
10. *Oppenheim's International Law*, Jennings & Watts eds. (9th ed, 1996)
11. R. Higgins, *Problems and process, international law and how we use it* (1994)
12. Boillat. Philippe., Kjaerum. M., *Handbook on European Data Protection Law*, კ. გომაძის თარგმანი, მ. ბეგიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015
13. Joint Committee on Human Rights. Counter-Terrorism Policy and Human Rights (Seventeenth Report): Bringing Human Rights Back In. Sixteenth Report of Session 2009–10
14. Lambert H., *The position of aliens in relation to the European Convention on Human Rights*, 2007, Council of Europe Publishing Marie Whitney K., *DOES THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS PROTECT REFUGEES FROM "SAFE" COUNTRIES?* “Christiane Berthiaume, Asylum Under Threat, <http://www.unhcr.ch/issues/asylum/_rml010l.htm>
15. IDFI, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი,

ლაშა ლურსმანაშვილი – ეროვნული უსაფრთხოების სტანდარტი
ლოგიკითა სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართ-
ლოს პრაქტიკის მიხედვით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართ-
ლოს მიღებობა საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით

„საქართველოში თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის პრო-
ცედურები გამჭვირვალე არ არის.“

16. https://www.echr.coe.int/Documents/FS_Dublin_ENG.pdf
17. <https://www.lawteacher.net/cases/soering-v-united-kingdom.php>
18. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Vilvarjah and Others v the United Kingdom*, App.No. 3163/87, 13164/87, 13165/87, 13447/87, 13448/87. 1991 წლის 30 ოქტომბერი
19. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Rotaru v. Romania [GC]*, App.No. 28341/95, 2000 წლის 4 მაისი
20. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *CHAHAL v. THE UNITED KINGDOM*, App.No. 70/1995/576/662, 1996 წლის 11 ნოემბერი
21. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *H.L.R. v. France*, App.No. 24573/94, 1997 წლის 29 აპრილი
22. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *C.G. v. Bulgaria*, App.No. 1365/07, 2008 წლის 24 აპრილი
23. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Esebster v. the United Kingdom*, App.No.18601/91, 1993 წლის 2 აპრილი
24. ადამიანის უფლებათ ევროპული სასამართლო, *Lupsa v. Romania*, App.No.10337/04, 2006 წლის 8 ივნისი
25. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Maaouia v. France*, App.No. 39652/98, 2000 წლის 5 ოქტომბერი
26. *ZZ v. Secretary of State for the Home Department* (CJEU, C-300/11)

**სტაციარტულ პირობებში ხელშეკრულების
თავისუფლების შეზღუდვა ნდობისა და
კათილსინდისიერების პრინციპების
ფარგლებში**

**გიორგი მალანია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბაკალავრიატის სტუდენტი**

აპსტრაქტი:

სახელშეკრულებლო სამართლიანობის პროცესების მატიკა უმეტესწილად იმ ტიპის ხელშეკრულებებში იყვეთება, რომელთა არსებითი/ძირითადი პირობები გარიგების ძლიერი მხარის ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე განისაზღვრება, რა დროსაც რთულია უფლებათა ბალანსის შენარჩუნება, რადგან ხელშეკრულება ერთი მხარის უპირატეს ინტერესებზეა მორგებული. ხშირად, იურიდიულად კონტრაპენტები აბსოლუტურად სხვადასხვა პოლუსზე დგანან, რაც შესაძლებელია არსებითად აკნინებდეს ერთი მხარის კონდიციას. აღნიშნულს განეკუთვნება ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, რომელთა როლი თანამედროვე ეკონომიკურ-საბაზრო ბრუნვაში განსაკუთრებულია, რადგან, ამ ინსტიტუტის გარეშე სამოქალაქო მიმოქცევა მეტად კომპლექსური გახდებოდა.

ნინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გამოკვეთოს კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპების არადეკლარაციული და პირდაპირი ნორმატიული მოქმედების ხასიათი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში. განისაზღვროს სად გადის სამართლებრივი მიჯნა, სამართლიანობასა და ხელშეკრულების თავისუფლებას შორის, რომელიც აბსოლუტურ უფლებათა კატე-

გორიას არ განეცუთვნება, შესაბამისად, დასაშვებია და-
ცული სფეროს შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის არსებო-
ბისას. დაცულ იქნეს მომხმარებელთა უფლებები.

საკვანძო სიტყვები: სტანდარტული პირობები,
სახელშეკრულებო თავისუფლება, კეთილსინდისიერე-
ბისა და ნდობის პრინციპები.

I. შესავალი

კერძო სამართლებრივი ურთიერთობები აგებულია რა
ინდიდუალურ ინიციატივებსა და დამოუკიდებლობაზე,
ეფუძნება პერსონის თავისუფლებას. ამ ურთიერთობებს სა-
ფუძვლად უდევს პირთა თავისუფალი ნების გამოვლენა და
სხვა პირებთან ურთიერთობის დამყარების სურვილი. ამ
მოვლენას კერძო ავტონომია ეწოდება და იგი საკუთრების
უფლებასთან ერთად კერძო სამართლის ფუნდამენტს წარ-
მოადგენს¹. სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტები უფლებისა და
თავისუფლების რეალიზაციას სხვადასხვა სახის ურთიერ-
თობებში მონაწილეობით ახორციელებენ, ძირითადი მექა-
ნიზმი კი ხელშეკრულების თავისუფლებაა, რომელიც ხელ-
შეკრულების დადებისა და შინარსის განსაზღვრის თავი-
სუფლებას გულისხმობს.

სამოქალაქო ურთიერთობების თანასწორუფლებიანი
საწყისებისა და არასუბორდინაციული ხასიათისა, „ხელშეკრუ-
ლების თავისუფლება ავტომატურად როდი უზრუნველყოფს
სახელშეკრულებლო სამართლიანობის დაცვას თანასწორუფ-
ლებიან პარტნიორებს შორის. ძლიერი მხარისათვის ადვილია
თავს მოახვიოს მეორე მხარეს თავისი პოზიცია. ამიტომ ხელ-
შეკრულებები ყოველთვის ვერ იქნება ორი პარიტეტულად

¹ იხ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვა-
ნელო, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 2.

თანმხვედრი ნების „შედეგი“². სახელშეკრულებლო სამართლიანობა კერძო ავტონომიის პრინციპს ეფუძნება³, სახელშეკრულებლო სამართლიანობის დარღვევით შესაძლებელია გარიგების სამართლებრივობა ეჭვქვეშ იქნეს დაყენებული⁴.

საინტერესოა, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-5 მუხლი, რომელიც განამტკიცებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. ამავე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, „საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებისთვის.“⁵ მოცემულ მუხლში რეგლამენტირებულია სახელმწიფოს პოზიტური ვალდებულებების ასპექტები. ვფიქრობ, სოციალური თანასწორობის პრინციპის კონსტიტუციით განსაზღვრა სახელმწიფოს ცალსახად ავალდებულებს მომხმარებელთა უფლებების მყარი პლატფორმის კონსტრუირებას, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული სუსტი კონტრაპენტების უფლებები.

II. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს მხარეთა ნების კერძო ავტონომიის სპეციალურ შემთხვე-

² იხ. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 203.

³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 4 მაისის №ას-139-1385-05 განჩინება.

⁴ იხ. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 90.

⁵ იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3656689>

**გიორგი მალანია – სტანდარტულ პირობებში ხელშეკრულების
თავისუფლების შეზღუდვა ნდობისა და კეთილსინდისირების
პრინციპების ფარგლებში**

ვას.⁶ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საყოველთაოდაა დამ-კვიდრებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი. მის გარეშე წარმოუდგენელია ეკონომიკური წინსვლა და პროგრე-სი⁷ „ხელშეკრულების თავისუფლება უზრუნველყოფს მხარე-თა ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და პირთა შესაძლებლობას, აირჩიონ ხელშეკრულების მხარე, ხელშეკრულების ყველაზე ხელსაყრელი სახე და ამგვარად გა-დაანაწილონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი“.⁸

სახელშეკრულებლო თავისუფლება ბრუნვის მონაწი-ლის დამოუკიდებლობის განსაკუთრებული გამოვლინება. იგი სამართლის სუბიექტს კერძო სამართლებრივ სივრცეში თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას აძლევს. საკუთ-რების თავისუფლება სწორედ რომ თავისუფალი ბრუნვის პირობებშია შესაძლებელი. სამოქალაქო კოდექსის მთელი სხეული ამ თავისუფლებითაა გაუდენითილი. **სწორედ სახელ-შეკრულებლო თავისუფლებაში ვლინდება პიროვნება რო-გორც ქონებრივი უფლებების მატარებელი სუბიექტი**⁹. ხელშეკრულების ცნების დეფინიცია საქართველოს სამოქა-ლაქო კოდექსში ან რომელიმე სხვა სამართლებრივ ნორმაში არ არის მოწესრიგებული.¹⁰ ხელშეკრულება პიროვნების მი-

⁶ იხ. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., რედ.: ჯულელი გ., სახელშეკრულებლო სამართალი, სახელ-მძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 101.

⁷ იხ. ჭანტურია ლ., ზონძე ბ., ნინიძე თ., შენგელაია რ., ხეცურიანი ჯ., საქარ-თველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ხუთ წიგნად, წიგნი შესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, 58.

⁸ იხ. გელაშვილი ი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი <<http://www.gccc.ge/>>, 2017, მუხლი 319-ე, 2.

⁹ იხ. ზონძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 283.

¹⁰ ი.ხ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქა-ლაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკა-დემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 43.

ერ გამოვლენილი ნების რეალიზაციის საშუალებას/ ინ-სტრუმენტს წარმოადგენს.¹¹

ხელშეკრულების თავისუფლებას აქვს რამდენიმე სახის გამოვლინება: ხელშეკრულების დადების თავისუფლება, რომელიც მოიცავს კონტრაქტის არჩევის თავისულებასაც და ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება, რაც გულისხმობს მხარეებისათვის სასურველი ხელშეკრულების ტიპის არჩევას, მათ შორის კანონით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულების და შერეული ხელშეკრულების დადებასაც. ხელშეკრულების თავისუფლებაში მოიაზრება ფორმის არჩევის თავისუფლებაც.¹² საკუთარი ნებისა და ინტერესების მიხედვით ინდივიდებს შეუძლიათ განსაზღვრონ იმგვარი სახელშეკრულებლო პირობები, რომელთა ანალოგს სამოქალაქო სამართალი არ იცნობს. ეს ე.წ არატიპიური ხელშეკრულებებია.¹³

1. ხელშეკრულების დადების თავისუფლება

ხელშეკრულების სუბიექტებს თავისუფლად შეუძლიათ შეარჩიონ თავიანთი მომავალი პარტნიორები. ამის ერთ-ერთი გარანტიაა საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება.¹⁴ ამ თავისუფლების საძირკველი ნების გამოვლენის თავისუფლებაშია.¹⁵ თავისუფლი ნების გამოვლენა კერძო ინტერესების არსებობის აუცილებელი გარემოებაა.¹⁶ ხელშეკრულება ასეთ ვითარებაში იქცევა უმაღ-

¹¹ იხ. იქვე.

¹² იხ. გელაშვილი ი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი <http://www.qccc.ge/>, 2017, მუხლი 319-ე, 2.

¹³ იხ. იქვე.

¹⁴ იხ. ზოიძე ბ., უცროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 284.

¹⁵ იხ. იქვე.

¹⁶ იხ. იქვე.

ლეს სამართლებრივ ფასეულობად.¹⁷ სუბიექტების შერჩევა-
ში ჩანს ხერხემალი კერძო სამართლისა.¹⁸

ხელშეკრულების დადების თავისუფლება სახელშეკრუ-
ლებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია, იგი გულის-
ხმობს უფლებას, სუბიექტებმა საკუთარი ინტერესის მიხედ-
ვით დადონ ხელშეკრულება.¹⁹ ხელშეკრულების დადების თა-
ვისუფლების მეორე გამოვლინება კი კონტრაკენტის არჩე-
ვის თავისუფლებაა.²⁰ ხელშეკრულების დადების თავისუფ-
ლება ასევე, მოიცავს პირის უფლებას, უარი თქვას სახელ-
შეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზეც.²¹ ხელშეკრუ-
ლების თავისუფლების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი
მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების თავისუფალი ფორმირე-
ბაა, რაც მათვის სასურველი შინაარსის და კანონით პირ-
დაპირ გაუთვალისწინებელი ხელშეკრულების დადების შე-
საძლებლობიდან გამომდინარეობს.²²

2. შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება

მხარეები თვითონ განსაზღვრავენ ხელშეკრულების ში-
ნაარსს. კანონს არა აქვს პრეტეზია, დეტალურად დაადგინოს
ნებისმიერი ხელშეკრულების შინაარსი.²³ მხარეები ყოველ
კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე განსაზღვრავენ ურთიერთო-
ბის შინაარსს.²⁴ კანონმა არ შეიძლება განსაზღვროს ის, რაც

¹⁷ იხ. იქვე.

¹⁸ იხ. იქვე.

¹⁹ იხ. გელაშვილი ი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი
<http://www.qccc.qe/>, 2017, მუხლი 319-ე, 2.

²⁰ იხ. იქვე, 2.

²¹ იხ. იქვე, 2.

²² იხ. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის
№ს-1300-1320-2011 განჩინება.

²³ იხ. ზორე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში,
საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 285.

²⁴ იხ. იქვე, 285.

ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ განისაზღვრება.²⁵

ხელშეკრულების თავისუფლების პრაქტიკული რეალიზაციის უმთავრესი ინსტიტუტი ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებაა, რომელზეც მხარეთა სამომავლო უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრაა დამოკიდებული.²⁶ ხელშეკრულების შინაარსის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა ძირითადი პირობების გათვალისწინება, რომელთა ფორმირების შესაძლებლობა მხარეთა პრეროგატივას წარმოადგენს და იგი მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს ეფუძნება.²⁷ შინაარსის თავისუფლება ხელშეკრულების თავისუფლების უმთავრეს შემადგენელ ელემენტადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული, ვინაიდან სწორედ შინაარსის თავისუფლების ფარგლებში ათანხმებენ მხარეები ყველა პირობას.²⁸

ამდენად, ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება წარმოადგენს მისი მონაწილე მხარეების არჩევანის შესაძლებლობას, თავად, საკუთარი სურვილის შესაბამისად, მოახდინონ, ნებისმიერი, კანონით აუკრძალავი სამართლებრივი პირობის ხელშეკრულებაში გაწერა, შეადგინონ ხელშეკრულება სხვადასხვა ხელშეკრულებათა შინაარსის კომბინაციით, რაც მთლიანად მხარეთა ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული.²⁹

3. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ინ-სტიტუტი

თანამედროვე ეკონომიკის პირობებში მხარეები, ხელ-

²⁵ იხ. იქვე, 285.

²⁶ იხ. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, გვ. 135.

²⁷ იხ. იქვე, 136.

²⁸ იხ. იქვე, 135.

²⁹ იხ. იქვე, 135.

გიორგი მალანია – სტანდარტულ პირობებში ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების ფარგლებში

შეკრულების რთული და მასშტაბური პირობების განსაზღვრის და ამასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების თავიდან აცილების მიზნით, ხშირად სარგებლობენ ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები გულისხმობს ერთგვაროვანი შინაარსის მქონე ხელშეკრულებებს, რომელთა გამოყენებაც ხდება მრავალჯერადად.³⁰

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად მიჩნევის სავალდებულო ნიშნებია: 1. სტანდარტული პირობები არის სახელშეკრულებო პირობები; 2. სტანდარტული პირობები არის ნინასწარ ჩამოყალიბებული პირობები; 3. სტანდარტული პირობები არის მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები; 4. სტანდარტულ პირობებს ერთი მხარე უდგენს მეორე მხარეს; 5. სტანდარტული პირობებით უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემვსები წესების დადგენა.³¹

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პირობები არის კუმულაციური ხასიათის მატარებელი, ანუ ყოველი მათგანის ერთობლივად არსებობაა აუცილებელი სახელშეკრულებო პირობის სტანდარტულ პირობად მიჩნევისათვის და რომელიმე მათგანის არარსებობა ავტომატურად გამორიცხავს პირობის სტანდარტულ პირობად აღიარების შესაძლებლობას.³²

ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობები გამოიყენება ყველგან, სადაც არსებობს მრავალრიცხოვან მომხმარე-

³⁰ იხ. ადამაშვილი ა., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, [³¹ იხ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-755-811-2011.](http://www.qccc.ge/342-ე მუხლი, 2015, 1.</p></div><div data-bbox=)

³² იხ. ცერცვაძე ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 204.

ბელთან საქმიანი ურთიერთობა.³³ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენება თანამედროვე ბაზრის განვითარების ერთ-ერთ სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს. იგი გამოიყენება უამრავ სამართლებრივ ურთიერთობებში.³⁴ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს ახასიათებს პრინციპი, რომლის მიხედვითაც, იგი ვრცელდება აბსოლუტურად ყველა პირზე, ვინც ხელს აწერს მას. სასამართლო პრაქტიკით, მათი აღქმადობა და ხელშეკრულების პირობად გადაქცევა იდენტური უნდა იყოს ხელშეკრულების მონაწილე ყველა სუბიექტისთვის.³⁵ თანამედროვე ეკონომიკური და სამოქალაქო ბრუნვა წარმოუდგენელია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ინსტიტუტის გამოყენების გარეშე.

4. კეთილსინდისიერების პრინციპი – სამართლიანი სამართალი

თანამედროვე სამართლებრივი წესრიგისათვის დამახსასიათებელია კეთილსინდისიერების პრინციპის აღიარება. ამ პრინციპით კონკრეტდება ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ფარგლები.³⁶ კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის მოქმედების სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს. იგი ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზუდვაა.³⁷

კეთილსინდისირების პრინციპი კერძო სამართლის

³³ იხ. ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ხუთ წიგნად, წიგნი მესამე, გამომცემლობა „მერიდიანი“. 2001, 181.

³⁴ იხ. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 192.

³⁵ იხ. იქვე, 192.

³⁶ იხ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცენტები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2009, გვ. 83.

³⁷ იხ. იქვე, 83.

**გიორგი მალანია – სტანდარტულ პირობებში ხელშეკრულების
თავისუფლების შეზღუდვა ნდობისა და კეთილსინდისიერების
პრინციპების ფარგლებში**

უნივერსალური შეფასებითი კატეგორიაა.³⁸ კეთილსინდი-
სიერების პრინციპის გამოყენების სფერო ძირითადად გან-
პირობებულია შემთხვევებით, რომლებშიც მოთხოვნა ფორ-
მალურად შეესაბამება მოქმედ მატერიალურ სამართალს,
მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსა-
მართლოა. დაუშვებელია, მოქმედი სამართლიდან გამომდი-
ნარე უფლება თუ შედეგი იყოს არასამართლიანი.³⁹

კეთილსინდისიერების პრინციპი საზოგადოებრივ ურ-
თიერთობებში არსებული ნორმატიული ხარვეზების შევსე-
ბას ითვალისწინებს.⁴⁰

საკასაციო პალატის განმარტებით, კეთილსინდისიე-
რება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა
მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლე-
ბისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება
როგორც, ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტე-
ბის ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება რო-
გორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდი-
სიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით
გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი
შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად
შესრულებაც, ანუ კონტრაპენტის პატივსადები ინტერესე-
ბის გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა
არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულე-
ბის პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა
და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ
ეტაპზეც შესაძლებელია პასუხისმგებლობის დაკისრების სა-

³⁸ იხ. იქვე, 83.

³⁹ იხ. იქვე, 84.

⁴⁰ იხ. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქა-
ლაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკა-
დემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 48.

ფუძველი გახდეს.⁴¹

კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპის წარმოადგენს.⁴² კეთილსინდისიერების ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა.⁴³ კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მოქმედების ფარგლები მეორე მხარის ნდობის პროპორციულია. ეს ნორმა განსაკუთრებით დიდია ორმხრივი თუ საერთო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, რაც განპირობებულია მხარის ვარაუდით, რომ პირი არ იმოქმედებს თავისივე და, აქედან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების საზიანოდ.⁴⁴ გამომდინარე იქიდან, რომ ეს ნდობა სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება განსხვავებული იყოს, ხმირად კონკრეტდება თუ ზუსტდება კეთილსინდისიერების ზოგადი პრინციპი ცალკეულ ვალდებულებაში.⁴⁵

კეთილსინდისიერების პრინციპი სამოსამართლო სამართლის განვითარების ორიენტირს წარმოადგენს. სამართლი არ არის მარტომდენ სახელმწიფო სახელისუფლო სტრუქტურების საქმიანობის პროდუქტი.⁴⁶ კეთილსინდისიერების პრინციპი ზოგადი ვალდებულებაა.⁴⁷ კეთილსინდისიერების პრინ-

⁴¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1338-1376-2014.

⁴² იხ. ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <http://www.qccc.qe/> მე-8 მუხლი, 2015, გვ. 5.

⁴³ იხ. იქვე, 5.

⁴⁴ იხ. კერძესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2009, 92.

⁴⁵ იხ. იქვე, 92.

⁴⁶ იხ. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართლაში, სადისერტაციო ნამრობი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსამოვალად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2014, 13.

⁴⁷ იხ. იქვე, 13.

ციპი, გარდა თეორიული სამართლებრივი მნიშვნელობისა, კერძო სამართალში უდიდეს პრაქტიკულ დანიშნულებას ჰქოვებს. გარკვეულ ასპექტში შესაძლებელია იგი ვალდებულების დაკისრების წინაპირობადაც მოგვევლინოს.⁴⁸

სამართალს არ შეიძლება გააჩნდეს აბსოლუტური სა-მართლიანობის პრეტენზია. ვინაიდან იგი მუდმივად განვითარებადი სფეროა, ხშირად სამართლის სოციალური ქცევის წესები წინააღმდეგობაში მოდიან რაციონალიზმისა და ლოგიკის ჩარჩოებთან. სახელშეკრულებო ურთიერთობებში და ზოგადად კერძო სამართალში, კეთილსინდისიერების ინსტიტუტი ქვაკუთხედი უნდა იყოს სამართლიანობის უზრუნველსაყოფად.

5. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა ხელ-შეკრულების სტანდარტულ პირობებში

ხელშეკრულების თავისუფლება კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ფუნდამენტს წარმოადგენს, იგი ინსტრუმენტია სამოქალაქო უფლებების პრაქტიკული რეალიზებისა, რომლის მეშვეობითაც ყოველდღიურად სუბიექტები გარკვეულ ურთიერთვალდებულებებს კისრულობენ, ამყარებენ რა სამართლებრივ ურთიერთობებს სხვა პირებთან, უზრუნველყოფენ პიროვნულ განვითარებას, როგორც სამენარმეო, ისე არასამენარმეო სფეროებში. ხელშეკრულების თავისუფლება კერძო ავტონომიაზე, პორიზონტალურ საწყისებზეა აგებული, თუმცა ეს უკანასკნელი აბსოლუტურობას მოკლებული არიან და რიგ შემთხვევაში შესაძლებელია კანონის ფარგლებში შეიზღუდონ. შეზღუდვის მიზანი, უმეტესწილად სუსტი ხელშემკვრელი მხარის დაცვას ემსახურე-

⁴⁸ ი.ხ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 47.

ბა, რომელსაც არ გააჩნია სათანადო ცოდნა და გამოცდილება, შესაბამისად, უფლების დარღვევის რისკიც მაღალია.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია, იგი არასოდეს ყოფილა შეუზღუდვავი. ეს შეზღუდვები შეეხება როგორც ხელშეკრულების დადების, ისე მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას.⁴⁹ ფორმალური თვალსაზრისით, სტანდარტული პირობები ხელშეკრულების ნაწილი ხდება, რომელიც ბოჭავს მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც დადეს სტანდარტული პირობები ურთიერთთანხმობით. თუმცა, პრაქტიკაში, სტანდარტული პირობების განსაზღვრა და შეთავაზება ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დადების დროს ისე ხდება, რომ მეორე მხარეს არ აქვს ამ პირობების შინაარსში რაიმეს შეცვლის შესაძლებლობა. ეს ნიშნავს, რომ ორივე მხარისათვის თანაბრად მინიჭებულ თავისუფლებას, განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი, იყენებს მხოლოდ ერთ-ერთი მხარე, ხოლო მის კონტრაპენტს არ შეუძლია ხელშეკრულების პირობების განსაზღვრაში მონაწილეობა.⁵⁰ კლიენტს არ შეუძლია ხელშეკრულების თავისუფლად დადება, თუ მას სჭირდება საქონელი ან მომსახურება, ხოლო შემთავაზებელს უკავია ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა.⁵¹ წესები, რომელსაც ხელშეკრულების მონაწილე ადგენს, წარმოადგენს პირის თავისუფლებას. თუმცა, როგორც უმეტეს სამართლებრივ ინსტიტუტებში, სახელშეკრულებო ურთიერთობებშიც თავისუფლება არ არის

⁴⁹ იხ. ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ხუთწივნად, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“ 2001, 61.

⁵⁰ იხ. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნამრობი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2014, 208.

⁵¹ იხ. იქვე, 208.

**გიორგი მალანია – სტანდარტულ პირობებში ხელშეკრულების
თავისუფლების შეზღუდვა ნდობისა და კეთილსინდისიერების
პრინციპების ფარგლებში**

შეუზღუდვი.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელშეკრულების თავისუფლების ბუნებაში ჩარევის ერთ-ერთი გავრცელებული მაგალითია.⁵³ ასეთ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, იზღუდება შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება. კერძოდ პირი, რომელიც მომსახურებას იღებს, უკვე წინასწარ დადგენილი სახელშეკრულებო პირობებითვე იზღუდება. ამის მაგალითია, როგორც წერილობითი, ისე სოციალურ მედიაში ან ინტერნეტში დადებული ხელშეკრულება.⁵⁴

სტანდარტული პირობები ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი დათქმაა.⁵⁵

სტანდარტული პირობების სამართლებრივი ბუნებიდან და გამოყენების მრავალჯერადი ხასიათიდან გამომდინარე, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე მოკლებულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით, ხელშეკრულების შინაარსის კონსტრუირებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. ფაქტობრივად, მომხმარებლის როლი პასიურია და ის აქტიურად ვერ ახორციელებს უფლება-მოვალეობების რეალიზებას, რადგან იგი მეორე კონტრაპენტის წინასწარ განსაზღვრულ პირობებზე თანხმდება. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც გამყიდველები თავს იზღვევენ დამატებითი ვალდებულებებისაგან, რაც შემდეგ სტანდარტულ პირობაში გამოიხატება, რომ „გაყიდული საქონელი უკან არ ბრუნდება“. მოცემულ შემთხვევაში, პირი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ავტომატურად ხდება ამ ურთიერთობის მონაწილე, თუმცა, აღ-

⁵² იხ. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 131.

⁵³ იხ. იქვე, 196.

⁵⁴ იხ. იქვე, 196.

⁵⁵ იხ. იქვე, 192.

ნიშნული დათქმა უპირობოდ როდი გულისხმობს სამოქალა-
ქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისას შინაარ-
სის კონტროლი განსხვავდება ხელშეკრულებით გათვალის-
წინებული ვალდებულების კონტროლისაგან.⁵⁶ ამ შემთხვევა-
ში საუბარია იმაზე, თუ რამდენად აქვს ინდივიდს უფლება,
განახორციელოს კონკრეტული საქმიანობა.⁵⁷ ხელშეკრულე-
ბის სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი სა-
მართლებრივი შედეგებისთვისაა სარგებლის მომტანი. მისი
უმთავრესი დანიშნულებაა, დაიცვას იმ პირთა მიმართ კერ-
ძო ავტონომიის ძირითადი პრინციპები, რომელნიც სახელ-
შეკრულებო ურთიერთობისას ე.წ „ძლიერ მხარეს“ არ წარ-
მოადგენენ.⁵⁸

ამა თუ იმ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ყოველთვის
როდი არის იმის დასტური, რომ გარიგების მონაწილე იც-
ნობს, გარიგების შინაარსს. პრაქტიკა ხშირად ამის საპირის-
პიროს აჩვენებს, განსაკუთრებით, როცა საქმე შეეხება ხელ-
შეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებას, რომ-
ლებზეც ხელშეკრულების მონაწილე, როგორც წესი, ბრმად
აწერს ხელს.⁵⁹

⁵⁶ იხ. იქვე, 198.

⁵⁷ იხ. იქვე, 198.

⁵⁸ იხ. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქა-
ლაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკა-
დემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, 198.

⁵⁹ იხ. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულების
სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიუ-
რი ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2014, 203.

6. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათი- ლობა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საფუძველზე

სტანდარტული პირობების ჩამოყალიბებისას პარიტე-
ტის დაცვას უზრუნველყოფს სსკ-ის 346-ე მუხლი, რომელ-
შიც საუბარია კონტრაქტის უფლებების არსებითად შემ-
ლახავი პირობების გამოყენებისაგან სუსტი მხარის დაცვის
მექანიზმზე კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე.
ეს ნორმა მოქმედებს როგორც კომერციულ ბრუნვაში, ისე
მომხმარებლებთან ურთიერთობებშიც.⁶⁰ ქართულ სინამდვი-
ლებშიც თანდათან იზრდება სტანდარტული პირობების რო-
ლი და მნიშვნელობა და მათ შორის, შესაბამისი პრაქტიკაც
ჩამოყალიბების პროცესშია. სასამართლო პრაქტიკა მოწ-
მობს, რომ სტანდარტული პირობები კონტროლდება კეთილ-
სინდისიერების პრინციპის მეშვეობით.

346-ე მუხლი წარმოადგენს ხელშეკრულების შინაარ-
სობრივი კონტროლისათვის ზოგად ნორმას.⁶² იმისათვის,
რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობა მივიჩნიოთ ბა-
თილად, 346-ე მუხლის შესაბამისად, იგი უნდა ენინაალმდე-
გებოდეს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და
იყოს საზიანო მეორე მხარისათვის. მხედველობაში უნდა იქ-
ნეს მიღებული ამ პირობების ხელშეკრულებაში შეტანის გა-
რემობები და მხარეთა ორმხრივი ინტერესები.⁶³

346-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება წარ-
მოადგენს სტანდარტული პირობების ბათილობის მომწე-
რიგებელ ერთადერთ ნორმას, რომელიც კერძოსამართლებ-
რივი ურთიერთობის მონაწილე ყველა სუბიექტისათვის უნი-

⁶⁰ იხ. იქვე, 203-204.

⁶¹ იხ. იქვე, 204.

⁶² იხ. ალადაშვილი ა., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,
<http://www.qccc.ge/>, 346-ე მუხლი, 1.

⁶³ იხ. იქვე, 4.

ვერსალურია.⁶⁴ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების თვალსაზრისით, ამ პრინციპებზე აქცენტის გაკეთება განპირობებულია როგორც ზოგადი პრიციპების საფუძველზე, ისე თავად სტანდარტული პირობების სპეციფიკით, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშენთ, სტანდარტული პირობებს შემთავაზებელი ადგენს და მომხარებელს ნაკლებად აქვს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს ამ პირობების შინაარსზე, ანუ განსახილველი ნორმა წარმოადგენს როგორც პრევენციული, ისე დამცავი ხასიათის ნორმას, რომლითაც, ერთი მხრივ, შემთავაზებლის მხრიდან არაკეთილსინდისიერებისა და ნდობის ბოროტად გამოყენების პრევენცია ხდება და მეორე მხრივ, კეთილსინდისიერი მომხმარებლის კანონიერი ინტერესის დაცვა ხორციელდება.⁶⁵

სტანდარტულ პირობებში კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების მიზანია აღიკვეთოს შემთხვევები, როდესაც მხარე ცდილობს თავისი ძლიერი მდგომარეობის გამოყენებით უპირატესობის მოპოვებას ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შეტანის გზით.⁶⁶

ხელშეკრულების სტანდარტული პირობა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა მეორე მხარისათვის, როდესაც სტანდარტული პირობა სამართლებრივი ნორმების ძირითად არსს გაუმართლებლად ეწინააღმდეგება ანდა მომხმარებლის ინტერესები არ არის საკმარისად გათვალისწინებული ხელშეკრულებაში.⁶⁷ ამას-

⁶⁴ იხ. ძლიერშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვილი ლ., რედ. ჯუღალი გ., სახელშეკრულებლო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 212.

⁶⁵ იხ. იქვე, 212.

⁶⁶ იხ. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნამრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსამართვებლად, იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2014, 207.

⁶⁷ იხ. ალადაშვილი ა., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <http://www.qccc.ge/>, 346-ე მუხლი, 2016, 4.

**გიორგი მალანია – სტანდარტულ პირობებში ხელშეკრულების
თავისუფლების შეზღუდვა ნდობისა და კეთილსინდისიერების
პრინციპების ფარგლებში**

თანავე, საზიანოდ უნდა დაკვალიფიცირდეს შემთხვევა, რო-
დესაც შემთავაზებელი იმდენად ზღუდვავს თავის ვალდებუ-
ლებებს, რომ წარმოუდგენელი ხდება ხელშეკრულების მიზ-
ნის მიღწევა.⁶⁸ ანალიტიკური მიდგომა იკვეთება რისკების
არათანაზომიერი გადანაწილების შემთხვევაში, რომელიც
ხელყოფს კეთილსინდისიერების პრინციპს.

რამდენადაც სტანდარტული პირობები განისაზღვრება
მხოლოდ ერთი მხარის მიერ, აუცილებელია მეორე მხარის
ინტერესების დაცვა, რომელიც პირობების განსაზღვრაში
მონაწილეობას არ იღებს.⁶⁹ ამიტომაცაა, რომ კანონის მქე-
რატიული დანაწესის თანახმად, ბათილია კეთილსინდისიე-
რების პრინციპის საწინააღმდეგო სტანდარტული პირობე-
ბი.⁷⁰

სტანდარტულ პირობებში ნდობისა და კეთილისინდი-
სიერების პრინციპები სუსტი კონტრაპენტის დაცვას უზ-
რუნველყოფს, რომელსაც არ აქვს სათანადო კომერციული
ან სხვა გამოცდილება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშ-
ნული ინსტიტუტი სახელშეკრულებო სამართლიანობას ემ-
სახურება, რათა პაზარზე გაბატონებული მდგომარეობის
მქონე სუბიექტებმა არათანაზომიერი პირობების ხელშეკ-
რულებაში განერით პასუხისმგებლობას თავი ვერ აარიდონ.

7. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ სა- ქართველოს კანონპროექტის მე-12 მუხლი

2014 წლის 27 ივნისს, ევროკავშირმა, მისმა წევრმა სა-
ხელმწიფოებმა და საქართველომ („მხაარეები“), (AA), ხელი

⁶⁸ იხ. იქვე, 5.

⁶⁹ იხ. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო
სამართლები, სადისერტაციო ნამრობი სამართლის დოქტორის აკადემიუ-
რი ხარისხის მოსამოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2014, 213.

⁷⁰ იხ. იქვე.213-214.

მოაწერეს ამბიციური და ინოვაციური ასოცირების შეთანხმებას, რომელიც ასევე მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტს.⁷¹ ასოცირების შეთანხმებით საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობა თავისებურად ახალ ფაზაში გადავიდა, რაც გულისხმობს სამართლებრივი დაახლოების კონკრეტული და საგალდებულო მექანიზმების შექმნას და ევროკავშირის აქტების თანმიმდევრულ იმპლემენტაციას საქართველოს კანონმდებლობაში.⁷² დირექტივების აღსრულების პროცესში წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს „შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის“ მიღება. შეთანხმების თანახმად, მომხარებელთა უფლებების დაცვის კუთხით საქართველო ნელ-ნელა პროგრესირდება, რის გამოხატულებასაც „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მიღების დღის წესრიგში დაყენება წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე რელევანტური იქნება კანონის მე-12 მუხლის ანალიზი.

მე- 12 მუხლის მიზანია დირექტივის 93/13 იმპლემენტაცია.⁷³ კანონპროექტის მე-12(1)-ლი პუნქტში ცალსახადაა აღნიშნული რომ „ხელშეკრულების პირობები, რომლებიც მხარეთა ინდივიდუალური შეთანხმების საგანს არ წარმოადგენდა, უნდა ჩაითვალოს უსამართლოდ, თუ ენინაალმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპებს და ინვევს მომხარებლის საზიანოდ გაუმართლებელ დისპალანსს სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებში.⁷⁴ გარდა ამისა, მოცემული მუხლი უზრუნველყოფს მტკიცების ტვირთის გადანაწილებას მოვაჭრესა და

⁷¹ იხ. ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2018 წწ. დღის წესრიგი, <http://mfa.gov.ge/>.

⁷² იხ. მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ., ევროკავშირის კერძო სამართალი გადაწვეტილებები და მასალები, ნაწილი I, გერმანიის საერთაშორისო თანმმპრომლობის საზოგადოება, 2018, 11.

⁷³ იხ. Pof. Hans- W.Micklitz, *Legal Opinion on the Draft Law of Georgia on the Protection of Consumer Rights, (per March 2017)*, 30.

⁷⁴ იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040>, მუხლი 12(1), 8.

**გიორგი მალანია – სტანდარტულ პირობებში ხელშეკრულების
თავისუფლების შეზღუდვა წილისა და კეთილსინდისირების
პრინციპების ფარგლებში**

მომხარებელს შორის, საკითხს კი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ წყვეტს. მე-12(2)-ე პუნქტის თანახმად, მტიცების ტვირთი იმისა, რომ ხელშეკრულების პირობები წარმოადგენდა ინდივიდუალური მოლაპარაკების საგანს, ეკისრება მოვაჭრეს.⁷⁵ კანონპროექტის მე-3 მუხლის თანახმად, მოვაჭრეა პროდუქციის შემთავაზებელი ან/და გამყიდველი, ასევე, მომსახურების გამწევი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ამავე მუხლის გათვალისწინებით კი, მომხარებელია ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ პროდუქციას ან/და მომსახურებას, ან რომელიც შეიძენს და იყენებს პროდუქციას ან/და მომსახურებას პირადი საჭიროების/მომხმარების და არა მისი სამეწარმეო, პროფესიული ან/და სხვა საქმიანობის მიზნით.

მომხმარებლის უფლებების დაცვის კუთხით აღსანიშნავია კანონპროექტის მე-12(4)-ე პუნქტი, რომლის მიხედვით, მომხმარებლისათვის წერილობითი ფორმით მიწოდებული პირობები უნდა ჩამოყალიბდეს მყაფიო და გასაგებ ენაზე. ხელშეკრულების ბუნდოვანი პირობები განიმარტება მომხარებლის სასარგებლოდ. ერთი მხრივ, ამ დანაწესის არსებობა ავალდებულებს მოვაჭრეს პირობები წათლად და გასაგებად ჩამოაყალიბოს, რათა ადვილად განჭვრეტადი იყოს მეორე მხარისათვის, თავიდან იქნეს არიდებული არასასურველი და გაურკვეველი სიტუაციები, მეორე მხრივ კი, იცავს მომხმარებელს ბუნდოვანი და ორაზროვანი პირობების მის საწინააღმდეგოდ განმარტებისაგან და აპრიორს სწორედ მასზე აკეთებს, აქედან გამომდინარე, ნორმას პრენეციული და დაცვითი ფუნქცია გააჩინა, რათა კონტრაპენტის ინტერესები მყარად იქნეს დაცული.

მომხარებელთა უფლებების დაცვის კუთხით, მოცემული კანონპროექტი, სპეციალურ კანონს წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებების დაცვის სტანდარტს, რათა ბაზარზე გაბატონებულმა სუბიექტმა

⁷⁵ იხ. იქვე. მუხლი 12(2),8.

არასათანადო პირობების დათქმით არ ხელყოს მისი ინტერესები. ძირითადი აქცენტი კი კეთილსინდისიერების პრინციპზე კეთდება, რომლის დაცვა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების ვალდებულებაა.

8. ევროკავშირის კერძო სამართლის პრაქტიკა მომხმარებელთა უფლებების კუთხით

2016 წლის 1 ივლისს ძალაში შესული ასოცირების შესახებ შეთანხმების გათვალისწინებით, „სამართლებრივი დაახლოების ვალდებულება არ ამოინურება ევროკავშირის აქტების შიდაკანონმდებლობაში ტრანსფორმაციით, არამედ, ეფექტური ჰარმონიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, ასავე გულისხმობს, ევროკავშირის სასამართლოს(შემდგომში: ემს) პრაქტიკის გათვალისწინებასაც, როგორც სამართლაშემოქმედებით ასევე სამართალშეფარდებით პროცესში“.⁷⁶

სახელშეკრულებო სფეროში მომხმარებელთა დაცვის მიზნით ევროკავშირის მიერ მიღებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტი. მათი დიდი ნაწილი გათვალისწინებულია ასოცირების შეთანხმების „მომხმარებელთა პოლიტიკის თავში“,⁷⁷ მნიშვნელოვანია აღინიშნოს „1993 წლის 5 აპრილის საბჭოს 93/13/EEC დირექტივა მომხმარებელთა კონტრაქტებში არასამართლიანი პირობების შესახებ“(შემდგომში: არასამართლიანი სახელშეკრულებო პირობების დირექტივა).⁷⁸

გერმანული დოქტრინის სამოქალაქო კოდექსში იმპლემენტაციის გზით არასამართლიანი სახელშეკრულებო პირობების 93/13/EEC-ე დირექტივის გარკვეული ნაწილი ქართულ

⁷⁶ იხ. მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ., ევროკავშირის კერძო სამართალი გადაწვეტილებები და მასალები, ნაწილი I, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, 2018, 11.

⁷⁷ იხ. მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ., ევროკავშირის კერძო სამართალი გადაწვეტილებები და მასალები, ნაწილი I, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, 2018, 29.

⁷⁸ იხ. იქვე, 29.

კანონმდებლობაში ავტომატურად აისახა(იხ. სამოქალაქო კოდექსის 342-348-ე მუხლები). ეს კი ნიშნავს იმას, რომ ემს-ის პრაქტიკა არამხოლოდ მომავალში, არამედ არსებული კანონმდებლობის ფარგლებშიც კი საყურადღებოა ქართული კანონმდებლობისათვის.⁷⁹

ევროკავშირის დირექტივების საერთო მიზანია, არასა-თანადო სამართლებრივი და ეკონომიკური რისკებისაგან დაიცვას ის მომხმარებელი, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე იძენს პროდოქტს ან სარგებლობს შემოთავაზებული მომსახურებით. ბუნებრივია, ეს დაცვა არ მოიცავს ყველა კატეგორიის ეკონომიკურ და სამართლებრივ რისკს, არამედ ვრცელდება მხოლოდ იმ რისკებზე, რომლებიც სასაქონლო ბაზარზე ძალათა დისბალანსის ფონზე წარმოიშობა და „ძლიერი მხარის“ მიერ „სუსტი მხარისკენ“ მისამართდება(“Inequality of Bargaining Powers”).⁸⁰

2.93/13/EEC დირექტივა არასამართლიანი სახელშეკრულებო პირობების შესახებ

მრავალნიანი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ. 1993 წლის 5 აპრილს, მიღებულ იქნა 93/13/EEC-ე დირექტივა მომხმარებელთა კონტრაქტებში არასამართლიანი პირობების შესახებ.⁸¹

93/13/EEC-ე დირექტივის მიზანია, ხელი შეუწყოს ევროკავშირის შიდა ბაზრის განვითარებას მომხმარებელთა იმ სამართლებრივი და ეკონომიკური რისკებისაგან დაცვის გზით, რომელიც შემთავაზებელმა, როგორც უკეთ ინფორმირებულმა და უფრო ძლიერმა ბაზრის მოთამაშემ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მეშვეობით ხელშეკრულების უფრო „სუსტი მხარესთან“ შეიძლება გადაამისამარ-

⁷⁹ იხ. იქვე, 29.

⁸⁰ იხ. იქვე, 30.

⁸¹ იხ.იქვე, 39.

თოს.⁸²

დირექტივა ადგენს იმ შინაარსობრივ მოთხოვნებს, რომელთაც ის სტანდარტული პირობები უნდა აკმაყოფილებდეს, რომელთაც მენარმე იყენებს მომხარებელთან ურთიერთობისას. ამ მოთხოვნების საერთო პათოსია, რომ სტანდარტული სახელშეკრულებო პირობა იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და კეთილსინდისიერი. დირექტივის მე-3(1) მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო პირობა, რომელიც არ არის ინდივიდუალურად მოღაპარაკებული მიწნეული უნდა იქნეს არასამართლიანად, თუ კეთილსინდისიერების პრინციპის სანინაალმდეგოდ და მომხმარებლის საზიანოდ, ის იწვევს მნიშვნელოვან უთანასწორობას მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს შორის.⁸³

93/13/EEC-ე დირექტივა ითვალისწინებს სამ ძირითად მექანიზმს იმ მომხარებლის დასაცავად, რომელიც არაკეთილსინდისიერი პირობის მსხვერპლია.

პირველი, მაშინაც როცა სტანდარტული პირობა არ არის არასამართლიანი, თუმცა ორაზროვანია ან მისი შინაარსი საეჭვოა, ის უნდა განიმარტოს იმ შინაარსით, რომელიც მომხმარებლისთვის უფრო ხელსაყრელია (მუხლი5(1)). მეორე, არასამართლიანი პირობა „ex tunc“ ბათილია თუ მომხმარებელი მისით არ იპოჭება, ხოლო ხელშეკრულება რჩება ძალაში, თუკი მისი არსებობა სამართლებრივად შესაძლებელია ბათილი პირობის გარეშეც.(მუხლი6). მესამე, იმ პირებს, რომელთაც გააჩნიათ მომხარებელთა დაცვის ლეგიტიმური ინტერესი, უფლება აქვთ, შეიდა კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში ან კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოში ანარმონზ დავა პირობის არასამართლიანად ცნობის და მისი შემდგომი გამოყენების აკრძალვის მოთხოვ-

⁸² იხ. იქვე, 39.

⁸³ იხ. მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკეიძე გ., ევროპავშირის კერძო სამართლი გადაწეტილებები და მასალები, ნაწილი I, გერმანის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, 2018, 41.

ნით.⁸⁴

9. Idealservice” – საქმე

მოცემული საქმის ფარგლებში ემს-ს უნდა დაედგინა, ზოგადად, დირექტივის მიზნებისათვის მომხმარებლად მიიჩნეოდა მხოლოდ ფიზიკური პირი, თუ ასევე ის იურიდიული პირი, რომელიც ხელშეკრულების დადებისას არ მოქმედებდა უშუალოდ სამენარმეო მიზნებით.⁸⁵ საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, დირექტივის შემდეგი მუხლები, კერძოდ, „4 დირექტივის 2(b) მუხლი ადგენს: დირექტივის მიზნებისათვის:.... (ბ) მომხარებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის მონაწილეობაც ამ დირექტივით გათვალისწინებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებში არ უკავშირდება მის სავაჭრო, სამენარმეო ან პროფესიულ საქმიანობას.”⁸⁶

5 დირექტივის 2(c) მუხლი განმარტავს ტერმინს „გამყიდველს“ ან „მიმწოდებელს“, როგორც ნებისმიერ პირს(ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომელიც ხელშეკრულებას დებს მომხარებელთან სავაჭრო, სამენარმეო ან პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. საკითხის წარმდგენი სასამართლო მოითხოვდა იმის დადგენას, დირექტივის 2(b) მუხლში მოცემული ტერმინი „მომხმარებელი“ უნდა განიმარტოს თუ არა იმგვარად, რომ მოიაზროს მხოლოდ ფიზიკური პირები.⁸⁷

Idealservice-ის საქმეში ემს-მა ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა მომხმარებელში მხოლოდ ფიზიკურ პირს მოიაზრებს. შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან დირექტივის დაცვითი

⁸⁴ იბ. იქვე, 42-44.

⁸⁵ იბ. იქვე, 33.

⁸⁶ იბ. იქვე, 34.

⁸⁷ იბ. იქვე, 34.

სტანდარტი ფიზიკურ პირებზე გაავრცელონ, ხოლო იურდიული პირების ამავე სტანდარტით დაცვის ვლდებულება მათ არ ეკისრებათ.

დასკვნა

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტების თავისუფალი ნების რეალიზაციის ინსტრუმენტია, რომელიც კერძო ავტონომიის საწყისებზეა აგებული, სწორედ ამ ინსტიტუტის ფარგლებში, ბრუნვის მონაწილეები ამყარებენ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს, ახდენენ რა უფლებების პრაქტიკულ გამოვლინებას, ნორმატიული ნების საფუძველზე კისრულობენ ურთიერთვალდებულებების კეთილსინდისიერების ფარგლებში ჯეროვან შესრულებას.

კეთილსინდისიერების პრინციპი კერძო სამართლის უნივერსალური შეფასებითი კატეგორია.⁸⁸ კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს. იგი ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა.⁸⁹ კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ეს არის ხელშეკრულების მხარეთა ინტერესების თანასწორობასა და დაბალანსებაზე ორიენტირებული პრინციპი, რომელიც არ არის რაღაც ცარიელი, უშინაარსო კატეგორია.⁹⁰

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში სახელშეკ-

⁸⁸ იხ. კერძესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2009, 83.

⁸⁹ იხ. იქვე.

⁹⁰ იხ. ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2014, 232.

გიორგი მალანია – სტანდარტულ პირობებში ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების ფარგლებში

რულებო სამართლიანობის დაცვის მიზნით კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპები კონსტრუქციულ როლს ასრულებენ. ერთი მხრივ, ავალდებულებენ დომინანტ ხელშემკვრელ მხარეს სახელშეკრულებო პირობები არაორაზროვანად, სამართლიანად და ნათლად აღქმადად ჩამოყალიბდეს, მეორე მხრივ, იმპერატიული დათქმით, პირობას რომელიც ეწინააღმდეგება მოცემულ პრინციპებს ბათილად განიხილავს. მესამე მხრივ, უზრუნველყოფენ უფლებათა ბალანსის დაცვას, რათა ძლიერმა მხარემ თავსმოხვეული პირობებით, ცალმხრივად განსაზღვრული ხელშეკრულების შინაარსი ცალსახად მის საპირნონედ არ გადანონოს.

კეთილსინდისიერების პრინციპის პათოსი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში სუსტი კონტრაპენტის უფლებრივი უზრუნველყოფაა, რომელიც მიუხედავად ხელშეკრულების თავისუფლებისა, შეზღუდულია ხელშეკრულებას სასურველი ვექტორი მისცეს, აქედან გამომდინარე, იგი დაცულია პროცესის ასიმეტრიული განვითარებისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, ძალაშია 1995 წლის 24 აგვისტოდან.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან.
3. საქართველოს კანონპროექტი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“
4. „93/13/EEC-ე დირექტივა მომხმარებელთა კონტრაქტებში არასამართლიანი პირობების შესახებ“ 1993 წლის 5 აპრილს მიღებული.

სამეცნიერო ლიტერატურა:

5. ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სეანიძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია, რედ. გიორგი ჯულელი, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.
6. ჭანტურია ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011.
7. ჯორგენაძე სერგი, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016.
8. ხუნაშვილი ნინო, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2014.
9. ზოიძე ბესარიონ, ევროპული კერძო სამართლის რეცეფტია საქართველოში. საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005.
10. ჭანტურია ლადო (მთავარი რედ.), ზოიძე ბესარიონ (პასუხისმგებელი მდიგარი), ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი, საქართველო სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ხუთ წიგნად, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, 2001.
11. კერესელიძე დავითი, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.
12. მაისურაძე დავით, სულხანიშვილი ელენე, ვაშაკიძე გიორგი, ევროკავშირის კერძო სამართალი გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, 2018.
13. Pof. Hans- W.Micklitz, Legal Opinion on the Draft Law of Georgia on the Protection of Consumer Rights, (per March 2017).

**გიორგი მალანია – სტანდარტულ პირობებში ხელშეკრულების
თავისუფლების შეზღუდვა ნდობისა და კეთილსინდისერების
პრინციპების ფარგლებში**

საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები:

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის Nას-1300-1320-2011 განჩინება
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე Nას-1338-1376-2014
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 4 მაისის Nას-139-1385-05 განჩინება.

ინტერნეტ რესურსები:

17. <http://www.gccc.ge/>
18. <https://matsne.gov.ge/>
19. <http://mfa.gov.ge/>
20. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040>

ადვოკატის როლი კლიენტის პონეულტირების ეთაპზე დავის გადაცვაშის პროცედურის შერჩევისას

ანანო ფერაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი

აპსტრაქტი:

ადვოკატი წარმოადგენს პირს, რომლისგანაც კლიენტი დავის წარმოშობის პირველივე ნაბიჯებზე იღებს სამართლებრივ ინფორმაციას. შესაბამისად, მას ამ დროიდანვე წარმოეშობა რიგი მოვალეობებისა, რომლებიც სასურველი შედეგის მისაღწევად უნდა განახორციელოს. ერთ - ერთ პირველ ეტაპს კლიენტის კონსულტირებისას წარმოადგენს დავის გადაწყვეტის პროცედურის შერჩევა. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც კლიენტის ინტერესები, აგრეთვე ადვოკატის ვალდებულება, რომ გასცეს ინფორმაცია ამ მეთოდების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატები დღემდე ვერ ეგუებიან არაფორმალურ პროცესს, ისინი მედიაციის "კარიბჭის მცველებად" მიიჩნევიან. შესაბამისად, სტატიაში წარმოდგენილია ადვოკატის როლი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სტადიაზე და ასევე განხილულია მისი შემაფერხებელი გარემობების გამომწვევი მიზე ზები.

საკვანძო სიტყვები: ადვოკატ-წარმომადგენელი, კლიენტი, ეთიკური ვალდებულებები, კონსულტირება, წინასამედიაციო ეტაპი, დავის გადაწყვეტის პროცედურები, მედიაცია, ინფორმირება, შემაფერხებელი გარემოებები, "კარიბჭის მცველი".

1. შესავალი

მედიაცია წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა. იგი ერთ-ერთ ეფექტურ პროცედურად უნდა განვიხილოთ, რადგანაც ზოგავს დროს და ხარჯებს, და რაც ყველაზე მთავარია, მედიაციით მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე მყარია, ეფუძნება რა მხარეთა ურთიერთშეთანხმებას.

სანამ არჩევანი მედიაციის მეშვეობით დავის გადაწყვეტაზე შეჩერდება, მანამდე დიდი გზაა გასავლელი. სწორედ ამ გზაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადვოკატ-წარმომადგენელი, რომელიც კონსულტაციას უწევს კლიენტს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შესახებ. ისევე როგორც ფორმალურ სამართალწარმოებაში, მედიაციის შემთხვევაშიც წინასწარი ადეკვატური მომზადება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წარმატებული პროცესის-თვის.

შესაბამისად, არსებობს მთელი რიგი ეთიკური ვალდებულებებისა, რომელიც ამ დროს ადვოკატმა უნდა განახორციელოს. უმნიშვნელოვანესია კლიენტის მაქსიმალური ინფორმირებულობა, გამომდინარე იქიდან, რომ სწორად შერჩეული პროცედურა აისახება საბოლოო შედეგებზეც. მოცემულ სტატიაში, უპირველეს ყოვლისა, განხილული იქნება კონსულტირების ეტაპზე ადვოკატის მიერ განსახორციელებელი ქმედებები, ხოლო შემდგომ კი ყურადღება გამახვილდება უშუალოდ იმ პრობლემებზე, რაც ამ პროცესებს აფერხებს საქართველოში.

2. კონსულტირების ეტაპის დანიშნულება და მიმღინარეობა

2.1. კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა კონ- სულტირების ეტაპზე

დავის წარმოშობისას კლიენტი კვალიფიციური მომსახურების იმედით, უპირველეს ყოვლისა, მიმართავს იურისტს. ამ დროს მათ შორის ჩნდება ნდობა, რომ ამომწურავი ინფორმაცია იქნება გაუძლერებული დავის გადაწყვეტის საშუალებებზე. ეს ყოველივე კი თავის მხრივ წარმოშობს წარმომადგენლის ვალდებულებას, რომ შესაბამისად მოამზადოს კლიენტი, გაარკვიოს პროცედურების არსში, ასევე განსაზღვროს მოსალოდნელი რისკები, საფრთხეები და შედეგები.

უდავოა, რომ სამართლებრივი კონსულტაციის განევისას, ადვოკატებს გააჩნიათ საშუალება მხარეს შესთავაზონ მისი გადაჭრის რამდენიმე ალტერნატივა. იმ შემთხვევაში, თუკი ადვოკატი მიიჩნევს, რომ სასამართლო წესით დავა არის ერთადერთი არჩევანი, მისი მხრიდან ასეთი დამოკიდებულება შეფასდება როგორც დაუდევრობა¹. ადვოკატმა ჯერ უნდა განსაზღვროს დავის შინაარსი და არსებული გარემოებები, რადგან საქმის შესაბამისობის დაგვენა დავის გადაწყვეტის პროცედურებთან ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კონსულტირების ეტაპზე, ადვოკატმა უნდა გაამხნევოს კლიენტი გადაწყვეტილების მიღებისას პასუსიხმებლობის საკუთარ თავზე აღებასთან დაკავშირებით,² რადგანაც საზოგადოება სწორედ ამ მიზეზით უფროთხის მსგავს საშუალებებს. თუმცა აქვე მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა კლი-

¹ Ware S. J., *Principles of Alternative Dispute Resolution*, Second edition, the United States of America, 2003,13.

² Lang M., *From Advocate to Advisor: The Role of The Lawyer in Mediation*, 2010, <<https://www.mediate.com/articles/langlawyerrole.cfm>>

ენტს მისცეს თვითგამორკვევის საშუალება. ეს კი თავის მხრივ, მაქსიმალური ინფორმაციით აღჭურვის ვალდებულებასაც ითვალისწინებს.

კონსულტირების ეტაპი დიდ გავლენას ახდენს დავის გადაწყვეტის საბოლოო შედეგებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე ადვოკატ-ნარმომადგენლის მხრიდან განხორცილებული ქმედებები იყოს ეფექტური.

2.2. კლიენტის ინტერესებისა და სურვილების გამოკვლევა

დავის გადაწყვეტის პროცედურის არჩევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კლიენტის ინტერესებსა და სურვილებს. სწორედ ამიტომ, გარდა ინფორმაციის მიწოდებისა, ადვოკატმა ძალისხმევა არ უნდა დაიმუროს ამ ეტაპის საფუძვლიანად გამოსაკვლევად. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები როდესაც ამ ნაბიჯს არ მიჰყვებიან, ან არაეფექტურად ახორციელებენ, რაც საბოლოო შედეგშიც აისახება. მოცემული ნაბიჯი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან თითოეული პროცედურა და მიღებული შედეგი სწორედ კლიენტის ინტერესებთან შესაბამისობაში უნდა იყოს.

უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ადვოკატი ფიქრობს მხოლოდ იმ შედეგებზე, რაც შეიძლება მოხდეს სასამართლოში. იგი არ აანალიზებს რომ მედიაციის შემთხვევაში შეიძლება ზუსტად იმ შედეგის მიღწევა რაც მხარეებს სურთ და ისეთი გადაწყვეტა, რაც სასამართლოში ვერ განხორციელდებოდა.

მეორეც, კლიენტს შეიძლება არ სურდეს ის, რის შესახებაც იურისტი ფიქრობს რომ უმჯობესი ვარიანტია. შესაძლებელია საქმე გვქონდეს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც საქმის ფარგლებში მხარეები საკმაოდ დიდხნიანი ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი, ანდაც პირიქით კლიენტს სურს რომ შეწყვიტოს ეს ურთიერთობა. რაც არ უნდა იყოს მიზეზი, იურისტის დანიშნულება არის სწორედ ის, რომ გამოარკვიოს თუ რა სურს კლიენტს. ამის ეტაპის შემდგომ მი-

ლებული გადაწყვეტილება დავის გადაწყვეტის პროცედურის შესახებ უდავოდ შედეგიანი იქნება³.

საზოგადოდ, ადვოკატები ნაკლებად სწავლობენ თუ როგორ უნდა ჩაუღრმავდნენ ასეთ ფაქტზე საკითხებს კლიენტებთან. მათი განათლება და გამოცდილება უფრო მეტად დაკავშირებულია საჩივრის იურიდიული საფუძვლის განმტკიცებასთან, და თუ როგორ წყდებოდა ისტორიულად ასეთი საკითხები სასამართლოში⁴. შესაბამისად, ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია თუ რა სურს კლიენტს და რა ინტერესები ამოძრავებს მას. ადვოკატმა კი თავის მხრივ უნდა გაანალიზოს, რომ სწორედ მსგავსი საკითხების გამოკვლევა მიიყვანს მათ სასურველ შედეგამდე.

3. ადვოკატის ეთიკური ვალდებულება მედიაციის შესახებ კლიენტის ინფორმირებულობაზე

გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მხარეები წარმომადგენლად ირჩევენ ადვოკატს, რადგან მისი უპირველესი დანიშნულება არის მხარისთვის რჩევა-დარიგებების მიცემა, ინფორმირება და სხვადასხვა სახის სამართლებრივ საკითხებში გარკვევა. ადვოკატის მომსახურება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ის დაუყოვნებლივ იწყებს კლიენტის კონსულტირებას ან მისი ინტერესების სასამართლოში ან სხვა ორგანოებში წარმოდგენას⁵. სწორედ ამ მომენტიდან წარმოეშვება მას კე-

³ Heintzman T.G., *Twelve Steps To Successful Mediation*, <<http://www.heintzmanadr.com/wp-content/uploads/Speech-Twelve-Steps-to-Successful-Mediation.pdf>>

⁴ ბარნეთი ქ., კლიენტების კონსულტირება დავის ალტერნატიული მეთოდების(ADR) შესახებ: პრაქტიკული სახლემძღვანელო ვარიანტების შერჩევის შესახებ რთული დიალიგის წარმოების დროს, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდელი“, 2014, გვ. 203.

⁵ კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე. და სხვანი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“, 2011, გვ. 27.

ანანო ფერაძე – ადვოკატის როლი კლიენტის კონსულტირების ეტაპზე დავის გადაწყვეტის პროცედურის შერჩევისას

თილსინდისიერებისა და კვალიფიციურობის ვალდებულებები.

კონსულტირებისას ადვოკატების ეთიკური ვალდებულება, რომ შესთავაზონ თავიანთ კლიენტებს დავის ალტერნატივული გადაწყვეტის გზა, დღემდე საკამათოა. თუმცა, მაშინაც კი, თუ ეთიკური ვალდებულება არ იარსებებს, მორალური ვალდებულება ძალაში რჩება, რომ კლიენტს მიეცეს თვითგამორკვების საშუალება. რაც გულისხმობს იმას რომ გარდა სასამართლო სამართალნარმოებისა სხვა პერსპექტივებიც დაესახოს მხარეს და არ შეიზღუდოს მხოლოდ ფორმალური პროცედურებით⁶.

ამერიკის ზოგიერთ შტატში, მაგალითად როგორიცაა კოლორადო, უკვე დამკვიდრებულია სპეციალური ეთიკური ვალდებულება, რომელიც სავალდებულოს ხდის ადვოკატებისთვის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცედურების განხილვას კლიენტებთან. ეთიკის კოდექსები შეიცავს დანაწესს, რომ ადვოკატმა უნდა შეატყობინოს კლიენტს ყველა იმ შეთავაზების შესახებ, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს მოცემული დავა და შესთავაზოს სამართალნარმოების ალტერნატივა, როდესაც საქმე ამის შესაბამისია.

ცხადია, თუკი ადვოკატი მიიღებს შეთავაზებას მოწინააღმდეგე მხარისგან დავის ალტერნატიულ გადაწყვეტაზე, მან ეს შეთავაზება ასევე უნდა აცნობოს კლიენტს. *Michigan Rules of Professional Conduct (MRPC)* ამბობს, რომ იურისტმა პროცედურა უნდა ურჩიოს კლიენტს არა მხოლოდ კანონთან შესაბამისობის დროს, არამედ უნდა გაითვალისწინოს სხვა ისეთი შეხედულებებიც, როგორიცაა მორალური, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც

⁶ ბარნეთი ქ., კლიენტების კონსულტირება დავის ალტერნატიული მეთოდების(ADR) შესახებ: პრაქტიკული სახლემდღვანელო ვარიანტების შერჩევის შესახებ რთული დიალოგის ნარმოების დროს, უურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდელი”, 2014, გვ. 199.

მიესადაგება მათ საქმეს⁷.

ბუნებრივია, რომ მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის შეთავაზება არ ხდება წინაპირობების გარეშე. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ადვოკატმა მხედველობაში უნდა მიიღოს მედიაციის გამოყენების ინიცირებისას. ესენია: კლიენტის მხრიდან მორიგების სურვილი; მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის ბუნება; კლიენტის ფინანსური მდგომარეობა; დროის ფაქტორი; მხარეთა პოზიციები და სხვა⁸.

იმ მოთხოვნის არსებობა, რომლის თანახმადაც იურისტები ვალდებული არიან ურჩიონ კლიენტს მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტა, არის იმის გარანტი, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებთან მიმართებაში ამაღლდება მოსახლეობის ცნობიერება, გაიზრდება ამ ინსტიტუტის გამოყენების სიხშირე. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა მიმართ დადგენილი ამ ვალდებულების არსებობა დავის საგანია და საკითხისადმი არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა⁹.

საქართველოს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლი ითვალისწინებს კლიენტსა და ადვოკატის ურთიერთობის სტანდარტებს: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს“. თუმცა აქვე აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: „თუ მედიაციაში წარმომადგენლად ჩართულია ადვოკატი, ბუნებრივია, მასზე ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, თუმცა მისი, როგორც წარმომადგენლის როლი მედიაციაში არსობრივად დისტანცირებულია სასამართლოში კლიენტისთვის“.

⁷ Lawyers Have Ethical Duty to Advise Clients of ADR

<<https://corporate.findlaw.com/litigation-disputes/lawyers-have-ethical-duty-to-advise-clients-of-adr.html>>

⁸ Nolan-Haley J. M., *Alternative Dispute Resolution in a Nut Shell*, Printed in the United States of America, Thomson West, Third edition, 2008, 112-113.

⁹ Kovach K. K., *Mediation in a Nut Shell*, Second edition, Thomson west, Printed in the United States of America, 2010, 121.

ტის ნარმომადგენლობის ფუნქციისგან¹⁰. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდებაზე ეთიკური ვალდებულების დაწესების საჭიროება ნამდვილად არსებობს საქართველოს რეალობაში, იგი არა მხოლოდ კლიენტებისთვის იქნება კარგი, არამედ ზოგადად, მედიაციის ინსტიტუტის განვითარებისთვისაც.

4. კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმები

4.1. დავის გადაწყვეტის პროცედურების განხილვა

დავის გადაწყვეტის თითოეულ პროცედურას აქვს როგორც კარგი, ასევე ცუდი მახასიათებლები. თუმცა მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ ზოგიერთი მათგანი უფრო მეტად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციებს ვიდრე სხვა. ადვოკატმა უნდა მიმოიხილოს თითოეული მათგანი და მხოლოდ ამის შემდგომ დაადგინოს ყველაზე შესაფერისი:

- მედიაცია არის არაფორმალური, მაგრამ სტრუქტურულებული პროცესი, რომელშიც ნეიტრალური მესამე პირი ეხმარება მხარეებს დავის მოსაგვარებელი მოღაპარაკების წარმოებაში.¹¹ მხარეები ინარჩუნებენ უფლებას გადაწყვეტონ, მოაგვარონ თუ არა დავა და რა პირობებით. დავის გადაწყვეტის მოცემული საშუალება უფრო მხარეთა ინტერესებზეა ფოკუსირებული, ვიდრე მათ პოზიციებსა ან კანონიერ უფლებებზე.

- სასამართლო პროცესის დროს ნეიტრალური პირი, მოსამართლე, ისმენს მხარეთა გამოსვლებს და აჯამებს სა-

¹⁰ Wolski B., *On Mediation, Legal Representatives and Advocates*, 38 U.N.S.W.L.J., 2015, 1-47. ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის უურნალი“, N1, 2016, გვ. 38.

¹¹ ბარნეთი ქ., კლიენტების კონსულტირება დავის ალტერნატიული მეთოდების(ADR) შესახებ: პრაქტიკული სახლებძლევანელო ვარიანტების შერჩევის შესახებ რთული დიალოგის წარმოების დროს, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდელი“, 2014, გვ. 200.

წინააღმდეგო ფაქტობრივ თუ სამართლებრივ საკითხებს.

- არბიტრაჟი კი წარმოადგენს შეჯიბრებით პროცესს, სადაც მოდავეები ირჩევენ ნეიტრალურ მესამე პირს რომ მოისმინოს სამხილები და დააწესოს სანქცია. იგი შეიძლება იყოს სავალდებულო ან არასავალდებულო პროცესი. მოცემული მეთოდის უპირატესობა არის ის რომ გადაწყვეტილების მიმღები შეიძლება იყოს პირი, რომელსაც დავის საგანში გამოცდილება გააჩნია.¹² თუმცა მედიაციისგან განსხვავებით მხარეები არ არიან სრულიად დამოუკიდებლები.

მოცემული საშუალებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, ადვოკატმა უპირველეს ყოვლისა უნდა გამოარკვიოს თუ რა იქნება კლიენტის საქმისა და ინტერესებისთვის უპირატესი და ამის მიხედვით შეაჩეროს არჩევანი ერთ-ერთ მათგანზე.

4.2. მედიაციის უპირატესობების გამოკვეთა

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მედიაცია სიახლეა საქართველოს სამართალსივრცეში და საქართველოს სსკ-ში 2011 წლის 20 დეკემბერს შესული ცვლილების შედეგად დამკვიდრდა, არ უნდა გაგვიკვირდეს რომ საზოგადოება ინფორმაციის სიმწირეს განიცდის. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით წარმომადგენელს ორმაგი პასუხისმგებლობა აკისრია კლიენტის ინფორმირებულობის კუთხით. რა არის მედიაცია და როგორ მიმდინარეობს პროცესი. ასევე უნდა დაანახონ კონტრასტი სამართალწარმოების სხვა პროცესებთან შედარებით.

მედიაციის უპირატესობებზე საუბრისას უნდა გამოიკვეთოს შემდეგი გარემობები:

- მედიაციის ბუნების განმარტება;
- მედიატორის როლი, როგორც პროცესის მმართველი, მოლაპარაკებების ფასილიტატორი და მეგზუ-

¹² იქვე.

რი შეთანხმების მისაღწევად;

- კერძო შეხვედრების შესაძლებლობა, როგორც მე-დიატორთან ასევე მხოლოდ კლიენტსა და ადვოკატს შორის;
- ადვოკატმა და კლიენტმა უნდა განიხილონ ყველა შესაძლო ვარიანტი დავის გადასაწყვეტად. საკითხები, რომლებზეც კლიენტს ექნება უფრო მეტი შესაძლებლობა შეთანხმების მისაღწევად და მინიმალური პირობები, რასაც კლიენტი უნდა დათანხმდეს;
- ადვოკატს უნდა ჰქონდეს გულახდილი საუბარი მე-დიატის პროცესის ღირებულებაზე, დროსა და შესაძლო რისკებზე¹³;
- გამოარკვიოს კლიენტის ინტერესები- დაეხმაროს კლიენტს დააფიქსიროს მისი პოზიცია და ინტერესები, ასევე სასარგებლო იქნება მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, რათა მოხდეს განსაზღვრა თუ როგორ შეიძლება მოწინააღმდეგის ტაქტიკის შესაბამისი შეთანხმების მიღება;
- დასახოს სტრატეგიები საბოლოო შედეგის მისაღებად¹⁴.

მედიატის უპირატესობების გამოკვეთა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ იგი სიახლეს წარმოადგენს ქართული საზოგადოებისთვის. შესაბამისად, ეს ვალდებულება ხელს შეუწყობს მეტ ინფორმირებულობას და ასევე გაზრდის გამოყენებადობის რიცხვსაც.

¹³ Lang M., *From Advocate to Advisor: The Role of The Lawyer in Mediation*, 2010, <<https://www.mediate.com/articles/langlawyerrole.cfm>>.

¹⁴ Walker M., *Guidelines for Lawyers in Mediations, ADR Bulletin*, Vol. 9, No.8, Article 3, 2007, 151,

<https://epublications.bond.edu.au/cgi/viewcontent.cgi?referer=https%3A%2F%2Fwww.google.ge%2F&httpsredir=1&article=1399&context=adr>.

4.3 ფორმალური სამართალნარმოებისგან განსხვავებული როლები მედიაციაში

როგორც წესი, ადვოკატის პროფესია მოითხოვს შემტევ პოზიციას და ბრძოლას კლიენტის ინტერესების დასაცავად. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მედიაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება სასამართლო სამართალნარმოებისგან, წარმომადგენლის როლიც განსხვავებულია. სხვადასხვა ინფორმაციებთან ერთად, კლიენტი ინფორმირებული უნდა იყოს წარმომადგენლის სახეცვლილი როლისა და ურთიერთთანამშრომლობის პრინციპების თაობაზე¹⁵. კლიენტს უნდა განემარტოს, რომ ადვოკატის მოვალეობას, უკომპრომისოდ დაიცვას მისი ინტერესები, უპირისპირდება მედიაციის პროცესის არაშეჯიბრებითი ხასიათი და შეთანხმებაზე ორიენტირებულობა, რაც ადვოკატის სახეცვლილ როლს განაპირობებს და შესაძლოა, მოლაპარაკების პროცესში გარკვეულ დათმობებზე წასვლაც გახდეს საჭირო. ადვოკატის კეთილსინდისიერების, და გულმოდგინების პრინციპები ისე უნდა იქნეს შესრულებული, რომ მედიაციის მიზანს, მოლაპარაკება შეთანხმებით დასრულდეს, საფრთხე არ შეექმნას.

ადვოკატი მიჩინეულია შეჯიბრებით პროცესში არსებულ წესებს, რაც მედიაციის პრინციპებს ეწინააღმდეგება. შესაბამისად, ყველაზე მეტი ძალისხმევა სჭირდება მას რომ გაითავისოს ახალი ეთიკური ვალდებულებები: იყოს კეთილსინდისიერი ნებისმიერ დროს, არ გამოიყენოს ისეთი საშუალებები რაც პროცესს განელავს ან მეორე მხარეს ზიანს მიაყენებს. მათთვის ყველაზე დიდი გამონვევაა იმ მხარესთან ერთ მაგიდაზე ყოფნა და შეთანხმების მისაღწევი მზაობა, ვისთანაც სასამარ-

¹⁵ ABA Model Rules of Prof'l Conduct (2002), მითითებულია სტატიაში: *Sherrill J. A., Ethics for Lawyers Representing Clients in Mediation*, American Journal of Mediation, Vol. 6, 2012, 2,
<http://www.americanjournalofmediation.com/docs/JOHN%20SHERRILL%20Ethics%20for%20Lawyers%20Representing%20Clients%20in%20Mediation.pdf>

თლოში იპაქტურებდა, როგორც მოპასუხე მხარესთან. ადვოკატ-ნარმომადგენლებისთვის მედიაციის პროცესში განსახორციელებელი ქმედებები სისუსტედ აღიქმება, მიუხედავად იმისა რომ მიღწეული შეთანხმება მისი კლიენტისთვის სასურველი შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.

ცხადია, ამ ცვლილებების გათავისება თავად ადვოკატ-ნარმომადგენლებისთვისაც რთული აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა რომ კლიენტისთვისაც იგი დიდი სიახლე იქნება. ადვოკატის შეცვლილი როლი პირდაპირ გავლენას ახდენს მის მონაწილეობაზე, რადგანაც ამ შემთხვევაში მხარეს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკირსება გადაწყვეტილების მიღებაზე. სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება ყოველთვის უფრთხის ისეთ სიტუაციებს სადაც მასზეა დიდი პასუხისმგებლობა. ამ შემთხვევაში, ადვოკატმა იგი უნდა გაამხნევოს და დაანახოს თუ რაოდენ სასარგებლო იქნება მისთვის ურთიერთანამშრომლობით გადაწყვეტილების მიღება.

3. მედიაციის არჩევის შემაფრეხებელი გარემოებები- ადვოკატების შინაგანი წინააღმდეგობა მედიაციასთან

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ე.წ. "კარიბჭის მცველის" თეორია (Gate's Keeper theory), რომლის მიხედვით ადვოკატები ძალიან დიდ როლს ასრულებენ მედიაციის განვითარებაში. შესაბამისად, მათი ინტერესის არქონა ერთგვარ კარიბჭედ აღიმართება და რა თქმა უნდა, ეს დიდ გავლენას მოახდენს კლიენტზეც. გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში დომინირებული როლი უჭირავს ადვოკატს, სწორედ მას აქვს იმის უფლებამოსილებაც რომ კლიენტი თავისი გავლენით ჩამოაშოროს მედიაციას¹⁶.

საინტერესოა თუ რატომ აქვთ ასეთი წინააღმდეგობა

¹⁶ Rans B., *Lawyers and Mediation*, Vol.5 yearbook on Arbitration and Mediation, Article 25, 2013, 412
<https://elibrary.law.psu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1104&context=arbitrationlawreview>

ადვოკატებს მედიაციის ინსტიტუტის მიმართ. მედიაციასა და ადვოკატებს შორის დამოკიდებულება დიდი ხნის განმავლობაში საკამათო იყო. დებატები კი წარმოშობს მთელ რიგ კითხვებს: ენინააღმდეგებიან ადვოკატები მედიაციას? არ იცნობენ ისინი კარგად პროცესს? არის მედიაცია კულტურულ შეუსაბამობაში მათ სტანდარტებთან? არსებობს ფინანსური უპირატესობები, რაც აიძულებს ადვოკატებს ზურგი აქციოს მედიაციას?¹⁷

რაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას არის ის, რომ მედიაციის გამოყენებადობა საქართველოში არის ძალიან დაბალ დონეზე. საქმეების რიცხვი კი შესაბამისად – ძალიან მოკრძალებული. ერთგვარ შემაფერხებელ ფაქტორად კი ადვოკატი გვევლინება.

უპირველეს ყოვლისა, დიდ პრობლემას წარმოადგენს კონსერვატული დამოკიდებულების შენარჩუნება ძველ ინსტიტუტებთან. ადვოკატები თითქოს თავიანთი სურვილით „დაბრმავებულები“ არიან და კულტურულ ბარიერებს ინარჩუნებენ, რადგან ვერ წყდებიან შეჯიბრებით პროცესს. მაშინ როდესაც ტრადიციული შეჯიბრებითი პროცესის დროს ადვოკატი ყველანაირ საშუალებას იყენებდა მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტების დასასუსტებლად, ახლა, მედიაციის პროცესში მას სწორედ ამ მოწინააღმდეგესთან ერთად უნდა ურთიერთშეთანხმების მიღწევა. ასევე ადვოკატი თავის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად ისახავდა, რომ ყველაზე მთავარი შესძლებოდა – გავლენა მოქსდინა თავისი სიტყვით მესამე პირზე, რომელიც იყო საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები პირი. მედიაციის შემთხვევაში ეს სიტუაცია ძირეულად არის შეცვლილი, რადგან გადაწყვეტილებას იღებს არა მესამე პირი, არამედ თვითონ მხარეები.

ასევე ერთ-ერთი მიზეზი რატომაც არ სურთ ადვოკატებს საქმე დაიჭირონ მედიაციასთან არის შესაბამისი გა-

¹⁷ Clark B., Lawyers' Resistance in Construction Mediation, January 2012.
<https://www.mediate.com/articles/ClarkB1.cfm>

ანაწილება – ადვოკატის როლი კლიენტის კონსულტირების ეტაპზე დავის გადაწყვეტის პროცედურის შერჩევისას

ნათლების არ ქონა. თუმცა მათ ამის შესაძლებლობა ამ ბოლო დრომდე არც კი ჰქონიათ. დღესდღეობით სიტუაცია გამოსწორებულია, არსებობს სხვადასხვა სახის პროგრამები, მაგალითად, ზოგიერთი მათგანი დანერგილია სასწავლო დაწესებულებებში. უფრო მეტიც, მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს იგი სასამართლოს ბაზაზეც, რომელიც სთავაზობს ტრენინგებს როგორც იურისტებს ისე არაიურისტებს. იმისათვის რომ მედიაციის ინსტიტუტი ოპტიმალურად და ეფექტუანად იყოს გამოყენებული, განათლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა იურისტისთვის. განათლებაში იგულისხმება არა მხოლოდ თეორია, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც პროცესის მიმდინარეობის დროს არის საჭირო¹⁸.

ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, მნიშვნელოვანია ეკონომიკური სარგებლის მომენტიც. არსებობს მოსაზრება რომ შეჯიბრებითი პროცესი უფრო მეტ შემოსავალს აძლევდა ადვოკატებს, ხოლო მედიაცია ხარჯებს უფრო ზოგავს.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს შემაფერხებელი გარემოებები ახდენს გავლენას დავის გადაწყვეტის პროცედურების შერჩევაზე და მედიაციის ნაკლებ გამოყენებადობაზე. ამიტომაც მნიშვნელოვანია დაინერგოს ადვოკატებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების- ტრენინგ-სემინარების ჩატარება და მათი მაქსიმალური ინფორმირებულობა დავის ალტერნატიულ საშუალებებზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება აღმართული ”კარიბჭის დანგრევა“.

¹⁸ Riskin L.L., *Mediation and Lawyers*, Vol.43., Issue 1, Ohio State Law Journal, 1982,55.

https://kb.osu.edu/bitstream/handle/1811/65180/OSL_V43N1_0029.pdf

დასკვნა

მოცემულ სტატიაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ადვოკატის მოვალეობებზე, რომელიც მას ეკისრება კლიენტის კონსულტირების ეტაპზე. ეს სტადია ერთ-ერთი საკვანძოა, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ამ დროს ხდება დავის გადაწყვეტის პროცედურის შერჩევა. სწორად შერჩეული პროცედურა კი სასურველი შედეგის მიღწევის საწინდარია. შესაბამისად, ადვოკატის ვალდებულება კლიენტის ინფორმირებაზე უნდა იყოს განმტკიცებული საკანონმდებლო დონეზე. ამის აუცილებლობა გამომდინარეობს საქართველოში არსებული სიტუაციიდან, სადაც მედიაციის და ზოგადად, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები განვითარების ეტაპზეა. ადვოკატები კი ჯერ კიდევ ფორმალურ ნარმოებას ანიჭებენ უპირატესობას და ვერ ეგუებიან ახალ შეთანხმებაზე ორიენტირებულ პროცედურას. სწორედ ასეთი ქმედებების გამო ენოდებათ მათ იურიდიულ ლიტერატურაში "კარიბჭის მცველები", ანუ მედიაციამდე გზის შემაფერხებლები.

ნარმოდებენილ სტატიაში დაწვრილებით განიმარტა ამ მდგომარეობის მიზეზები, ასევე განხილულ იქნა ის ქმედებები, რაც ადვოკატმა კონსულტირების ეტაპზე უნდა განახორციელოს. რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ადვოკატების გადამზადება და მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცედურებზე. გარდა ამისა, საჭიროა კანონმდებლობით განმტკიცდეს ადვოკატის ვალდებულება არსებულ პროცედურებზე კლიენტის ინფორმირებასთან დაკავშირებით. ეს ხელს შეუწყობს როგორც მედიაციის ინსტიტუტის განმტკიცებას, აგრეთვე დავის ეფექტურად, ურთიერთშეთანხმებით და სასურველ შედეგზე ორიენტირებულად გადაწყვეტას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, 15.04.2006, მე-8 მუხლი.
2. კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე. და სხვანი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“, 2011, 27.
- <http://gba.ge/uploads/files/etika/advokatta_profesiuli_etikis_kodeqsis_komentari.pdf>
3. ბარნეთი ქ., კლიენტების კონსულტირება დავის ალტერნატიული მეთოდების(ADR) შესახებ: პრაქტიკული სახლემდღვანელო ვარიანტების შერჩევის შესახებ რთული დიალოგის წარმოების დროს, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდელი“, 2014.
4. Wolski B., On Mediation, Legal Representatives and Advocates, 38 U.N.S.W.L.J., 2015, 1-47. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის აღრესატები, „სამართლის ურნალი“, N1, 2016, 38.
5. ABA Model Rules of Prof'l Conduct, 2002.
6. Ware S. J., Principles of Alternative Dispute Resolution, Second edition, the United States of America, 2003,13.
7. Lang M., From Advocate to Advisor: The Role of The Lawyer in Mediation, 2010, <<https://www.mediate.com/articles/langlawyerrole.cfm>>
8. Heintzman T.G., Twelve Steps To Successful Mediation, <<http://www.heintzmanadr.com/wp-content/uploads/Speech-Twelve-Steps-to-Successful-Mediation.pdf>>
9. Lawyers Have Ethical Duty to Advise Clients of ADR <<https://corporate.findlaw.com/litigation-disputes/lawyers-have-ethical-duty-to-advise-clients-of-adr.html>>
10. Kovach K. K., Mediation in a Nut Shell, Second edition,Thomson west, Printed in the United States of America, 2010
11. Nolan-Haley J. M., Alternative Dispute Resolution in a Nut Shell, Printed in the United States of America, Thomson West, Third edition, 2008,112-113.
12. Walker M., Guidelines for Lawyers in Mediations, ADR Bulletin, Vol. 9, No.8, Article 3,2007,151,

- <<https://epublications.bond.edu.au/cgi/viewcontent.cgi?referer=https%3A%2F%2Fwww.google.ge%2F&httpsredir=1&article=1399&context=adr>>
13. Rans B., Lawyers and Mediation, Vol.5 yearbook on Arbitration and Mediation, Article 25,2013,412
<<https://elibrary.law.psu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1104&context=arbitrationlawreview>>
 14. Clark B., Lawyers' resistance in Construction Mediation, January 2012.
<<https://www.mediate.com/articles/ClarkB1.cfm>>
 15. Riskin L.L., Mediation and Lawyers,Vol.43., Issue 1, Ohio State Law Journal, 1982,55.
<https://kb.osu.edu/bitstream/handle/1811/65180/OSLJ_V43N1_0029.pdf>

მეუღლეთა თანასაკუთრების პროგლემა და ასახვა პრაქტიკაში

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
მე-3 კურსის სტუდენტები:

თემის ხელმძღვანელი:
თამარ ზოიძე
პროფესორი კერძო
სამართლის მიმართულებით

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი შეეხება ისეთ პრობლემურ
და აქტუალურ საკითხს, როგორიცაა, მეუღლეთა თანა-
საკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში.

ნაშრომი ეფუძნება დოქტრინისა და სასამართლო
პრაქტიკის ანალიზს, უცხოური სამართლებრივი სის-
ტემების მიერ გათვალისწინებულ კონცეპტუალურ
მიდგომებს მეუღლეთა თანასაკუთრების საკითხთან
დაკავშირებით.

ნაშრომში აღნერილია მეუღლეთა თანასაკუთრე-
ბის განვითარების ისტორიული ასპექტები მსოფლიოსა
და საქართველოში, მისი სოციალური ბუნება, მისი რე-
გულირების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა,
21-ე საუკუნის მოთხოვნების შესაბამისი კანონმდებ-
ლობის შემუშავება და სასამართლო პრაქტიკის ანალი-
ზი.

კვლევის ზოგადმეთოდოლოგიურ საფუძველს შე-
ადგენს: შემეცნების საყოველთაო ზოგადმეცნიერული,
კერძომეცნიერული, შედარებითი, ისტორიული, იდიოგ-

რაფიული და ემპირიულ-ანალიტიკური მეთოდები.

ავტორთა მიზანია, განიხილოს ზემოაღნიშნული საკითხი სამართლებრივ ქრილში, მიმოიხილოს მეუღლეთა თანასაკუთრების საკანონმდებლო რეგულირება ქართულ სამართლებრივ სივრცეში, გააკეთოს აქცენტი მთავარ პრობლემურ და აქტუალურ საკითხებზე, გაიზიაროს საერთაშორისო გამოცდილება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, მიაწოდოს მკითხველს ახალი მიდგომები და შეხედულებები, რათა ჩამოყალიბონ სწორი პოზიცია.

საკვანძო სიტყვები: მეუღლეთა თანასაკუთრება; საქორნინო ხელშეკრულება; ქორნინება; ქონებრივი უფლებები; ინდივიდუალური საკუთრება; საერთო საკუთრება; თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

შესავალი

მოცემული ნაშრომი შეეხება, ისეთ აქტუალურ და პრობოლემურ საკითხს, როგორიცაა – მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა, მისი საკანონმდებლო რეგულირება და ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკის შეფასება.

ნაშრომი ეყრდნობა კვლევებს, ასევე, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურას. გამოყენებულია გაეროს ფონდის მიერ წარმოებული კვლევა და უცხოელი მეცნიერების ახალი და განსხვავებული მოსაზრებები მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემის აღმოფხვრის გზებთან დაკავშირებით.

ქვეყნების კანონმდებლობაში ძირითადი ადგილი უკავია ქონებრივი ურთიერთობების რეგულირებას, რომლებიც იქმნება ოჯახში ქონების და სარჩოს მიღების მიზნით. ქონებრივი უფლებები და ქონებრივი მოვალეობები მნიშვნელოვან

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში

როლს ასრულებს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობების შინაარსის განსაზღვრაში. ნაშრომში განვიხილავთ მეუღლეთა ქონებრივი უფლებების მოწესრიგების საკითხებს ქორწინების განმავლობაში და ქორწინების შეწყვეტის შემდეგ. ნაშრომში აღწერილია თანასაკუთრების საკითხის მოწესრიგება თანამედროვეობასა და ისტორიულ წარსულში, მოცემულია მისი შედარებით – სამართლებრივი დახასიათება, თანამედროვე საკანონმდებლო რეგულირების დადებითი და უარყოფითი ასპექტები.

ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ მხრივ საინტერესო და არაერთგვაროვანია, ამიტომ ის დაწვრილებით იქნება აღწერილი. ნაშრომში საუბარია მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემაზე, საზოგადოების დამოკიდებულებაზე, წარმოდგენილია ფაქტები ქართული და უცხოური რეალურიდან. მას ერთვის კვლევები, რომლებიც რეალურად ასახავს ამ პრობლემის შინაარსს.

ავტორთა მიზანია მკითხველს შესთავაზოს ახალი შეხედულებები და მიდგომები და ჩამოაყალიბოს ის ძირეული გზა, რომელიც აღმოფხვრის ამ პრობლემებს. ამასთან, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ისიც, რომ მეუღლეთა თანასაკუთრების საკითხის თანამედროვე საკანონმდებლო რეგულირებაში ცვლილების შეტანის ინიციატივა წარმოჩინდეს.

2. მეუღლეთა ქონებრივი უფლებების მოწესრიგება ძველი რომის სამართლის მიხედვით

ქორწინება მეუღლებს შორის წარმოშობს მრავალ-მხრივ და რთულ ურთიერთობებს.¹ სამართლებრივად რეგულირდება მეუღლეთა შორის არსებული პირადი და ქონებრივი ხასიათის ურთიერთობები. ქონებრივი ურთიერთობების მნიშვნელობიდან გამომდინარე ის უფრო დეტალურადაა მოწესრიგებული სამართლის ნორმებით. საქორწინო სამარ-

¹ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 111

თლებრივი ურთიერთობა საოჯახო – სამართლებრივ ურთიერთობათა ნაირსახეობას წარმოადგენს. ქონებრივი სამართლი ურთიერთობები მეუღლეთა შორის – საზოგადოებრივი ურთიერთობებია, რომლებიც მათი საერთო საკუთრებისა და მატერიალური ურთიერთრჩენის გამო წარმოიშობა. მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობების შინაარსს შეადგენს ქონებრივი უფლებები და ქონებრივი მოვალეობები.²

ქორწინების მნიშვნელობა ყოველთვის დიდი იყო საზოგადოებაში. ქორწინების მიზანი უნდა იყოს ოჯახის შექმნა და მას მოჩვენებითი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. ამის დასტურია ბიბლიაში აღნერილი მოვლენებიც. როდესაც აბრაამს ცოლი გარდაეცვალა, იგი თავის შვილ ისააკზე ნერვიულობდა: „მინდა დავრწმუნდე, რომ მას ეყოლება ცოლი, რომელსაც ეყვარება. მე არ მინდა, რომ როცა მოვკვდები ის მარტო იყოს“.³ თეოლოგი ვიგენ გურიონის მოსაზრებით, თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიექცეს, იმას რომ ოჯახურ ცხოვრებაში შენარჩუნებული იქნას პირის ინდივიდუალობა და იდენტობა. მათი კავშირი თანასწორუფლებიანობის პრინციპზე უნდა იყოს დამყარებული.

საინტერესოა მეუღლეთა ქონებრივი უფლება – მოვალეობების განვითარება ძველი რომის სამართლიდან დღემდე. ისტორიული წყაროები გვაწვდიან ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ქორწინება – რომაელი იურისტები მას განმარტავდნენ, როგორც ქალისა და მამაკაცის თავისუფალ და თანასწორ კავშირს. სინამდვილეში კი არასოდეს ყოფილა რომში ქალი მამაკაცის თანასწორი. რომის არსებობის ადრეულ ეტაპზე ქალის უფლებები თითქმის არ იარსებებდა რომ არა იუსტი-

² ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, მე-4 გამოცემა, 2004, გვ 122

³ Lion Story Bible, Vol.5 “Isaac finds a wife,” 4

**მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე –
მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში**

ნიანე VI⁴, რომელმაც რომაელი ქალების ქონებრივი და არა-ქონებრივი უფლებების განვითარებაში უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა.

რომის სამართლის თანახმად არსებობდა ორი ტიპის ქორწინება : 1.cum manu mariti ქმრის ხელშეკრულების ქვეშ- (ქმრის ხელით) და 2.sine manu mariti ქმრის ხელშეკრულების გარეშე - (ქმრის ხელის გარეშე).

1. cum manu mariti ქმრის ხელისუფლების ქვეშ – მე - 6 საკუნემდე ქალის ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები ქორწინების შედგომ თითქმის აღარ არსებობდა, აქედან გამომდინარე ისინი ერთმანეთისგან გამიჯნული არ იყო. ქალი გათხოვების შემდეგ ქმრის ხელისუფლებაში გადადიოდა და მამის ოჯახთან ყოველგვარ იურიდიულ კავშირს წყვეტდა. ქონებრივი უფლებების კუთხით, ცოლს არავითარი უფლება არ ჰქონდა. ყველაფერი რაც ქორწინებამდე ცოლს ეკუთვნოდა, ქმრის საკუთრება ხდებოდა, ქორწინების პერიოდში ცოლის საჩუქრები ქმრის საკუთრებაში გადადიოდა. ცოლის მზითევიც კი არ წარმოადგენდა ცოლის საკუთრებას, ისიც ქმრის ქონებაში ერთიანდებოდა⁵.

2. sine manu mariti ქმრის ხელშეკრულების გარეშე – გათხოვილი ქალის პირადი და ქონებრივი უფლებების ფარგლები ძირეულად შეიცვალა იმპერატორ იუსტინიანეს რეფორმების შედეგად. ქორწინების პერიოდში ცოლი ინარჩუნებდა საკუთრების უფლებას იმ ქონებაზე, რაც მას ქორწინებამდე ჰქონდა, გარდა ამისა, ქმარს ცოლის გარეშე არ შეეძლო გამოეყენებინა მისი საკუთრება. ქორწინებამდე ქალის მხარესა და ქმარს შორის იდებოდა ხელშეკრულება (cautio rei uxoriae), ეს ხელშეკრულება თავისი შინაარსით ძალიან ჰქონდა „საქორწინო ხელშეკრულებას“. ამ ხელშეკრულების მიხედ-

⁴ რთველაძე ს., ევსტაფიშვილი გ., თანასაკუთრების ბეჭი განქორწინებისას, 2016, გვ. 3

⁵ რთველაძე ს., ევსტაფიშვილი გ., თანასაკუთრების ბეჭი განქორწინებისას, 2016, გვ. 2

ვით, განქორნინების შემთხვევაში ქალს მზითევი საკუთრებაში რჩებოდა. განსაკუთრებულ რეგულირებას ექვემდებარებოდა სამზითვო მიწის ნაკვეთები, რომელიც იმპერატორ ავგუსტუსის მიერ, ქმრის უფლებების შეზღუდვის მიზნით გამოცემული „იულიუსის კანონი სამზითვო მიწის კანონების შესახებ“ იქნა მოწესრიგებული⁶. ამ სახის ქორნინების დროს მნიშვნელოვნად იზრდებოდა ქალის პირადი და ქონებრივი უფლებები. მზითევის გარდა ის უფლებებს ინარჩუნებდა ქორნინებამდე მის საკუთრებაში არსებულ ყველა ნივთზე.

ძველ რომში, ისტორიული განვითარების ადრეულ საფეხურზე, ქმრის უფლებები განუზომლად დიდი იყო, ეს კი იწვევდა ცოლის უფლებების შთანთქმას. კლასიკური ეპოქის რომის სამართალში განხორციელდა ძირეული ცვლილებები, მაგრამ თავისუფალი ქორნინების გავრცელების ეპოქაშიც ცოლი და ქმარი მაინც არ გათანაბრებულან ქონებრივი ურთიერთობის სფეროში. ვერც რომის და ვერც ბიზანტიის სამართალმა ვერ შეძლო მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობების სფეროში თანმიმდევრულად გაეტარებინა მოდესტინის შეხედულებები. ორივე სამართლებრივი სისტემა ცდილობდა ქორნინების მოდესტინისეული განმარტების რეალურად განხორციელებას არსებულ საზოგადოებაში, მაგრამ ეს მხოლოდ გვიანდელი სამართლის სისტემების მეშვეობით მოხდა. თავისუფალი ქორნინების ნარმოშობის იდეა ემსახურებოდა მამაკაცისა და ქალის უფლებების გათანაბრებას. დაწესდა მზითვის ინსტიტუტი, გარდა ამისა მზითვის ნაცვლად, რომელიც ქმრის გამგებლობაში გადადიოდა, ცოლი მეუღლისაგან იღებდა წინასაქორნინო საჩუქარს. საქორნინო საჩუქარი ზოგიერთი მკვლევარის აზრით, არა რომაული, არამედ აღმოსავლური წარმოშობისაა. როგორც საქორნინო საჩუქრის მესაკუთრეს, ქალს ეკუთვნოდა ქორნინების დროის მანძილზე მისი ნაყოფი.

⁶ რთველაძე ს., ევსტაფიშვილი გ., თანასაკუთრების ბეჭი განქორნინებისას, 2016, გვ. 3

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში

ეკლოგის მიხედვით, მზითევი და საქორნინო საჩუქარი ქმრის ხელში საქორნინო მიზნებს ემსახურებოდა და ქორნინების შეწყვეტის დროს ორივე უბრუნდებოდა ცოლს. მზითევსა და საქორნინო საჩუქარზე საკუთრების უფლება ცოლს ეკუთვნოდა. ეკლოგის არსებობამ დიდი როლი შეასრულა გვიანდელი ბიზანტიური სამართლის ჩამოყალიბების პროცესში. ეკლოგის მიხედვით ალიარებული იქნა მეუღლეთა ქონების ნაწილობრივი ერთობა.

3. მეუღლეთა ქონებრივი უფლებების რეგულირება ძველ ქართულ სამართალში

სახარების მოძღვრების მიხედვით ქორნინება სხვადასხვა სქესის ისეთი პირთა კავშირია, სადაც იგულისხმება მათი ხორციელი და სულიერი ერთობა, ამიტომ აქ თითქმის არ შეიძლება ერთ მხარეზე მხოლოდ მოვალეობები იყოს, ხოლო მეორეზე – უფლებები.

„დიდი სჯულის კანონში“ ქორნინების განმარტებას ახლავს შენიშვნა მისი ძირითადი თვისებების შესახებ: ფიზიკური, ეთიკური და რელიგიურ – იურიდიული.

პავლე მოციქული ქორნინების საიდუმლოს შემდეგნაირად განმარტავს: ცოლი თვისთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა უფალსა. რამეთუ ქმარი არს თავ ცოლისა, ქრისტე თავ არს ეკლესისა, და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისაი. არამედ ვითარცა ეკლესია დაუმორჩილებელ არს ქრისტესა ეგრეცა ცოლნი თვისთა ქმართა ყოვლითა“ (ეფესელ.5:22-25;31-32).

ქართულ სინამდვილეში მეუღლეთა თანასაკუთრების განხილვისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ნიშანსა და პირისანახავს. თითქოს ნიშანი ბიზანტიური საქორნინო საჩუქრის ანალოგიურია, თუმცა ნიშანი საქორნინო ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალებაა და არა საქორნინო საჩუქარი. ქართული ფეოდალური საზოგადოების სინამდვილეში გარკვევით იყო გამიჯნული ერთმანეთისგან ნიშანი, მზითევი და

პირისანახავი. პირისანახავი და ნიშანი მოხსენიებულია ჩვეულებითი სჯულის სხვა ნორმაშიც, რომლის მიხედვით მზითევი, ნიშანი და პირსანახავი ცოლის საკუთრება იყო და მასზე ქმრის ვალებისთვის იძულებითი გადახდევინების მიქცევა არ შეიძლებოდა. აგრეთვე, ოჯახის გაყრის დროს დედა ან დედინაცვალი უკლებლივ იღებდა ნიშანს, მზითევსა და პირსანახავს.

ხამურაბის კანონებში მოხსენიებული შერიქტუმი მზითვის განსაკუთრებული სახეობა იყო, რომელიც ქალიშვილს ეძლეოდა მამის სახლიდან გათხოვების წინ. ეს ქონება ქალის საკუთრება იყო და მის ქონებრივ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა ქმრის ოჯახში. ქალის სიკვდილის შემთხვევაში შერიქტუმი მემკვიდრეობით რჩებოდა მის შვილებს, ხოლო თუ შვილები არ ჰყავდა შერიქტუმი ქალის მშობლებს უბრუნდებოდა.

რ.ხარაძის აზრით, ხამურაბის კანონების შერიქტუმი ძალიან ჰგავს ქართული მზითვის იმ ფორმას, რომელსაც სათავნო ეწოდებოდა. სათავნო წარმოადგენდა ქალის პირად საკუთრებას. ხამურაბის კანონები იცნობს ასევე ე.წ თერხათუმს – თანხას, რომელსაც ვერცხლის სახით სასიძო საპატარძლოს უხდის⁷. შუა ასირიის კანონების 29-ე მუხლის მიხედვით „უკეთუ ქალი შევა თავისი ქმრის სახლში, მისი მზითევი და ყველაფერი, რასაც იგი მოიტანს თავისი მამის სახლიდან ან რაც კი მისცა მას მისმა მამამთილმა მისი სახლში შესვლისას – ეკუთვნის ქალის ვაჟიშვილებს; მისი მამამთილის შვილებმა არ უნდა განაცხადონ უფლება. მაგრამ, თუ კი ქმარი მოითხოვს მისგან, მას შეუძლია მისცეს მის რომელიმე შვილთაგანს“.

ქართული სამართლის მიხედვით ქალის აუცილებელ საკუთრებას შეადგენდა მზითევი, ნიშანი, პირსახვევი და საკუთარი გარჯით შექმნილი ქონება. ეს ყოველივე ქალის ისეთ

⁷ რთველაძე ს., ევსტაფიშვილი გ., თანასაკუთრების ბეჭი განქორნინებისას, 2016, გვ. 14

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში

მაღალ მდგომარეობას გვიჩვენებს, როგორიც იყო ზოგიერთ დასავლეთევროპულ ქვეყანაში შუასაუკუნეებში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობა ქონებრივი განცალკევებულობის რეჟიმით ხასიათდებოდა. დავით „ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით „პირის ასახადი და პირის სანახავი არც მტკიცე და უამსა გაყრისა სახლის კაცთა თანა არა ჩავარდება წილში“. გაყრის შემთხვევაში ვალში ოჯახის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის დროს, ქალის ინტერესები კანონით იყო დაცული და მის პირად ქონებას ხელს არ ახლებდნენ. საქართველოში მონათმფლობელობის პერიოდში მეუღლეთა პირადი ურთიერთობები რეგულირდებოდა ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების პარალელურად და ამ რელიგიის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ქალი მამაკაცის საკუთრებად ითვლებოდა. იგი უუფლებო იყო თავისი მეუღლის წინაშე და უნდა დამორჩილებოდა ქმარს, როგორც უფალს. მეუღლეთა უფლებამოვალეობებზე მსჯელობისას საინტერესოა იაკობ ცურტაველის ლიტერატურული ნაწარმოების „შუშანიკის მარტვილობის“ განხილვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთ-ერთი ეპიზოდი, სადაც აღნერილია შუშანიკის სახლიდან წასვლა და ვარსქენის მიერ იაკობ ხუცესისთვის დავალების მიცემა, რომ მივიდეს შუშანიკთან და წამოილოს მთელი სამკაული, რაც იაკობ ხუცესმა მართლაც შეასრულა. როგორც ჩანს, წესად ყოფილა მეუღლისათვის საჩუქრის მირთმევა, მაგრამ ეს საჩუქრები ცოლს სამუდამო საკუთრებაში კი არ გადაეცემოდა, არამედ მას ეს ქონება ეკუთვნოდა მხოლოდ ქორწინების განმავლობაში, განქორწინებისას კი საჩუქრები ქმარს უბრუნდებოდა. ამასთან, ქალის სამკაულების განმკარგველად ქმარი გვევლინება.⁸

რაც შეეხება მე-6 – მე-8 საუკუნეების ცნობებს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების შესახებ, ისინი თითქმის

⁸ ჭაჭუა მ., მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები (ისტორიული მიმოხილვა), თბილისი, 2013, გვ. 18

არ ასებობს, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ქალი ღებულობდა მზითევს, ჰქონდა მემკვიდრეობის უფლება და იყო ქონებრივი ურთიერთობის სუბიექტი.

მე-10 – მე-13 საუკუნეებში ცოლის ქონებრივი უფლებების შესახებ ცნობებს გვანვდის საკანონმდებლო ძეგლები. აღბუღას სამართლის 81-ე მუხლის მიხედვით : „დიაცსა თუ ქმარი მოუკვდეს და შვილი არ დარჩეს, მზითები თანა გაჰყვეს უკლებლად. პირისანახავი, მზითევი და ნიშანი ეკუთვნოდა ცოლს, ქმარს არ შეეძლო მათი ვალში გადახდა ან გასარჯვა.“

გიორგი ბრწყინვალის სამართლის – „ძეგლისდების“ მე-18 მუხლის მიხედვით საოჯახო ქონებაში ქალს სრული წილი არ გააჩნდა.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნში უფრო ფართოდა მოცემული მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები. აქ აღნიშნულია, რომ ქალის მზითევი მისი უპირობო, ხელშეუვალი საკუთრება იყო, თუ ის მოძრავ ქონებას წარმოადგენდა.

მე-13 – მე-18 საუკუნეების საქართველოში ქალი, როგორც მეუღლე არ წარმოადგენს საკუთრების ობიექტს. სრულწლოვანი ქალი დამოუკიდებლად განაგებდა საკუთარ ქონებას. ცოლი და ქმარი ერთმანეთთან შედიან სხვადასხვა სახის ქონებრივ გარიგებაში – გააჩუქონ, გაყიდონ, გცვალონ საკუთარი „მიუდევარი“ ქონება. ქმარი ვერ გაასხვისებდა ცოლის ქონებას მისი ნებართვის გარეშე. საქართველოსთვის უცხო იყო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ცოლის სრული უუფლებობა.

საქართველოში ფეოდალიზმის პერიოდისათვის არ არის დამახასიათებელი სრული თანასწორუფლებიანობა, თუმცა ჩვენთან არსებობდა ცივილიზებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი პირადი და ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება.

4. საქორნინო ხელშეკრულების აღწერა მეუღლეთა ქონებრივი უფლებების რეგულირების კუთხით

როგორც აღვნიშნეთ, ქორნინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განსაზღვრულია საქორნინო კონტრაქტის ინსტიტუტი, რომელიც ცნობილია უცხო ქვეყნების სამართლებრივი სისტემისთვის. თუმცა, რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსი საერთოდ არ იცნობს საქორნინო ხელშეკრულებას. დღევანდელი რეალობის შეფასებით საქართველოში ნაკლებად გავრცელებულია საქორნინო ხელშეკრულების დადების პრეცედენტი, რადგან ჯერ კიდევ 20 წლის წინ ამ ინსტიტუტს საერთოდ არ იცნობდა საქორთველოს სამოქალაქო სამართალი, თუმცა ეს საკითხი თანდათანობით აქტუალური ხდება. ეს ხელშეკრულება საკმაოდ ცნობილია ევროპის ქვეყნებისთვის, ხოლო ევროპამდე იგი უცხო არ ყოფილა ებრაელი ერისთვის, ის უბრალოდ „კარგად დავიწყებული ძველია“. ჯერ კიდევ 2000 წლის წინ, მის მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ- „კეთუბეხსი“ (ketubahs) რაც იუდეურ-რაბინულ ენაზე ითარგმნება როგორც „ნერილი“. იგი იდებოდა წერილობითი ფორმით და შინაარსით ძალზე დაახლოვებული იყო თანამედროვე საქორნინო ხელშეკრულებასთან.⁹ ეს ჩვენამდე მოღწეული პირველი ხელშეკრულებაა, რომელიც შეიცავს დებულებებს მეუღლეების განქორნინების შემთხვევაში მათი ქონების გაყოფის პირობების შესახებ. ძველი ებრაელების სამართლის თანახმად, წერილობით შესრულებული (აქედან გამომდინარეობს ხელშეკრულების სახელნოდებაც – „კეთუბა“ წერილს ნიშნავს) საქორნინო ხელშეკრულება დაქორნინების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

⁹ რთველადე ს., ევსტაფიშვილი გ., თანასაკუთრების ბეჭი განქორნინებისას, 2016, გვ. 6

საინტერესოა, საქორწინო ხელშეკრულების განვითარების ეტაპები. საბჭოთა სამოქალაქო სამართალი ამ ხელშეკრულებას უზნეობად, ამორალურად თვლიდა და აქედან გამომდინარე, მისი საკანონმდებლო მოწესრიგებაც არ მომხდარა. ქართულ სამოქალაქო კოდექსში საქორწინო ხელშეკრულების რეგულირებას ვხვდებით სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლიდან – 1997 წლიდან. გიორგი თურმანიშვილის განმარტებით, საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივი ხელშეკრულების სახეს.

საქორწინო კონტრაქტის მიმართ გამოიყენება ის წესები, რომლებიც საერთოა ყველა სხვა სახის გარიგებისთვის, იმ განსხვავებით, რომ სპეციფიკურ პირობებსა და დათქმებს ანესრიგებს სამოქალაქო კოდექსში არსებული საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტში შემავალი ნორმები. კანონმდებელი არ გვთავაზობს საქორწინო კონტრაქტის ცნებას.

სსკ-ს 1173-ე მუხლის მიხედვით საქორწინო კონტრაქტი შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ასევე ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. ამ მხრივ, საინტერესოა სხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკა. ევროპისა და აშშ-ს პრაქტიკის მიხედვით, საქორწინო კონტრაქტების 78% იდება ქორწინების რეგისტრაციამდე, ხოლო დანარჩენი 22% -ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ.

თუ საქორწინო ხელშეკრულება კანონისგან განსხვავებულად არეგულირებს მეუღლეთა ქონებრივ ურთიერობებს, უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულებას. მეუღლეთა შორის წარმოშობილ ქონებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების პროცესში დაცულია თითოეული მათგანის ნების თავისუფლად გამოვლენა. მათ შეუძლიათ ხელშეკრულების საფუძველზე გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება. ასეთი ქონება შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური საკუთრების ობიექტები, ასევე თანაზიარი საკუთრებაც. შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური და თანაზიარი ქონების განვითარების ეტაპები. საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მიმოხილვა

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში

ბის განსაზღვრული ნაწილის გაერთიანება. დანარჩენი ნაწილი კვლავ ინარჩუნებს კანონის მათვის დადგენილ სამართლებრივ რეჟიმს.

მეუღლეთა შორის საქორწინო კონტრაქტით ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს მსოფლიოში ცნობილი ტენორის ლურიანო პავაროტისა და მისი მეუღლის საქორწინო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თითოეულ მათგანს ინდივიდუალური საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება¹⁰. საინტერესოა მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიონერის და ცნობილი ბიზნესმენის – Snapchat-ის გენერალური დირექტორის, ევან შპიგელის საქორწინო კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც განქორწინების შემთხვევაში მეუღლე ვერაფერს მიიღებს მისი ქონებიდან. აღნიშნული საკითხი ინსპირაციის წყარო გახდა ავსტრალიელი მწერლისთვის – ტიმ ვინტონისთვის, რომელმაც 2 წიგნი დაწერა ქორწინებიდან წარმოშობილ პრობლემებზე, რომლის მოგვარებაც ხელშეკრულებით გაცილებით მარტივად შეიძლება.

საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს შემოსავლებში თითოეული მეუღლის მონაწილეობის პირობები. გარდა ამისა, შესაძლოა მოწესრიგდეს თითოეული მეუღლის მიერ საოჯახო ხარჯების განევის წესი, მაგალითად ყოველწლიური დასასვენებელი, სამუშაო მიზნებისთვის სახსრების გამოყოფა და სხვა. მეუღლეებს შეუძლიათ საქორწინო ხელშეკრულებით შეთანხმდნენ განქორწინების შემთხვევაში ქონების გაყოფის წესზეც. საქორწინო ხელშეკრულების დადება სავალდებულო არ არის, იგი მხარეების სურვილზეა დამოკიდებული. თუმცა, მისი დადების შემთხვევაში ის მეუღლეთა შორის ქონებრივი უფლებების და მოვალეობების განაწილების საკითხის მომწესრიგებელ ხასიათს

¹⁰ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 191-192

იძენს. საქორწინო ხელშეკრულება უნდა პასუხობდეს ნების-მიერი ხელშეკრულებისთვის კანონით წაყენებულ ზოგად მოთხოვნებს. მასში უნდა იყოს მოცემული ხელშეკრულების აუცილებელი რეკვიზიტები.

4.1. თანასწორუფლებიანობის საკითხის განხილვა მეუღლეების ქონებრივ ურთიერთობებში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლის მიხედვით : „საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობები თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი“¹¹. მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი პრინციპია. მას საფუძვლად უდევს საქართველოს კონსტიტუციის 36 -ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი : „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“. სამოქალაქო კოდექსის 1159 – ე მუხლი კიდევ უფრო დაწვრილებით განიხილავს მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის საკითხს: „თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით“¹². შეთანხმება, რომელიც რაიმე ფორმით ეწინააღმდეგება აღნიშნულ მუხლს და მიზნად ისახავს რომელიმე მეუღლის უფლებების შეზღუდვას, იქნება ბათილი, როგორც კანონსაწინააღმდეგო შეთანხმება. მიუხედავად იმისა, რომ „ქორწინების მიზეზები სხვა-დასხვა წყვილისთვის განსხვავებულია“¹³ და მხარეებს საქორწინო ხელშეკრულებით შეუძლიათ განსხვავებულად მოაწესრიგონ გარკვეული საკითხები, არ შეიძლება რომელიმე

¹¹ სსკ, მუხლი 1152

¹² რთველად ს., ეგსტაფიშვილი გ., თანასაკუთრების ბეჭი განქორწინები-სას, 2016, გვ. 11

¹³ Gerrard J., *The Times*, 19.6.00

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში

მხარეს გააჩნდეს მხოლოდ უფლებები და მეორე მხარეს მხოლოდ მოვალეობები. თეოლოგი ვიგენ გურიონის მოსაზრებით, თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიექცეს, იმას რომ ოჯახურ ცხოვრებაში შენარჩუნებულ იქნას პირის ინდივიდუალობა და იდენტობა. მათი კავშირი თანასწორუფლებიანობის პრინციპზე უნდა იყოს დამყარებული.¹⁴

საინტერესოა 1987 წლის საქმე *Gardiner v. Gardiner*¹⁵, რომლის მიხედვითაც ქმარმა წამოაყენა პრეტენზია მოვალეობების განაწილების გამო, მან ერთმანეთისგან გამიჯნა „პოზიტიური თანასაკუთრება“ და „ნეგატიური თანასაკუთრება“. მან მოითხოვა ვალების თანაბრად გადანაწილება¹⁶.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლი განამტკიცებს მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს, ხოლო 1159-ე მუხლი უფრო განავრცობს ამ პრინციპს. საოჯახო ურთიერთობებში არცერთი მეუღლე სარგებლობს უპირატესი უფლებით მეორის მიმართ. სირთულეები წარმოიშობა მეუღლეთა მიერ საერთო ქონების განკარგვის საკითხებზე. მეუღლეთა საერთო ქონების განკარგვა ხდება მათი ურთიერთშეთანხმებით. იმისათვის, რომ დაიდოს ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გარიგება საჭიროა ორივე მეუღლის თანხმობა, მათი ნების გამოვლენა, ამიტომ მათი თანხმობის შემთხვევაში ორივე მეუღლე გვევლინება გარიგების მხარედ. თუმცა, ორივე მეუღლის აუცილებელი მონაწილეობის მოთხოვნა გაართულებდა მათ მიერ ქონების განკარგვის შესაძლებლობას. (მაგალითად, თუ ერთ-ერთი მეუღლე მივლინებაშია წასული), ამიტომ ჩამოყალიბდა პრინციპი, რომლის მიხედვითაც მეუღლის მიერ საერთო ქონების განკარგვისას იგულისხმება მეორე მეუღლის თანხმობა. ეს

¹⁴ Guroian V., ‘An Ethic of Marriage and Family’, in *Essays in Orthodox Ethics* (Notre Dame:

Notre Dame University Press, 1987), 107

¹⁵ *Gardiner v. Gardiner*, 1987, 54 Sask. R. 246 (Q.B.)

¹⁶ *Storey-Bishoff v. Storey-Bishoff*, 1994, 2 W.W.R. 390 at para. 21

პრინციპი ცნობილია თანხმობის პრეზუმეციის სახით, რაც გულისხმობს, რომ მეუღლებმა ურთიერთნდობის საფუძველზე ერთმანეთს შეუთანხმებს თავიანთი მოქმედებები ქონების განკარგავსთან დაკავშირებით. მესამე პირები არ არიან ვალდებული დარწმუნდნენ მეორე მეუღლის თანხმობა არსებობს თუ არა, მათ არ ევალებათ მოითხოვონ ამის დამამტკიცებელი რაიმე განსაკუთრებული ფორმა. მეუღლეთა შეთახმებით წყდება საკითხი, თუ ვინ იქნება გარიგების სუბიექტი¹⁷.

როგორც ვხედავთ, თანასწორობუფლებიანობის მნიშვნელობა ხელშეკრულების დადების დროს მნიშვნელოვანია და მისი დაუცველობა პრობლემებს იწვევს.

5. მეუღლეთა თანასაკუთრების საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება და მისი შედარებით-სამართლებრივი დახასიათება

მეუღლეთა თანასაკუთრების საკითხს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საოჯახო სამართალი.

საერთაშორისო სამართლის კუთხით, ქორწინებისა და მეუღლეთა თანასაკუთრების მოწესრიგების მაგალითს წარმოადგენს 1988 წლის „Marriage and Matrimonial Property Law Amendment Act“.¹⁸

მეუღლეთა თანასაკუთრების განსაკუთრებული რეზიმია კვებეკში, ლუიზიანაში, საფრანგეთში, სამხრეთ აფრიკაში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში. თუმცა, ამ ქვეყნებშიც შესაძლებელია მხარეები დაქორწინდნენ ამ შეთანხმების დადების გარეშე. 5 ქვეყანამ, მათ შორის ჰოლანდიამ, ხელი მოაწერა ჰავაის კონვენციას, რომელიც ძალაში შევიდა 1991 წლის 1 სექტემბერს და რომლის მიხედვითაც მხარეებს შეეძ-

¹⁷ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, მე-4 გამოცემა, 2004, გვ. 141

¹⁸ *Marriage and Matrimonial Property Law Mendment Act, 1988, section 25*

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში

ლოთ აერჩიათ არა მხოლოდ ის რეჟიმი რაც მათ ქვეყანაში არსებობდა, არამედ მისგან განსხვავებული რეჟიმიც თუ სახეზე იქნებოდა ნამდვილი ქორწინება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განსაზღვრულია სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობების მნიშვნელოვანი საკითხები : საქორწინო ხელშეკრულების ცნება, მისი დადების, შინაარსის, ფორმის შეცვლისა და შეწყვეტის წესი.

6. ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა

სკ 1151-ე მუხლის თანახმად: მეუღლეთა უფლებამოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.

ქორწინების რეგისტრაცია დაწესებულია როგორც სახელმწიფო ინტერესების უზრუნველსაყოფად, ისე თვით მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით¹⁹. ქორწინების რეგისტრაცია უზრუნველყოფს მეუღლეებისა და მათი შვილების ინტერესების გამორჩეულად დაცვას, განსხვავებით არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირებისგან. ქორწინების რეგისტრაციის არსებობისას სახელმწიფოს შეუძლია თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს სხვადასხვა დემოგრაფიული მონაცემები, როგორიცაა, მოსახლეობის შემადგენლობა, შობადობის მდგომარეობა, ქორწინებათა და განქორწინებათა ტენდენცია²⁰. გააკონტროლოს ქორწინებათა კანონიერება და თავიდან აიცილოს იმ პირთა დაქორწინება, რომელთაც არ შეუძლიათ შექმნან მყარი ოჯახი და ჰქონდეთ სრულფასოვანი შთამომავლობა. რეგისტრირებული ქორწინება მეუღლეებსა და მათ შვილებს უქმნის საბინაო, მატერიალური, სამემკვიდრეო, საპენსიონ და სოციალური დაცვის სხვა უფლებათა გან-

¹⁹ შენგალია რ., შენგალია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 72

²⁰ ჩიკვაძვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, მე-4 გამოცემა, 2004, გვ. 86

ხორციელების გარანტირებულ შესაძლებლობას.

მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეობრივ უფლება-მოვალეობებს. სხვა ორგანოებში ან ეკლესიაში რეგისტრირებული ქორწინება არავითარ იურიდიულ შედეგებს არ წარმოშობს. ხშირად დასაქორწინებელი პირები უარს ამბობენ რეგისტრირებულ ქორწინებაზე, იმ მიზეზით, რომ არ სურთ წარმოქმვათ გარკვეული ტიპის ვალდებულებები. საქართველოსგან განსხვავებით, ინდოეთში ქორწინება აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული, 1955 წლის ინდოეთის კანონი ქორწინების შესახებ სპეციალურ რიტუალებსაც კი ითვალისწინებს. ქორწინება რომელიც არ იქნება რეგისტრირებული გაბათილდება და წამდვილად არ ჩაითვლება, ხოლო პასუხისმგებელი მხარეები შესაძლოა 1 თვით დააპატიმრონ ან ჯარიმა დააკისრონ.

7. მეუღლეთა ქონებრივი უფლებები ქორწინებისას და განქორწინებისას მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

ქორწინებისას მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები შემდეგნაირად რეგულირდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1152 – მუხლის მიხედვით, საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი.

არსებობს მეუღლეთა ინდივიდუალური და საერთო საკუთრება. ინდივიდუალურია თითოეული მეუღლის ის საკუთრება, რომელიც მას დაქორწინებამდე ეკუთნოდა, ასევე ის, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით, ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, ძვირფასეულობის გარდა, თუნდაც ქორწინების განმავლობაში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო თანხებით, ჩაითვლება იმ მეუღლის საკუთრებად, რომელიც სარგებლობს ამ ნივთებით. ხოლო მეუღლეთა საერთო საკუთრებაა ყველაფერი ის, რაც მათ ქორწინების განმავლობაში შეიძინეს. იმ ქონები

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში

ბის გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, მეუღლეთა წილი თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საყურადღებოა, რომ ხშირად, ერთ-ერთი მეუღლე მუშაობს და არჩენს ოჯახს, მეორე კი ეწევა საოჯახო საქმიანობას, უვლის შვილებს და არა აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. ასეთ შემთხვევაშიც, თუნდაც მხოლოდ ერთი მეუღლის შემოსავლით შეძენილი ქონება, საერთო საკუთრებად ითვლება.

საქორწინო ხელშეკრულების ძირითად ნაწილში შეიძლება განსაზღვრულ იქნეს მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების ცალკეული სახეების სამართლებრივი რეჟიმი. მაგალითად, შეიძლება მეუღლეებმა ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ, რომ ერთ-ერთის სახელზე საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილი ანაბარი, თუნდაც იგი ერთად ცხოვრების პერიოდში იყოს შექმნილი, წარმოადგენს მეანაბრის ინდივიდუალურ საკუთრებას ან სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების გზით მიღებული შემოსავალი იმ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად ჩაითვალოს, რომელმაც მიიღო იგი ან კიდევ ერთად ცხოვრების პერიოდში ძვირფასეულობა განქორწიების შემთხვევაში ჩაითვალოს იმ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად, რომელიც სარგებლობდა ასეთი ნივთებით. მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლის კუთვნილი ბინა მისი კაპიტალური რემონტის შემდეგ, რომელიც ჩატარდა ორივე მეუღლის სახსრებით, არ გადაიქცევა თანაზიარ საკუთრებად ან ერთ-ერთი მეუღლე ქორწინების პერიოდში ღებულობს უფლებას თავის წათესავებს მისცეს მეუღლის ინდივიდუალური აგარაკით სარგებლობის უფლება, ხოლო განქორწინებისას კი უნდა უზრუნველყოს აგარაკის დაუყოვნებლივ გათავისუფლება.

ქორწინების განმავლობაში, ერთ-ერთ მეუღლეს არ აქვს უფლება მეორე მეუღლესთან შეუთანხმებლად გაასხვისოს საერთო ქონება. მეუღლის თანხმობაა საჭირო არა მარტო საერთო ქონების გასხვისებისას, არამედ ქონების შეძენის დროსაც, თუ ფული, რითაც უნდა მოხდეს ქონების შეზე-

ნა, წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას.²¹

წილის გასხვისება არის უფლების გასხვისება. სამოქალაქო კოდექსი ქონებად აღიარებს არა მარტო ნივთებს, არა-მედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც. „მენარმეთა კანონი“ არ ითვალისწინებს რაიმე დათქმას მეუღლეთა თანა-საკუთრებაში არსებული წილის განკარგვის შესახებ. მასზე ვრცელდება საოჯახო სამართლის ყველა ის ნორმა, რომელიც აწესრიგებს მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივ რეჟიმს, მათ შორის სამოქალაქო კოდექსის 1159-1160- ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნას მეუღლეთა თანა-საკუთრებაში არსებული ქონების ურთიერთშეთანხმებით განკარგვის შესახებ. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 1159-1160- ე მუხლების მიხედვით, თუ ერთ-ერთი მეუღლე წარმოადგენს კომერციული საზოგადოების პარტნიორს და მისი წილი შეძენილია რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში, ამ წილის გასხვისება მას შეუძლია მეორე მეუღლის თანხმობისას.²² მეუღლები განსაზღვრულ ქონებრივი ურთიერთობებს ამყარებენ მესამე პირებთანაც. პრობლემურია საკითხი მესამე პირების მიმართ მეუღლეთა იმ სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რაც წარმოიშობა ქორწინების პერიოდში მეუღლეების მიერ დადებული გარიგების საფუძველზე.²³

ვალის საკითხი პირადი და საერთო ვალის შემთხვევებში განსხვავებულად წყდება. ერთ-ერთი მეუღლის პირადი ვალის გადახდა ხდება მხოლოდ მისი პირადი კუთვნილი ქონებიდან საერთო საკუთრებაში, მეორე მეუღლე პასუხს არ აგებს ასეთი ვალისთვის, საერთო ვალის შემთხვევაში კი ორივე აგებს პასუხს. მეუღლეთა საერთო ვალები იყოფა ქონებაში მათი კუთვნილი წილის თანაზომიერად. საერთო ვა-

²¹ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, მე-4 გამოცემა, 2004, გვ. 56.

²² ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, მე-4 გამოცემა, 2004, გვ.

155

²³ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, მე-4 გამოცემა, 2004, გვ.

160

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში

ლების დაფარვისთვის ქონების არასაკმარისობის შემთხვევაში, მეუღლები ვალდებული არიან სოლიდარულად აგონ პასუხი თითოეულის პირადი წილიდან.²⁴ მეუღლეთა ქონებაზე გადახდევინების მიქცევა შეიძლება მოხდეს აგრეთვე მათი არასრულწლოვანი შვილების მიერ სხვა პირთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, დქონებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში.²⁵

მეუღლეთა თანასაკუთრება წყდება ქონების გაყოფით. თითოეული მხარე ხდება იმ ნაწილის მესაკუთრე, რომელიც მის გაყოფამდე მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში იყო. ასეთი გაყოფა შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, მაშინ საკითხს წყვეტს სასამართლო, ასეთი გაყოფისას, თუ ეს გაყოფა ეხება მესამე პირის უფლებებს, მასინ დავა ქონების გაყოფის შესახებ არ შეიძლება გადაწყდეს განქორწინების საქმის განხილვისას, თუმცა ეს არ გულისხმობს მესამე პირის მოთხოვნების უგულებელყოფას.

მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის საკითხი ძირითადად განქორწინების დროს წყდება. თუმცა ქონება შესაძლოა გაიყოს ქორწინების განმავლობაშიც. განქორწინებისას საერთო საკუთრებაში წილის განსაზღვრის მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მეუღლეს, მათ შორის იმასაც, რომელის სახელზეც არ არის რეგისტრირებული ეს ქონება. განქორწინებისას ქონების გაყოფა ხდება ნატურით, საგანი იყოფა იმგვარად, რომ საბოლოოდ თითოეული მეუღლისთვის გადაცემული წივთების ღირებულება შეესაბამებოდეს საერთო ქონებაში მისი კუთვნილი წილის მოცულობას. იმ შემთხვევაში, როცა ასეთი თანაბრობის მიღწევა შეუძლებელია, მაშინ იმ მხარეს რომელმაც საერთო ქო-

²⁴ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, მე-4 გამოცემა, 2004, გვ. 161

²⁵ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, მე-4 გამოცემა, 2004, გვ. 162

ნებაში არსებულ თავის წილზე ნაკლები ქონება მიიღო, უნდა გადაეცეს ფულადი კომპენსაცია. თუ საერთო ქონების გაყოფისას აღმოჩნდა რომ გასაყოფ მიმდევარი შორის არის სურათების კოლექცია, ბიბლიოთეკა, საცხოვრებელი სახლი, რომლის ნატურით გაყოფა ვერ ხერხდება, სასამართლოს შეუძლია იგი ერთ-ერთ მეუღლეს გადასცეს, ხოლო მეორეს კომპენსაციის სახით გადასცეს სხვა ქონება ან ფული, ან ეს ქონება განსაზღვროს თითოეული მეუღლის კუთვნილად საერთო წილადი საკუთრების უფლებით. ქონების გაყოფისას სასამართლო ითვალისწინებს მეუღლეთა სურვილს მიიღონ ნივთი, თითოეული მხარის პროფესიულ მოთხოვნილებებს, მათ ეკონომიკურს მდგომარეობას. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას არასრულწლოვანი შვილების სარგებლობაში არსებული ნივთები არ ექვემდებარება გაყოფას.²⁶

ანაბრის გაყოფის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ იმ მეუღლეს, რომელიც მეანაბრესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება..

მეუღლე, რომელმაც ფულადი კომპენსაცია მიიღო, მოვალეა უარი თქვას ნივთით სარგებლობაზე, თუ საცხოვრებელ სახლსშეეხება საკითხი, მაშინ გაათავისუფლოს საცხოვრებელი სადგომი.

თუ გასაყოფი ქონება შეძენილია მეუღლეების მიერ, როგორც ქორწინების განმავლობაში მოპოვებული სახსრებით, ისე იმ სახსრებით, რომელიც მათ ქორწინებამდე ეკუთვნოდათ, მაშინ სასამრთლო თანაბარ წილად გაყოფს იმ ქონებას, რომელიც მეუღლეებმა საერთო სახსრებით შეიძინეს და ამ ნაწილს მიუმატებს თითოეული მეუღლის იმ წილს, რაც მათ ქორწინებამდე ეკუთნოდათ.²⁷

კონკრეტული საქმის განხილვისას, სასამართლო გა-

²⁶ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, მე-4 გამოცემა, 2004, გვ. 166-167

²⁷ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, მე-4 გამოცემა, 2004, გვ. 170

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში

დამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს არა იმ სახსრების ოდენობას, რაც მეუღლებმა დააბანდეს ქონების შექმნაში, არამედ ხელმძღვანელობენ იმ გარემოებებით, რაც დავის განხილვისთვისაა მოცემული. თუ დადგინდება, რომ ერთ-ერთი მეუღლე არ ზრუნავდა ოჯახზე, ოჯახის საზიანოდ ახორციელებდა ქმედებებს, ფლანგავდა საერთო ქონებას, სასამართლოს ამ შემთხვევაში შეუძლია ასეთ მეუღლეს შეუმციროს წილი. წილი არ შეიძლება შეუმცირდეს იმ მეუღლეს, რომელსაც ავადმყოფობის ან სხვა პატივსადები მიზეზის გამო არ შეეძლო საოჯახო მეურნეობის წარმართვა.

კანონი მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში წილის თანაბრობის პრინციპს არ უკავშირებს იმ გარემოებას, რომელმა მეუღლემ რა მონაწილეობა მიიღო ამ ქონების შექმნაში, არც მათი შრომის ხასიათს მნიშვნელობას. „ცოლექტურული ურთიერთობების სპეციფიკა, – აღნიშნავს ო. ს. იოფე, -გამორიცხავს ბუღალტრულ ანგარიშიანობას, -ვინ რამდენი გამოიმუშავა, რა თანხები დააბანდა საერთო მეურნეობაში და ა. შ. თუ ცოდლი და ქმარი შეძლებისდაგვარად მუშაობდნენ და ერთნაირად ზრუნავდნენ ოჯახისთვის, მისი ინტერესებისთვის, მათ ქონების გაყოფისას აქვთ თანაბარი უფლება, თითოეულის ხელფასისა და სხვა შემოსავლის ოდენობის მიუხედავად.“²⁸

8.სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეგულირების როგორც სახელშეკრულებო, ისე საკანონმდებლო წესებს, თუმცა მაინც არსებობს რამდენიმე სადაო საკითხი, რომლის გადაწყვეტაც სასამართლოს პრეროგატივაა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით „ეკლესიური ქორწინება სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, სსკ-ს 1151-ე მუხლის თანახმად მეუღლეთა უფ-

²⁸ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, მე-4 გამოცემა, 2004, გვ. 172

ლება-მოვალეობებს მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს".²⁹

მნიშვნელოვანი საკითხია პროფესიული საქმიანობის-თვის საჭირო ნივთების ბედი თანასაკუთრების გაყოფისას. სსკს- 1165-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ნივთები გადაცემა იმ მეუღლეს, რომელსაც აღნიშნული საქმიანობისთვის სჭირდება. მოცემული მუხლის ფართოდ გაგება დაუშვებელია და მასში არ უნდა მოვიაზროთ ის ტერიტორია სადაც აღნიშნული ნივთებია განთავსებული, უზენაესი სასამართლოს განმარტებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „კასატორის პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ნივთს წარმოადგენდა არა უძრავი ქონება, სადაც შემოქმედებითი სახელოსნო უნდა განთავსებულიყო არამედ მხოლოდ უცილებელი ნივთები, რაც მას დასჭირდებოდა არქიტექტორ-დიზაინერის სამუშაოს შესასრულებლად, მაგალითად, ფუნჯი, საღებავები, მოლბერტი და სხვა.“³⁰ უზენაესი სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებაში³¹ ყურადღება არის გამახვილებული პრივატიზებით მიღებულ ქონებაზე. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ქორწინების პერიოდში პრივატიზებით მიღებული ქონების ბედის გადაწყვეტისთვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად ჩაითვლება ისეთი ნივთი, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია ჩუქებით³², ხოლო პრივატიზაცია თავისი ბუნებით ჰგავს ჩუქების ხელშეკრულებას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით „მართალია, სახელმწიფო

²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1151

³⁰ რთველაძე ს., ევსტაფიშვილი გ., თანასაკუთრების ბედი განქორწინებისას, 2016, გვ. 44

³¹ ას-414-738-05

³² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1161

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში

აღნიშნულ ქონებას უსასყიდლოდ გადასცემს მოქალაქეს, მაგრამ ეს ურთიერთობა არ არის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ჩუქების სახელშეკრულებო ურთიერთობის იდენტური. მოცემულ შემთხვევაში მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის იდება არა კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება, რასაც სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს, არამედ ადმინისტრაციული გარიგება სახელმწიფომ როგორც დამქირავებელს, ისე მისი ოჯახის წევრებს მისცა საშუალება, გამხდარიყვნენ ბინის მესაკუთრეები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივად ქონებაზე უფლება მოპოვებული აქვს კასატორის მეუღლესაც, მიუხედავად იმისა, რომ ნომინალურად მთელი სადაც ქონების პრივატიზება განხორციელებულია მხოლოდ კასატორის სახელზე.“

მეუღლეთა საერთო ქონება არის ქონება, რომელიც მეუღლეებმა ერთობლივად შეიძინეს. თუ ერთი მეუღლე მეორისგან იყიდის ბინას, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა გავლენას მოახდენს განქორწინების შემდეგ ნასყიდობის საგნის ბედზე. უზენაესი სასამართლოს განმარტებით „არ არსებობს მეუღლეთა ერთობლივი ნება ქონების შეძენისათვის. პირიქით, ერთი მეუღლე ასხვისებს მის საკუთრებაში არსებულ ნივთს, ხოლო მეორე მეუღლე იძენს მას. აქ მეუღლეები ინდივიდუალურად განკარგავენ მათ უფლებებს და მათ შეუძლებელია ნარმოებვათ თანასაკუთრება ამ ნივთზე.“³³

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1166-ე მუხლით დარეგულირებულია ნილის კომპენსაცია საკუთრების გაყოფისას.³⁴ საინტერესოა ამ კუთხით არსებული სასამართლო პრაქტიკა. უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი საქმეზე საპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან ამჟამად სადაც ავტომანქანა მესამე პირის საკუთრებაშია, ამიტომ მ. გ-

³³ რთველადე ს., ეგსტაფიშვილი გ., თანასაკუთრების ბედი განქორწინებისას, 2016, გვ. 15

³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 1166

ის მოთხოვნა ავტომანქანის ღირებულების ნახევრის კომპ-
პენსაციის შესახებ უსაფუძვლოა, ხოლო უზენაესი სასამარ-
თლოს მითითება აღნიშნულთან დაკავშირებით არის შემდე-
გი: „სააპელაციო სასამართლოს სსკ-ს მე-5 მუხლის პირველი
ნაწილის (კანონის ანალოგიის) საფუძველზე 1166-ე მუხლი
მუხლების საფუძველზე უნდა განესაზღვრა სადაც ავტო-
მანქანის ღირებულება და ემსჯელა მ. დ-ის სასამართლოდ ამ
ღირებულების ნახევრის ზ. გ-ისათვის დაკისრების თაობა-
ზე.“ მეუღლეების შორის თანასაკუთრების გაყოფის წესებს
აწესებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თუმცა მრა-
ვალ მუხლში ამოვიკითხავთ ისეთ დათქმას, როგორიცაა „თუ
საქორნინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალის-
წინებული“ თუმცა გასარკვევია შესაძლებელია თუ არა ქო-
ნებრივი საკითხების დარეგულირება მხარეთა შორის სხვაგ-
ვარი შეთანხმების (და არა საქორნინო ხელშეკრულების) სა-
ფუძველზე. უზენაეს სასამართლოში არსებული ერთ-ერთი
საქმის ფაბულის მიხედვით: სანოტარო წესით მხარეთა შო-
რის დამოწმდა შეთანხმება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ
თანხმობა განაცხადა განქორნინებაზე და აღნიშნა, რომ „ქო-
ნებრივი პრეტენზიები არა აქვს და არ ექნებოდა მომავალ-
ში“. უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ იმსჯელა აღნიშნულ
საკითხზე და მიიჩნია რომ „მხარეებს შორის ქონებრივი სა-
კითხები გადაწყვეტილი იყო შეთანხმების საფუძველზე და
მოსარჩელეს მიღებული ჰქონდა თავისი წილი ქონება“. ³⁵

განქორნინებისას ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს და გა-
სათვალისწინებელ ფაქტორს წარმოადგენენ არასრულწლო-
ვანი შვილები. სსკ-ს 1168-ე მუხლით დარეგულირებულია
არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინე-
ბის საკითხი თანასაკუთრების გაყოფისას. ³⁶ საინტერესოა
აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტი-

³⁵ რთველადე ს., ევსტაფიშვილი გ., თანასაკუთრების ბედი განქორნინები-
სას, 2016, გვ. 15

³⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1168

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში

კის გაანალიზება. აღნიშნული ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ არასრულ-წლოვანი შვილის ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრების ფაქტი, არამედ ისეთი გარემოების ან გარემოებათა არსებობა, რომელიც სასამართლოს უქმნის მყარ შინაგან რწმენას, რომ პირის (მეორე მეუღლის) თანასაკუთრების უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს – შემცირდეს. სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ცალსახად ადასტურებენ არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას. ეს გარემოებები შესაძლებელია იყოს არასათანადო საბინაო პირობები, არასაკმარისი საცხოვრებელი ფართი და სხვა ნებისმიერ ფაქტორი, რომელიც არასრულწლოვანის ინტერესშია და მის ნორმალურ აღზრდას ხელს უმლის. ამდენად, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ არასრულწლოვანი შვილი და მასთან მცხოვრები მმობელი უფრო მეტად საჭიროებენ საცხოვრებელ ფართს, ვიდრე მეორე მმობელი. სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებული ნორმის გამოყენებისას დასაბუთებული უნდა იყოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც ადასტურებენ მეუღლეთა ნილის თანაბრობის საწყისისასგან გადახვევის აუცილებლობას.³⁷

საინტერესოა, თუ როგორი იქნება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში არსებული წილის ბედი განკურნინებისას. უზენაესი სასამართლოს განმარტებით „მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია არა მხოლოდ მეუღლეთა უფლება-ვალდებულებების განსაზღვრის თავისებურებები, არამედ, პარტნიორთა უფლება-ვალდებულებები, რაც კანონით და წესდებით მათ გააჩნიათ ერთ-ერთ მეუღლესთან. სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს დანარჩენი პარტნიორების თანხმობის არსებობა წილის გაყოფის შედეგად ახალი პარტნიორის მიღებაზე. ასეთი თან-

³⁷ რთველადე ს., ეგსტაფიშვილი გ., თანასაკუთრების ბედი განკურნინებისას, 2016, გვ. 16

ხმობის არარსებობის შემთხვევაში გ. კ-ეს უნდა მიეცეს რ. კ-ის წილის ნახევრის ლირებულება.“სსკ-ს 1171-ე მუხლის თანახმად, განქორნინებულ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არ-სებული ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, ხოლო თუ დავა ეხება საზიარო უფლებებს, გამოიყენება 968-ე მუხლის მოთხოვნები.³⁸ საინტერესოა აღნიშნულთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკაც. ყურადღება უდა გავამახვილოთ თუ რა მომენტიდან იწყება ხანდაზმულობის ვადის დინება. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ობიექტური მომენტი განქორნინების რეგისტრაციაა, ვინაიდან, განქორნინებული მეუღლებისათვის იმთავითვე ცნობილი უნდა იყოს მოთხოვნის უფლების არსებობის თაობაზე, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მხარეებს შორის ქონებრივი დავის არსებობა-არარსებობა ერთ-ერთი კრიტერიუმია, რაც განსაზღვრავს განქორნინების საკითხის გადაწყვეტის წესს.“

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქორნინება შეწყვეტილად ითვლება იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მნარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში განქორნინების რეგისტრაციის მომენტიდან.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი კიდევ უფრო კვეთს განქორნინებისას ქონების გაყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებს, წარმოაჩენს ხარვეზებს და გვთავაზობს, პრობლემის გადაჭრის ახალ გზებს.

³⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1171

დასკვნა

მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა იყო და არის ერთ ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა ქართულ რეალობაში. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა არსებულ საკითხთან დაკავშირებული ისტორიული განვითარების ეტაპები, აგრეთვე აღგვეწერა ამ საკითხის თანამედროვე საკანონმდებლო რეგულირება და განგვეხილა სასამართლო პრაქტიკა.

ქართული რეალობისთვის ჯერ კიდევ უცნობია საქორწინო ხელშეკრულების არსი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი დავების გადაწყვეტისას. საჭიროა, ქორწინების ხელშეკრულება ფართოდ დამკვიდრდეს ქართულ სამართალსისტემაში, რათა მარტივად ავიცილოთ თავიდან თანასაკუთრების ბედის გარკვევის წარმოშობილი პრობლემები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბისონია ზ., „ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი”, გამომცემლობა „მერიდიანი”, თბ., 2006წ.
2. გადელია ნ., საქორნინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) აქტუალური საკითხები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი”
3. ხეცურიანი დ., საქორნინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებები საერთაშორისო კერძო სამართალში, მართლმსაჯულება, №2, 2007
4. ბრეგვაძე თ., საქორნინო ხელშეკრულება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივი თავისებურებების სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები, სამართალი, №2, 1999
5. თუმანიშვილი გ., „საქორნინო კონტრაქტი” (მონოგრაფია), გამომცემლობა „უნივერსალი”, თბ., 2010წ.
6. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა და მასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირება, მარიკა ჭაჭუა, თბილისი, 2013
7. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ურთიერთშეთანხმებით, მარიკა ჭაჭუა, თბილისი, 2013
8. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2015წ, გამომცემლობა „მერიდიანი”
9. რთველაძე ს., ევსტაფიშვილი გ., მეუღლეთა თანასაკუთრება და მისი ძედი განქორნინებისას ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.
10. რედ. ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომეტარები, წიგნი მე-5, სამართალი, 2000.
11. ჩიკვაშვილი შ., მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, სამართალი, №11-12, 2002 წელი
12. Michael G. Cochrane, „Do We Need a Marriage Contract: Understanding How a Legal Agreement Can Strengthen Your Life Together”, 2010
13. Liquidations de régimes matrimoniaux et de successions Bernard Beignier Etude (broché). Paru en 10/2013
14. Droit des régimes matrimoniaux et du PACS, 5ème édition Isabelle

**მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე –
მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემა და ასახვა პრაქტიკაში**

- Dauriac Manuel (broché). Paru en 09/2017
15. Régimes matrimoniaux, Edition 2009 Nathalie Peterka Etude (broché). Paru en 08/2015
16. Droit des régimes matrimoniaux, 3ème édition Laurent Aynès Etude (broché). Paru en 08/2017
17. [https://elawjournal.wordpress.com/2012/02/14/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%90/](https://elawjournal.wordpress.com/2012/02/14/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%90/)
18. http://library.lawsociety.sk.ca/inmagicgenie/documentfolder/CPLed2_00809FamilyDivision.pdf
19. http://www.larkinhoffman.com/files/OTHER/KNewman_Antenuptial.pdf
20. <Http://library.court.ge/judgments/85682016-0323>

ქართული და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი
მოხარული იქნება და მიესალმება ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებზე მიღებულ ნებისმიერ შენიშვნას, რჩევას, რეკომენდაციასა და ჯანსაღ კრიტიკას. საჭიროების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ, ინსტიტუტის ელექტრონულ ფოსტაზე: lawinstitute@yahoo.com

Institute of Georgian and International Law would be grateful and more than welcome to receive any remarks, recommendations, advices, or healthy critics concerning the legal articles published in journal. For doing so, do not hesitate to contact us via the e-mail of the institute: lawinstitute@yahoo.com

სტატიაში გამოხატული აზრები და შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ სტატიის ავტორს. ქართული და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი არ არის პასუხისმგებელი სტატიის შინაარსზე.

The views and ideas expressed in these articles are owned only by the authors. Institute of Georgian and International Law is not therefore liable for the content, views and the expressions contained in the articles.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკის №4. თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



9 772587550001